

**ადამიანის უფლებათა ეპროცესი  
სასამართლოს მიერ 2013 წელს მიღებული  
მიმდევალოვანი გადაცევატილებებისა და  
განჩინებების პრეპროცესი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლო  
ადამიანის უფლებათა ცენტრი**

**თბილისი**

**2014**

**SUMMARY OF THE MAIN JUDGMENTS AND  
DECISIONS DELIVERED BY  
THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
IN 2013**

**The Supreme Court Of Georgia**

**Human Rights Centre**

**Tbilisi**

**2014**



პრეპული შეადგინა და დაამუშავა

### თიცათინ გეზაშვილეა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადამიანის უფლებათა ცენტრი

პრეპულის რედაქტორი

ალექსანდრე წულაძე

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

სტილისტი

თ ი ნ ა თ ი ნ ე რ ა მ ვ ი ლ ი

ტექნიკური რედაქტორი

მ ა რ ი კ ა მ ა ღ ა მ ვ ი ლ ი



The Collection was compiled and elaborated in the  
Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia by  
**Tinatin Bezhashvili**

Editor  
**Aleksandre Tsuladze**  
The Head of Analytical Department

Style Editor  
**Tinatin Kokrashvili**

Graphics Editor  
**Marika Maghalashvili**

## ნინასითყვაობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი 2008 წლიდან მოყოლებული უკვე მეექვსედ გამოსცემს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ყოველწლიურ კრებულს, მოკლე მიმოხილვის სახით.

როგორც წინა, ისე წლევანდელი გამოცემის მიზანი უცვლელია: მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გარემოებანი მიიჩნია სტრასბურგის სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დებულებათა დარღვევად და რა გარემოებანი – კონვენციის დებულებათა შესაბამისად. აქედან გამომდინარე, იმედს ვიტოვებთ, რომ როგორც მთლიანად ცენტრის საქმიანობა, ისე ამ კრებულის გამოცემა კიდევ უფრო აამაღლებს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხსა და მოსამართლეთა მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებულობის სტანდარტს.

წლევანდელ კრებულში შევიდა 2013 წლის განმავლობაში სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილული საქმეები. კერძოდ, ამ საქმეებიდან რეზიუმეს სახით წარმოდგენილია შერჩეული პრეცედენტები კონვენციის მუხლების ქრონოლოგიის შესაბამისად. წინამდებარე გამოცემა გარკვეული სიახლითაც გამოირჩევა – კრებულს თან ახლავს 2013 წელს სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილული და შერჩეული საქმეების ჩამონათვალი მოკლე ანოტაციით.

ამასთან, 2014 წლის გამოცემაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები შეტანილია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: იურისდიქცია და დასაშვებობა; ძირითადი უფლებები; პროცედურული უფლებები; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და კონვენციის სხვა ნორმები. თითოეული საკითხი, თავის მხრივ, განვრცობილია კიდევ უფრო ვიწრო ქვესაკითხებად.

კრებულში წარმოდგენილ საქმეთა ნაწილის სრული ვერსია ქართულ ენაზე შეგიძლიათ მოიძიოთ უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ელექტრონულ საძიებო პროგრამაში (<http://catalog.supremecourt.ge/>), ხოლო ყველა მათგანის სრული ტექსტის მოძიება შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საძიებო სისტემაში (<http://hudoc.echr.coe.int/>).

აქვე მსურს გამოვყო და განსაკუთრებით დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ თინათინ პეჟაშვილს, უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელს, კრებულის მოსამზადებლად განეული შრომისთვის. ასევე აუცილებელია აღვნიშნოთ ცენტრის თანამშრომლებისა და სტაჟიორების თავდადებული შრომა ჩვენ მიერ დაგეგმილი ყველა აქტივობის, მათ შორის, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა კრებულის გამოცემაში.

და ბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა და განჩინებათა კრებულს ცენტრი ყოველწლიურად გამოსცემს, მომდევნო გამოცემების დახვენისა და გაუმჯობესების მიზნით მოხარული ვიქენებით თუ კრებულთან დაკავშირებით თქვენ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს მოგვაწვდით უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ([echrcenter@supremecourt.ge](mailto:echrcenter@supremecourt.ge)).

**აღეპსაცდრე ცულაძე**

## ს ა რ ჩ ი ვ ი

<b>წილადების უფლებები</b>	5
<b>იურიდიკური და დასაშვებობები</b>	9
სახელმწიფოთა ოურისდიქცია (მუხლი 1)	9
დასაშვებობის კრიტერიუმები	
შიდა საკანონმდებლო ზომების ამონურვა (მუხლი 35 §1)	9
ექვსთვიანი პერიოდი (მუხლი 35 §1)	10
კომპეტენცია – ratione temporis – (მუხლი 35 §3)	11
<b>„პირითადი“ უფლებები</b>	
სიცოცხლის უფლება (მუხლი 2)	12
წამების აკრძალვა, არაადამიანური და	
დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი (მუხლი 3)	13
– გაძევება	14
– განაჩენი	15
– პატიმრობა	15
– ოვაზური ძალადობა	16
– დემონსტრაციების ძლადობრივი გზებით დაშლა	17
– პოლიციის შეჭრა (ჩარევა) საცხოვრისში (სახლში)	17
მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა (მუხლი 4)	18
თავისუფლებისა და უსაფრთხოების შეზღუდვა (აღკვეთა)	18
– თავისუფლების შეზღუდვა (აღკვეთა)	18
– კანონიერი დაკავება (მუხლი 5 §1)	20
– უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსვავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება (მუხლი 5 §1 „ა“ ქვეპუნქტი)	20
– კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების დაუმორჩილებლობა (მუხლი 5 §1 „ბ“ ქვეპუნქტი)	21
– კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა (მუხლი 5 §1 „ბ“ ქვეპუნქტი)	22
– სახელმწიფოში ნებართვის გარეშე შესვლის აკრძლავა (მუხლი 5 §1 „წ“ ქვეპუნქტი)	23
– მოსამართლის ან კანონით უფლებამოსილი სხვა პირის წინაშე დაუყოვნებლივი წარდგენა (მუხლი 5 §3)	24
<b>პროცედურული უფლებები</b>	
სამართლიანი განხილვის უფლება (მუხლი 6)	24
– გამოყენება	24
– სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა (მუხლი 6 §1)	25
– განხილვების სამართლიანობა (მუხლი 6 §1)	27
– დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო (მუხლი 6 §1)	28
– უდანაშაულობის პრეზუმუცია (მუხლი 6 §2)	29
– უფლებების დაცვა (მუხლი 6 §3)	30

არავითარი სასჯელი კანონის გარეშე (მუხლი 7) .....	31
ეფექტური მისაგებლის უფლება (მუხლი 13) .....	33

## სამოქალაქო და კოლიტიკური უფლებები

პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და კორესპონდენციის დაცვის უფლება (მუხლი 8) .....	34
– გამოყენება .....	34
– პირადი ცხოვრება .....	35
– პირადი ცხოვრებადასაცხოვრისი .....	38
– პირადი ცხოვრება, საცხოვრისიდა მიმოწერა (კორესპონდენცია) .....	38
– ოჯახური ცხოვრება .....	39
– პირადი და ოჯახური ცხოვრება .....	42
– ოჯახური და პირადი ცხოვრებადასაცხოვრისი .....	44
აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მუხლი 9) .....	45
გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 10) .....	45
შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლი 11) .....	50
– გამოყენება .....	50
– პროფესიული კავშირის შექმნის უფლება .....	50
– გაერთიანების თავისუფლება .....	51
დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 14) .....	52
საკუთრების დაცვა (პირველი ოქმის I მუხლი) .....	57
– გამოყენება .....	57
– საკუთრების სარგებლობა .....	58
განათლების უფლება (პირველი ოქმის II მუხლი) .....	60
თავისუფალი არჩევნების უფლება (პირველი ოქმის III მუხლი) .....	61
დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა (მე-12 ოქმის I მუხლი) .....	61

## კონცენციის სხვა ნორმები

სამართლიანი დაკავშიროვილება (მუხლი 41) .....	62
გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება (მუხლი 46) .....	62
– ზოგადი ზომები .....	62
– ინდივიდუალური ზომები .....	63
ინდივიდუალური საჩივრის შეტანის უფლებისთვის ხელის შეშლა (მუხლი 34) .....	64
მესამე მხარის ჩარევა (მუხლი 36) .....	64
ყველა საჭირო საშუალებით აღჭურვის ვალდებულბა (მუხლი 38) .....	65

## სტრასბურგის სასამართლოს მიერ 2013 წლის განხილული

შეჩრიული საქმეების ჩამონათვალი .....	67
--------------------------------------	----

## სტრასბურგის სასამართლოს მიერ 2013 წელს მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების მიმოხილვა

### იურისდიქცია და დასაშვებობა სახელმწიფოთა იურისდიქცია (მუხლი 1)

**საქმე – *Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland*** – ეხება ფულადი აქტივების გაყინვასა და კონფისკაციას, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილება მიიღო შვეიცარიის ხელისუფლებამ გაეროს უსაფრთხოების კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვოდა შესაბამისი სანქციების ჩამონათვალი. შვეიცარიის მთავრობამ აღნიშნა, რომ როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის ხელმომწერს, ევალებოდა, თავის შიდა კანონმდებლობაში აესახა აღნიშნული რეზოლუცია, ისე, რომ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები არ ყოფილიყო ამაში ჩართული. სასამართლომ ეს არგუმენტი უარყო, მიუთითა რა, რომ, ისევე როგორც **საქმეში – *Nada v. Switzerland*** – და განსხვავებით **საქმეებისგან – *Behrami and Behrami v. France* და *Saramati v. France, Germany and Norway*** – შვეიცარიის ხელისუფლების ნარმომადგენლებმა მოახდინეს ზომების იმპლემენტაცია, რათა აემოქმედებინათ ის ვალდებულებები, რომლებიც მათ დაეკისრათ უშიშროების საბჭოს რეზოლუციით. შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ შვეიცარიამ გაატარა სადაც ზომები თავისი „იურისდიქციის“ განხორციელებისას კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე და შესაბამისად, მათ შეეძლოთ დაეკისრებინათ შვეიცარიისთვის პასუხისმგებლობა კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

### დასაშვებობის კრიტერიუმები შიდა საკანონმდებლო ზომების ამონურვა (მუხლი 35 §1)

**საქმეში – *Uzun v. Turkey*** – სასამართლომ განიხილა ანაზღაურების ახალი გზები, რომლებიც ხელმისაწვდომია თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. დასკვნისთვის, ისეთ ინდივიდებს, როგორიც ეს მომჩინანი იყო, მოეთხოვებოდათ აღნიშნული ახალი ლონისძიების (საშუალების) გამოყენება. სასამართლომ ყველა შემდგომი ელემენტი მიიღო მხედველობაში, როგორიცაა: სასამართლოს ბაჟი არ იყო მაღალი, შესაძლებელი იყო იურიდიული დახმარების აღმოჩენა და საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის შეტანის ვადა *a priori* არ იყო დაუსაბუთებელი; საკონსტიტუციო სასამართლო, სადაც მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება შევიდეს საჩივარი, რაც ამონურული იქნება შიდა სამართლებრივი ზომები, აღჭურვილი იყო ანაზღაურების რეალური უფლებამოსილებებით; მას შეუძლია, აუცილებლობის შემთხვევაში მიაკუთვნოს ანაზღაურება, გასცეს განკარგულება ხელახალ განხილვაზე, მიიღოს შუალედური ზომები და ასე შემდეგ; ამას გარდა, მისი გადაწყვეტილებები აღსასრულებლად სავალდებულო ძალის შემნება. შესაბამისად, საჩივარი გამოცხადდა დაუშვებლად შიდა სამართლებრივი ზომების ამონურულობის გამო. თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ შეინარჩუნა მომოჩივნების მიერ შეტანილი საჩივრების განხილვაზე თავისი აბსოლუტური უფლება, რომელთაც ამონურეს ყველა ხელმისაწვდომი შიდა სამართლებრივი ზომები – როგორც ამას მოითხოვს ბრაიტონის დეკლარაციაში ხაზგასმული სუბსიდიარობის პრინციპი. სასამართლომ დააზუსტა, რომ თავისი გადაწყვეტილება ახალი

ზომების ეფექტურობის თაობაზე შეიძლება გადაიხედოს პრაქტიკული გამოცდილების კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პრეცედენტული სამართლის გამოყენების ხარისხით.

**საქმეში – McCaughey and Others v. the United Kingdom** – სასამართლომ დაადგინა ადგილობრივ სასამართლოებში მიმდინარე განხილვების გავლენის თაობაზე (სამოქალაქო და მიმდინარე გამოძიებაზე) სტრასბურგის სასამართლოს მიერ საჩივრის არსებითი და პროცედურული განხილვა, რომელიც ეხება სავარაუდო უკანონო მკვლელობებს, რომლებიც ჩადენილ იქნა 23 წლის უკან. სასამართლომ უარი განაცხადა, განეხილა მომჩივნის არგუმენტი კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის ფრილში, რომ მათი ნათესავები უკანონოდ იყვნენ მოკლული. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა სამოქალაქო სარჩელის განხილვა და რომ კანონიერების საკითხი, ანუ სხვაგვარად – გარდაცვალების, ისევე როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, შეიძლება განსაზღვრულიყო შიდა სამოქალაქო საქმის ნარმოებით. ამას გარდა, სასამართლომ გვერდზე გადადო რა საჩივარი გაჭიანურების თაობაზე, მიიჩნია, რომ მას არ შეუძლია განიხილოს, რამდენად ეფექტურად წარიმართა გამოძიება გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, რადგან შიდა მოკვლევა ამის თაობაზე ახალი დაწყებულია.

შედეგად, გამოძიების გაჭიანურების თაობაზე საჩივრის გამოკლებით, კონვენციის მე-2 მუხლის საჩივრები, ისევე როგორც საჩივარი მე-13 მუხლის მიხედვით, გამოცხადდა დაუმვებლად, რადგან არ იყო ამონურული შიდასამართლებრივი ზომები. გამოძიების გაჭიანურება რა საკვირველია იყო, თუმცა ეს უნდა განვიხილოთ არსებითად, როგორც ჯეროვანი გამოძიების ჩატარების აუცილებლობა და ასევე – გონივრული გათვლებით, რომელიც გამოიყენება განურჩევლად იმისა, დააზიანა თუ არა გამოძიების ეფექტურობა გაჭიანურებამ. ამის მიუხედავად, მაინც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი გამოძიების გაჭიანურების გამო.

## ექვსთვიანი პერიოდი (მუხლი 35 41)

**გადაწყვეტილება – Yartsev v. Russia** – წარმოაჩენს სასამართლოს უფრო მკაცრ მიღეონა კონვენციის 35 §1 მუხლის ინტერპრეტაციისას, შესაბამისი პრაქტიკული მითითებებით, საჩივრის შემოტანის თარიღის განსაზღვრისას. ამგვარად, მომჩივნის უუნარობა, ხელახლა შემოეტანა ჯეროვნად შევსებული საჩივრის ფორმა რვაკვირიანი ვადის ამონურვამდე, რომელიც მოხსენიებულია „სამართალნარმოების დადგენის პრაქტიკულ მითითებებში“, აღმოჩნდა კონვენციის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლების მიხედვით აპლიკაციის შეტანისთვის საბედისწერო და მომჩივანს არ შეეძლო დაყრდნობოდა თავის პირველ კომუნიკაციას, რადგან შეწყვეტილი იყო ექვსთვიანი პერიოდი. შესაბამისად, სასამართლომ უარყო მომჩივნის საჩივარი ექვსთვიანი ვადის დარღვევის გამო. ამას გარდა, რაც შეეხება საჩივრის დაბრუნების ვადებს, სასამართლომ დააკონკრეტა, რომ ფორმა უნდა იყოს არა მარტო ხელმოწერილი და დათარიღებული სარეგისტრაციო წერილის თარიღიდან რვაკვირიანი ვადის განმავლობაში, არამედ ასევე უნდა გაიგზავნოს იგი ამ პერიოდის ამონურვამდე, რაც ხსნის პრაქტიკული მითითებების მე-4 პუნქტს (იხილეთ Abdulrahman v. the Netherlands).

და ბოლოს, **საქმეში – Ngendakumana v. the Netherlands** – განმარტებულია სასამართლოს რეგლამენტის 45 §1 მუხლის გამოყენების ფორმა: საჩივრის ფორმა არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მოცემული თარიღისთვის კანონიერად წარმოდგენილი – თუნდაც იგი შეიცავდეს სასამართლოს რეგლამენტის 47 §1 მუხლით გათვალისწინების კულტურული მითითებების მე-4 პუნქტს (იხილეთ Ngendakumana v. the Netherlands).

ბულ ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას – ვიდრე იგი არ იქნება მომჩივნის, ან მისი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი. შედეგად, საჩივრის ფორმა, რომელიც ხელმოწერილია უცნობი წარმომადგენლის მიერ, არ აჩერებს ექვსთვიანი ვადის პერიოდს.

### კომპეტენცია – *ratione temporis* – (მუხლი 35 გვ. 3)

**გადაწყვეტილება საქმეზე – *Janowiec and Others v. Russia*** – ადგენს ზოგად პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება სასამართლოს დროებითი იურისდიქციის განსაზღვრისას. კერძოდ, დიდმა პალატამ განმარტა ადრე გადმოცემული კრიტერიუმები **საქმეზი – *Ježilj v. Slovenia*** – და ამ მიმართულებით განავითარა თავისი პრეცედენტული სამართალი.

1940 წელს კატინში მასობრივი დახვრეტებისას გარდაცვლილთა ნათესავები ჩიოდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიება არ იყო ადეკვატური ანდა ეფექტური, რითაც სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით ნაკისრი პროცედურული ვალდებულებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნილთა ნათესავები 58 წლის წინ დახვრიტეს, ვიდრე ევროპული კონვენციია ძალაში შევიდოდა რუსეთთან მიმართებით. გამოძიება, რომელიც 1990 წელს დაიწყო, ოფიციალურად შეწყდა 2004 წელს, თუმცა არანაირი საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა მას შემდეგ, რაც მოპასუხე სახელმწიფო გახდა კონვენციის ხელმომწერი.

**საქმე – *Janowiec and Others*** – არის პირველი, რომელშიც სადავო გარდაცვალებასა (1940) და მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიცირებას შორის (1998 წლის 5 მაისი) დროის მონაკვეთი, არ იყო შესაბამისად მოვლე და რომელშიც გამოძიების დიდი ნაწილი არ განხორციელდა კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ. დიდმა პალატამ განსაზღვრა ასეთ სიტუაციებში გამოსაყენებელი პრეცედენტული სამართლის პრინციპები.

სასამართლოს აზრით, ასეთი სახის სიტუაცია შეიქმნას მისი დროებითი იურისდიქციის ქვეშ, თუ მაინიცირებელ მოვლენას ჰქონდა უფრო ფართო განზომილება, ვიდრე ჩვეულებრივ სისხლისამართლებრივ დანაშაულს და წარმოადგენდა თვით კონვენციის საფუძვლების უარყოფას, როგორც ეს იყო ამ საქმის საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, როგორიცაა ომის დანაშაული, გენოციდი ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, სათანადო საერთაშორისო ინსტრუმენტებში მოცემულ განმარტებებთან შესაბამისად. ამის მიუხედავად, სასამართლომ განსაზღვრა, რომ ეს წესი არ შეიძლება გამოიყენებოდეს იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც განვითარდა 1950 წლის 4 ნოემბრამდე, ვიდრე კონვენცია ძალაში შევიდოდა, რადგან ეს იყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონვენციამ, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებამ, დაიწყო არსებობა. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ხელმომწერ მხარეს არ შეეძლო ეკისრა კონვენციის მიხედვით პასუხისმგებლობა იმაზე, რომ არ გამოიძია თუნდაც საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული უმძიმესი სისლისსამართლებრივი დანაშაულები, თუკი ისინი კონვენციამდე იყო ჩადენილი.

ამ შემთხვევაში მოვლენები, რომლებსაც შესაძლოა გამოეწვია მე-2 მუხლით გათვალისწინებული გამოძიების ჩატარების ვალდებულება, განვითარდა კონვენციის შექმნამდე 10 წლით ადრე. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მას არ გააჩნდა საჩივრის განხილვის იურისდიქცია.

## „ძირითადი უფლებები“ სიცოცხლის უფლება (მუხლი 2)

**საქმეში – Aydan v. Turkey** – უანდარმმა, რომელიც ატარებდა სამხედრო მანქანას და აღმოჩნდა დემონსტრანტების წინაშე, გამოიყენა თავისი იარაღი ავტომატური მართვით, რამაც შედეგად გამოიწვია დემონსტრანტების მხარეს გამვლელის სიკვდილი. როგორც ასიზთა, ისე საკასაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ დაეკისრებინათ განსასჯელისთვის სისხლის სამართლის სასჯელი, რადგან უანდარმმა გადააჭარბა თავდაცვის დაშვებულ ზღვარს, ვინაიდან იმყოფებოდა ემოციური, შიშისა თუ პანიკის გამოუვალ მდგომარეობაში.

სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ უანდარმის ბრალეულობისგან განთავისუფლება, რომელმაც ვერ დაასაბუთა თავისი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აუცილებლობა, მაშინ, როცა კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამგვარი ლეტალური ძალის გამოყენება არ იყო „აბსოლუტურად აუცილებელი“, სრულიად შეუთავსებელი იყო კონვენციის მოთხოვნებთან.

უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი მორალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობები, რათა ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ფუნქციები – ეს გამოიყენება *a fortiori*, უშიშროების სამსახურის წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც მსახურობენ განსახილველი დროისთვის უკიდურესი დაძაბულობით გამორჩეულ რეგიონში, მაშინ, როცა ასეთი არეულობები იყო მოსალოდნელი. უანდარმისათვის ბრალეულობის მოხსნის ფაქტი, რომელმაც ვერ ვერ დაასაბუთა თავისი იარაღის გამოყენების აუცილებლობა, უნდა განიმარტოს, როგორც უშიშროების ძალებისთვის სრული კარტ-ბლანშის მიცემა. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ეს უკანასკნელი ვალდებული იყო დარწმუნებულიყო, რომ ასეთი იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შესაბამის გარემოებებში და იმგვარად, რომ შემცირებული იყოს უსაფუძვლო ზიანის მიყენების რისკი.

ფეხმძიმე ქალის სიკვდილმა, რომელიც გამოიწვია შესაბამისი საავადმყოფოს განყოფილების უკიდურესმა გაუმართაობამ, რამაც განაპირობა ის, რომ პაციენტს უარი ეთქვა შესაბამის გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე, წამოჭრა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების საკითხი. კერძოდ, **საქმე – Mehmet Senturk and Bekir Senturk v. Turkey** – ეხებოდა აუცილებელი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების არარსებობის გამო დამდგარ ფატალურ შედეგებს, იმ მიზეზით, რომ პაციენტმა ვერ შეძლო საავადმყოფოს ხარჯების დაფარვა, რომელიც წინასწარ იყო გადასახდელი. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, დაეცვა მომაკვდავი პაციენტის უფლებები, რაც გამოიხატა იმაში, რომ შესაბამისი საავადმყოფოს განყოფილებებმა ვერ აღმოუჩინეს მას გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, რაც მას ცალსახად ესაჭიროებოდა, როდესაც მიიყვანეს საავადმყოფოში და ექიმებმა შეაფასეს მისი მდგომარეობის სიმძიმე. შიდა კანონმდებლობამ ვერ შეძლო პაციენტის მკურნალობაზე უარის შემთხვევაში, მოეხდინა გამოწვეული შედეგების პრევენცია. შესაბამისად, სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლი დარღვეულად მიიჩნია.

ბრალეულობა, რომელიც თან ახლდა სამედიცინო პერსონალის ქმედებას, გასცდა მხოლოდ უბრალო შეცდომის, ან სამედიცინო გულგრილობის ფარგლებს, იმდენად, რამდენადაც ექიმებმა, ფლობდნენ რა სრულ ინფორმაციას ფაქტებზე, თავიანთი პროფესიული ვალდებულებების დარღვევით, არ მიიღეს ყველა აუცილებელი გადაუდებელი ზომა, რათა ეცადათ პაციენტის სიცოცხლის გადარჩენა. იმ შემთხვევამ, სადაც პაცი-

ენტი წააწყდა საავადმყოფოს პერსონალის უუნარობას, უზრუნველეყოთ იგი შესაბა-  
მისი სამედიცინო მომსახურებით, რამაც გამოიწვია პაციენტის სიცოცხლის საფრთხეში  
ჩაგდება, ასევე იმ ფაქტმა, რომ მათ, ვინც პასუხისმგებელნი იყვნენ სიცოცხლისათვის  
საფრთხის შექმნაზე, არ წარედგინათ სისხლისამართლებრივი წესით ბრალი, თავის  
მხრივ გამოიწვია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. სასამართლომ ასევე დაასკვნა,  
რომ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული წარმატები იმით, რომ ქმედების  
სიმძიმის გათვალისწინებით, მასში მონაწილე პირთა გაშვებით და სხვა სამართლებრი-  
ვი დაცვის ზომების გვერდის ავლით, რომლებიც შესაძლოა ხელმისაწვდომი ყოფილი-  
ყო მომჩივანისთვის, სახელმწიფომ ვერ განახორციელა ეფექტური სისხლისამარ-  
თლებრივი გამოძიების ჩატარება სიკვდილის გარემოებების დასადგენად.

**გადაწყვეტილება – *Turluyeva v. Russia*** – პირველია ჩეჩენთა გაუჩინარების საქმეზე,  
სადაც სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პო-  
ზიტიური ვალდებულებების დარღვევა (ნორმა, რომელიც ასევე აკისრებს უარყოფით  
ვალდებულებას არ წაართვას სიცოცხლე და გამოძიების ვალდებულებას). მომჩივა-  
ნის ვაჟი ბოლოს ნახეს უშიშროების ძალების ხელში. არ მოიპოვებოდა მისი დაპატიმ-  
რების ოქმი, თუმცა არსებობდნენ თვითმხილველი მოწმეები, რომლებიც ამტკიცებ-  
დნენ როგორც მის პატიმრობაში ყოფნას, ასევე შესაძლო სასტიკ მოპყრობასაც. ალ-  
ნიშნულ საქმეზე სასამართლომ ხაზი გაუსვა სამართალდამცავი ორგანოების მხრი-  
დან დაუყოვნებელი და ჯეროვანი რეაქციის აუცილებლობას, როგორც კი ხელისუფ-  
ლების წარმომადგენლებმა მიიღეს დამაჯერებელი ინფორმაცია მის თაობაზე, რომ  
დაკავებული პირი გაუჩინარდა სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში. ამ შემთხვევაში,  
გასატარებელი ზომები, შესაძლოა მოიცავდნენ შენობების (სათავსების) დაუყოვნებ-  
ლივ ინსპექციას; საექსპერტო მეთოდების გამოყენებას, რომლის მიზანია ცალკეუ-  
ლი კვალის შეგროვება, რომელიც შესაძლოა დარჩენილიყო დაკარგული პიროვნების  
ადგილზე ყოფნისას ან მის მიმართ სასტიკი მოპყრობისას; და ასევე მოიცავს საქმეში  
მონაწილე სამხედროების იდენტიფიცირებასა და დაკითხვას. ყველა გარემოებაში სა-  
ხელმწიფოს წარმომადგენელთა უუნარობა, ემოქმედათ სწრაფად და ჯეროვნად, უნ-  
და განვიხილოთ, როგორც მომჩივნის ვაჟის სიცოცხლის უფლების დაუცველობა, რო-  
მელიც გაუჩინარდა საიდუმლო (ფარული) დაპატიმრების შედეგად.

**გადაწყვეტილება – *Aslakhanova and Others v. Russia*** – დამატებით აზუსტებს, რომ  
სასამართლომ კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, განსაზღვრა მთელი რიგი სამარ-  
თლებრივი დაცვის მექანიზმები, რომლებიც უნდა გატარდეს მსხვერპლთა ოჯახებ-  
სა და საგარაუდო გაუჩინარების ფაქტების ეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით.

### **წამების აკრძალვა, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი (მუხლი 3)**

დიდმა პალატამ შეაჯამა თავისი პრეცედენტული სამართალი „გაუჩინარებული პი-  
რების“ ოჯახების წევრთა გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებაში – *Ja-  
nowiec and Others*. კერძოდ, მან კვლავ აღნიშნა, რომ „გაუჩინარებულ პირთა“ ოჯახის  
წევრების ტანჯვა, რომელთაც განვლეს სასოწარკვეთილებისა და მოლოდინის გრძე-  
ლი პერიოდი, შეიძლება გაამართლოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დადგე-  
ნა, განსაუთრებით ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან უგულისყურო მიდ-  
გომის შემთხვევებში, რასაც ისინი იჩენდნენ დაზარალებულთა მიმართ ინფორმაცი-  
ის მოთხოვნისას. დიდმა პალატამ ასევე გაიმეორა კონვენციის მე-3 მუხლის მიხედ-  
ვით გამოყენებული პრეცედენტული სამართლის პრინციპები გარდაცვლილ პირთა  
ნათესავების შემთხვევაში და იმ გარემოებებში, რომელშიც სასამართლომ დაადგი-

ნა კონვენციის მე-3 მუხლის ცალკეული დარღვევა ასეთი ნათესავების მიმართ.

იმისათვის, რომ მომჩინების მიმართ, რომლებიც იყვნენ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის მსხვერპლის ნათესავები, დადგინდეს მე-3 მუხლის ცალკეული დარღვევა, უნდა არსებობდეს სპეციალური ფაქტორები, რომლებითაც განისაზღვრება მათი ტანჯვა, ემოციური სტრესი, რომელიც გარდაუვალად გამომდინარეობს თავად დარღვევიდან. შესაბამისი ფაქტორები მოიცავდა ოჯახური კავშირების სიახლოვეს, რა ხარისხითაც ოჯახის წევრები იყვნენ განსახილველი მოვლენების მოწმეები და მომჩინების ჩართულობას თავიანთ ნათესავებზე ინფორმაციის მოპოვების მცდელობისას.

## გაძევება

**გადაწყვეტილება საქმეზე – *Savriddin Dzhurayev v. Russia*** – ეხება მომჩივანის მოტაცებას დაუდგენელი პირების მიერ და მის იძულებით ტრანსფერს, მიუხედვად იმისა, რომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე მიღებული ჰქონდა დროებითი ლონისძიების თაობაზე გადაწყვეტილება, რომელიც ექსტრადირების აკრძალვას ეხებოდა. უპირველესად, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს პრევენციული ოპერატიული ზომების მიღება მომჩივნის დასაცავად მისი ტაჯიკეთში იძულებითი ტრანსფერის საწინააღმდეგოდ, კერძოდ, მოსკოვის აეროპორტში. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს განეხორციელებინათ მათზე დაკისრებული პროცედურული ვალდებულებები, რაც გულისხმობს ეფექტური გამოძიების ჩატარებას მომჩივნის მოტაცებასა და მისი იძულებითი ტრანსფერის საქმეზე. და ბოლოს, სასამართლომ ფაქტებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ იძულებითი ტრანსფერი ვერ გახორციელდებოდა სახელმწიფოს წარმომადგენელთა ინფორმირებულობისა და მათი პასიური თუ აქტიური მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

**თავის გადაწყვეტილებაში – *K.A.B. v. Sweden*** – სასამართლომ შეაფასა 2013 წელს მოგადიშუში გაძევებასთან დაკავშირებული რისკები. 2011 წლის გადაწყვეტილებაში – *Sufi and Elmi v. the United Kingdom* – სასამართლომ დაადგინა, რომ ძალადობის ხარისხი იმდენად ინტენსიური იყო, რომ ნებისმიერი, ვინც ქალაქში იმყოფებოდა, იქნებოდა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპურობის რისკის ქვეშ. ქვეყნის თაობაზე არსებული ყველაზე ბოლო ინფორმაციის გათვალისწინებით, სასამართლომ გადაწყვეტილებაში – *K.A.B. v. Sweden* – დაასკვნა, რომ უსაფრთხოების მხრივ სიტუაცია გამოსწორდა 2011 წლიდან, ან 2012 წლის დასაწყისიდან და ძალადობის ზოგადი დონე ქალაქში შემცირდა. სასამართლომ დაადგინა, რომ იგი აღიარებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვა და უსაფრთხოების მხრივ სიტუაცია კვლავ სერიოზული და სათუთა, ასევე მრავალი თვალსაზრისით არაპროგნოზირებადი, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო ისეთი ხასიათის, რომ ყველანი მოქეცია ქალაქში კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპურობის რისკის ქვეშ. და ბოლოს, მომჩივნის პირადი მდგომარეობის შეფასების შემდეგ (ის არ მიეკუთვნებოდა რომელიმე ჯგუფს, რომელიც იმყოფებოდა ალ-სააბის სამიზნე ჯგუფის რისკის ქვეშ და სავარაუდოდ ჰქონდა სახლი მოგადიშუში, სადაც მისი ცოლი ცხოვრობდა) სასამართლომ დასკვნა, რომ მან ვერ წარადგინა დამაჯერებელი არგუმენტი, რომ იგი დადგებოდა მკვლელობის ან სასტიკად მოპურობის რისკის წინაშე, თუ დაბრუნდებოდა. ამასთან დაკავშირებით შვედეთი არ დაარღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანს გადაიყვანდა მოგადიშუში.

## განაჩენი

თავის გადაწყვეტილებაში – *Vinter and Others v. the United Kingdom* – დიდმა პალატამ დაადგინა ზოგადი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება სამუდამო პატიმრობის განაჩენის დადგომისას. საჩივარი სტრასბურგის სასამართლოში შეიტანა სამმა მომჩივანმა, რომლებსაც მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა სხვადასხვა მკვლელობისთვის. სამივეს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათი გათავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ შეწყალების საფუძველზე, რომელიც მკაცრად იყო განსაზღვრული და ლიმიტირებული.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ სამუდამო პატიმრობამისჯილ სრულწლოვან პირთა საქმეებზე, რომლებმაც ჩაიდინეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომელიც არ იყო შეუთავსებელი კონვენციის მე-3 მუხლთან, აღნიშნული ნორმა მოითხოვდა, რომ ამგვარი განაჩენები ყოფილიყო შემცირებადი. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფო-ებში, ისევე როგორც ევროპულ და საერთაშორისო სამართალში, ხაზგასმულია სამუდამო პატიმრობამისჯილთა რებილიტაციის საკითხი და შესაძლო გათავისუფლების პერსპექტივების შეთავაზების საჭიროება. შესაბამისად, სამუდამო პატიმრობის განაჩენის შემთხვევაში, რომელიც შეთავსებადია კონვენციის მე-3 მუხლთან, უნდა არსებობდეს როგორც მსჯავრდებულის გათავისუფლების პერსპექტივა, რომელსაც სასამართლო განარჩევს შეწყალებით გათავისუფლების საფუძვლებისგან, ასევე, ასეთი განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობა.

სასამართლომ განსაზღვრა, რომ ვინაიდან, ისევე როგორც ამ შემთხვევაში, შიდა კანონმდებლობამ ვერ უზრუნველყო რაიმე მექანიზმი ან შესაძლებლობა, სრულად გადაესინჯა სამუდამო პატიმრობის განაჩენი, კონვენციის მე-3 მუხლთან შეუთავსებლობა ამ საფუძველზე წამოიჭრა თავიდანვე, როდესაც პირს დაეკისრა სამუდამო პატიმრობა. თუმცა, სასამართლომ გადაწყვეტილებაში ასევე ნათლად დაადგინა, რომ დარღვევის დადგენა არ უნდა იყოს ისე გაგებული, როგორც დაუყოვნებლივი გათავისუფლების რაიმე პერსპექტივა.

სასამართლომ პირველად განიხილა სხვა ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით დაკისრებული სასჯელის სანგრძლივობა, რომელიც მსჯავრდებულმა პირმა მოიხადა თავის სამშობლოში პატიმართა გადაცემის შესახებ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე (*Willcox and Hurford v. the United Kingdom*). აღნიშნული საქმე ეხება ბრიტანეთის ორი მოქალაქის გადაცემას გაერთიანებული სამეფოსთვის, რათა მოეხადათ დაკისრებული სასჯელი (სამუდამო პატიმრობა მათ შეუმცირდათ 29 წელსა და სამ თვემდე – ერთ საქმეზე და 36 წელსა და 8 თვემდე – მეორე საქმეზე), რომელიც დაეკისრათ მათ ტაილანდში ნარკოტიკების ფლობასა თუ შეტანაში. ისინი ჩიოდნენ, რომ ტაილანდში დაკისრებული სასჯელი იყო უაღრესად ხანგრძლივი და მათი განგრძლივითი პატიმრობა დიდ ბრიტანეთში არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებულ მათ უფლებებს. სასამართლომ აღნიშნა: მომჩინენები თუნდაც რომ არ გადაეყვანათ, ტაილანდში მათი განგრძლივითი პატიმრობის პირობები საკმაოდ მკაცრი და ლირსების შემლახავი იყო. სასამართლოს აზრით, პარადოქსული იქნებოდა, თუკი კონვენციის მე-3 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვა იმგვარად იმოქმედებდა, რომ პატიმრებს აეკრძალებოდათ გადაყვანა, რათა თავიანთი განაჩენი უფრო ჰუმანურ პირობებში მოეხადათ.

## პატიმრობა

საქმე – *Salakhov and Islyamova v. Ukraine* – ეხება არასაკმარის სამედიცინო მომსახუ-

რებას (მზრუნველობას) ციხეში იმ პატიმრის მიმართ, რომელიც გარდაიცვალა შიდ-სით, გათავისუფლებამდე ორი კვირით ადრე. სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართალი შეიმუშავა კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, როგორია ფსიქოლოგიუ-რი ზეგავლენა მსხვერპლის ოჯახის წევრებზე ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევასთან მიმართებით. ამ შემთხვევაში დედა სრულიად უმწეოდ გამოიყურებოდა, რადგან მისი ვაჟი წინასწარი პატიმრობის იზოლატორში უკვე მომაკვდავი იყო. უნინარესად, ეყრდნობა რა თავის პრეცედენტულ სამართალს იძულებით გაუჩინა-რებულ პირთა ნათესავების მიმართ, სასამართლო ადგენს დარღვევას დედის ფსი-ქოლოგიური (სულიერი) ტანჯვის გამო, როდესაც იგი პირისპირ დგება მისი შვილის ციხეში შიდსით გარდაცვალების პერსპექტივის წინაშე, ყოველგვარი სამედიცინო დახმარების გარეშე და მუდმივად ადევს ხელბორკილი. სასამართლომ ასევე დაად-გინა დარღვევა ამ საკითხის მიმართ ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გა-მოვლენილი მიდგომის გამო.

**გადაწყვეტილება – *D.F. v. Latvia*** – ადგენს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით თანამესაკნე პატიმრების მხრიდან ძალადობის განხორციელების ში-შის ქვეშ მყოფ პატიმრებთან მიმართებით. ასეთ პირობებში ამყოფებდნენ პოლიცი-ის ყოფილ ფასიან ინფორმატორს, რომელიც თავისი თანასაკნელი პატიმრების მხრი-დან ძალადობრივი მოპყრობის მუდმივი რისკის ქვეშ იყო და ამასთანავე, ციხის ადმი-ნისტრაციას წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ დაედგინა მისი პოლი-ციასთან თანამშრომლობა და გადაეყვანათ უსაფრთხო საკანში.

სასამართლომ დაადასტურა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებული იყენენ გადაედგათ ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა აღეკვეთათ პატიმ-რის ფიზიკური ხელშეუხებლობის მიმართ არსებული რეალური და დაუყოვნებელი რისკი, რომლის თაობაზეც მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ ევროპულმა კომიტეტმა მიუთითა, რომ ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია მიიღოს განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომები, რათა ებრძოლოს ციხის შიგნით არსებუ-ლი ძალადობის ფენომენს. ასეთი ვალდებულება უფრო მეტად ვრცელდება სექსუა-ლური ძალადობის გამო გასამართლებულ პატიმრებსა და პოლიციის ინფორმატო-რებზე, რომლებიც თავიანთი თანასაკნელი პატიმრების მხრიდან ძალადობრივი მოპყრობის განსაკუთრებულად მაღალი რისკის ქვეშ არიან. მომჩივანის საქმის მასალე-ბის მიხედვით და განსაკუთრებით ეფექტური მექანიზმების არარსებობის გათვალის-წინებით, მომჩივანის მიმართ არსებული რეალური (და აღიარებული) საფრთხეები-დან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

### ოჯახური ძალადობა

ქალების მიმართ არსებული ოჯახური ძალადობის ფაქტები წამოჭრის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების საკითხს კერძო პირების მიერ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ დადგენილია პრეცედენტული სამართალი, რომ-ლის თანახმადაც შიდა კანონმდებლობა პრაქტიკაში უნდა უზრუნველყოფდეს ადეკ-ვატურ დაცვას კერძო პირების მიერ ძალადობის განხორციელების წინააღმდეგ.

**საქმეში – *Valiuliene v. Lithuania*** – სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, მას შემდეგ, რაც უარი თქვა მიეღო მოპასუხე სახელმწიფოს ცალმხრივი

დეკლარაცია, აღიარა რა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. ამ შემთხვევაში პრო-ცედურული ნაკლოვანებები და გამოძიებისას დაშვებული შეცდომები ნიშნავდა იმას, რომ მოძალადე პარტნიორის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა ხანდაზმული გახდა. **საქმეში – Eremiav. the Republic of Moldova** – სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურატურის წარმომადგენლებმა ასევე შებლალეს სისხლის სამართალში არსებული ხელახალი დანაშაულის ჩადენის შემაკავებელი აუცილებელი ეფექტი სისხლის სამართლებრივი განხილვების შეჩერებით, რომელიც მიმდინარეობდა მოძალადე ქმრის წინააღმდეგ, მიუხედავად თავის ცოლზე მრავალი თავდასხმისა.

### დემონსტრაციების ძალადობრივი გზებით დაშლა

**საქმეში – Abdullah Yasa and Others v. Turkey** – სასამართლომ განიხილა დემონსტრანტების მიმართულებით ცრემლსადენი გაზის ბალონის გასროლა სპეციალური სატყორცნი ჯანშანმანქანებიდან. მომჩივანს, რომელიც განსახილველი მოვლენების დროს 13 წლის იყო, სახეში მოხვდა პოლიციის ოფიცრის მიერ ნასროლი გაზის ბალონი. ამ გარემოებებში და მომჩივნისთვის მიყენებული სერიოზული დაზიანებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია: ის ფაქტი, რომ ბალონი ისროლეს პირდაპირ და უშუალოდ ხალხის მიმართულებით, წარმოადგენს არაპროპორციულ პასუხს, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის განხილვისას.

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ პირდაპირ და უშუალოდ ხალხის მიმართულებით დამიზნებით ცრემლსადენი ბალონის სროლა, არ შეიძლება განიხილებოდეს პოლიციის მხრიდან შესაბამის ქმედებად, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული და ზოგჯერ – ფატალური დაზიანებებიც კი; ცრემლსადენი გაზის ბალონის ზევით სროლა ზოგადად მიჩნეულია როგორც შესაბამისი მეთოდი, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი უნდა იყოს დემონსტრანტთა დაზიანებისა თუ გარდაცვალების თავიდან აცილება, თუ იგი ვინმეს მოხვდება. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციები ჯეროვნად უნდა იყოს მოწესრიგებული ეროვნული კანონმდებლობის მიერ, როგორც თვითნებობისა და ძალის გადამეტების წინააღმდეგ მიმართული ადეკვატური დაცვის სისტემის ნაწილი.

### პოლიციის შექრა (ჩარევა) საცხოვრისში (სახლში)

**საქმეში – Gutsanovi v. Bulgaria** – ცნობილი ადგილობრივი პოლიტიკოსი, რომელიც საერთოდ არ შეინიშნებოდა ძალადობრივ ქმედებებში, თავის საცხოვრებელ სახლში დილით დააპატიმრა სპეციალური დანიშნულების შეიარაღებულმა და ნიღბიანმა პოლიციელების ჯგუფმა, რომელთათვისაც ცნობილი იყო, რომ სახლში იმყოფებოდნენ მძინარე ბავშვები. როდესაც არავინ უპასუხა მათ ბრძანებას შესასვლელი კარის გახსნაზე, პოლიციის ოფიცირებმა ის შეამტკრიეს და ძალით შევიდნენ სახლში, გააღვიძეს პოლიტიკოსის მეუღლე და ბავშვები. მომჩივანი გაიყვანეს ცალკე ოთახში და სახლი სრულად გაჩერიკეს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა მომჩივნის, მისი მეუღლისა და ბავშვების მიმართ. სასამართლოს არგუმენტები ემყარებოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან დაუგეგმავი ოპერაციის ჩატარებას მომჩივნის სახლში. სასამართლოს შეფასება გამოყენებული ძალის პროპორციულობაზე, ოპერაციის დაგეგმვისა და შესრულების სტადიების გათვალისწინებით, შეგ-

ვახსენებს სასამართლოს მიდგომას, რომელიც მან დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევისას **საქმეში – McCann and Others v. the United Kingdom.**

სასამართლომ ახსნა, რომ თავის გადაწყვეტილებაში ის გულისხმობს იმას, რომ უსაფრთხოების ძალებს მოსთხოვოს, თავი შეიკავონ კრიმინალში ეჭვმიტანილი პირების დაკავებისგან თავიანთ საცხოვრებელში, გაითვალისწინონ, არიან თუ არა იქ ეჭვმიტანილების ბავშვები თუ მუსლინები. ეჭვმიტანილი პირის ოჯახის წევრების შესაძლო ყოფნა დაკავების ადგილას იყო ის გარემოება, რომელიც მხედველობაში უნდა მიეღო პოლიციას ოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელებისას, რაც არ იყო დაცული მომჩივანის შემთხვევაში და უსაფრთხოების ძალებმა არ გაითვალისწინეს ოპერაციის ჩატარების ალტერნატიული გზები, ისეთი როგორიცაა, მაგალითად, ოპერაციის ჩატარება შედარებით გვიან საათებში, ან თუნდაც, ოპერაცია ჩატარებულიყო სხვა დანაყოფის პოლიციელების მიერ. ეს განსაკუთრებით აუცილებელი იყო მუსლინისა და მცირენლოვანი ბავშვების ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე, რადგანაც მუსლინები უნდა მიერთონ და მომჩივანის ორი ქალიშვილი ფსიქოლოგიურად მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნებოდა, მათი ასაკიდან გამომდინარე (5 და 7 წლისანი იყვნენ). ფსიქოლოგმა ჩვენებით დაადასტურა მუსლინისა და ბავშვებისთვის მიყენებული ტანჯვა.

#### მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა (მუხლი 4)

თავის გადაწყვეტილებაში – *Floroiu v. Romania* – სასამართლომ განიხილა დაკავებული პირისათვის განაჩენის შემცირების გზით ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა ციხეში განეული შრომისთვის. სასამართლომ პირველად აღიარა, რომ ციხეში შრომა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „ანაზღაურებადი“ სამუშაო არამარტო მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფულადია, არამედ მაშინაც, როდესაც ამან მიიღო განაჩენის მნიშვნელოვნად შემცირების ფორმა. ეს ასევე იყო პირველი საქმე, რომელიც სასამართლომ განიხილა მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვარს მიღებული ევროპული ციხეების შესახებ წესების ახალი ვერსიის მიღების შემდეგ, სადაც მითითებულია, რომ „უნდა არსებობდეს პატიმრების მიერ შესრულებული სამუშაოსთვის ადეკვატური ანაზღაურება“.

#### თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მუხლი 5)

##### თავისუფლების შეზღუდვა (აღკვეთა)

სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, საკითხი, იყო თუ არა „თავისუფლება შეზღუდული“ – და შესაბამისად, მე-5 მუხლის თანახმად არსებული გარანტიების გამოყენება – უნდა ეფუძნებოდეს თითოეული საქმის კონკრეტულ ფაქტებს. გადაწყვეტილება – *M.A. v. Cyprus* – მიღებული იყო განსაკუთრებულ კონტექსტში: ის ეხებოდა პოლიციის ფართომასშტაბიან ოპერაციას ლამის სამსახურის უცხოელი მოქალაქეების საპროტესტო მიტინგზე, რომელიც ქალაქის ცენტრში იყო გამართული, დემონსტრაცია ავტობუსებით გადაყვანას პოლიციის განყოფილებაში და მათ მოკლევადიან დაკავებას მიმდებარე შენობაში საიმიგრაციო სტატუსის დასადგენად. სასამართლომ აღიარა, რომ მომჩივანსა და სხვა მომიტინგებს არც ერთხელ არ გაუწევიათ რაიმე სახის წინააღმდეგობა; მათ არ დაადგეს ხელბორკილები; ისინი არ ყოფილან დაპატიმრებულები პოლიციის იზოლატორში და ამასთანავე კარგად ეპყრობოდნენ – მიეწოდებოდათ საკვები და სასმელი; პოლიციის განყოფილებაში გატარებული პერიოდი იყო შესაბამისად ხანმოკლე. ამის მიუხედავად, სასა-

მართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ განხორციელებული ოპერაცია თავისი ბუნებით იყო იძულებითი, რომელმაც მომჩივანსა და სხვა მომიტინგებს არ დაუტოვა სხვა არაფერი, გარდა ოფიცერთა ბრძანებების დამორჩილებისა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მთელი რიგი ფაქტორებისა, ოპერაციის ხასიათის, მასშტაბისა და მიზნის გათვალისწინებით და ასევე, ის ფაქტი, რომ ოპერაცია ჩატარდა გამთენისას. ფაქტებზე დაყრდნობით სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა „თავისუფლების შეზღუდვას“. სასამართლოს აზრით, იძულების ელემენტი იყო გადამწყვეტი ფაქტორი და არა ხელბორკილების არარსებობა, მომჩივნის მოთავსება საკანში თუ სხვა ფიზიკური აკრძალვები. რაც შეეხება პატიმრობის კანონიერებას, მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, მაგრამ ეს არ ამართლებდა თავისუფლების შეზღუდვას ნათლად დადგენილი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

**საქმე – Gahramanov v. Azerbaijan** – ეხება მოგზაურის დაკავებას აეროპორტში სასაზღვრო ოფიცირის მიერ უსაფრთხოების ჩერეკის ჩატარების მიზნით, რადგან მომჩივნის სახელი აღმოჩნდა ხელისუფლების მონაცემთა ბაზაში „დასაკავებელ პირთა“ შორის. იგი გაიყვანეს სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის შენობაში მისი სტატუსის დასადგენად და მხოლოდ მას შემდეგ მისცეს აეროპორტის დატოვების უფლება, რაც გაირკვა, რომ მისი დაკავების შესახებ გაცემული ბრძანება იყო მხოლოდ ადმინისტრაციული შეცდომა. სასამართლომ თავის პრაქტიკაში პირველად განიხილა საკითხი ასეთ სიტუაციაში „თავისუფლების შეზღუდვის“ შესახებ.

ეყრდნობა რა ზემოხსენებულ *Austin and Others*-ის საქმეში დადგენილ პრინციპებს, სასამართლო განსაკუთრებით მიიჩნევს, რომ როდესაც სასაზღვრო ოფიცერმა გააჩერა მგზავრი აეროპორტში სასაზღვრო კონტროლის გავლისას, რათა გაერკვია მისი მდგომარეობა და როდესაც დაკავება არ აღემატებოდა იმ დროს, რომელიც მკაფირადა განსაზღვრული შესაბამისი ფორმალობების შესასრულებლად, არანაირი საკითხი არ შეიძლება წამოიჭრას კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით. ფაქტების თანახმად, საქმეში არ იყო მითითებული, რომ მომჩივნის დაყოვნება (რამდენიმე სათით) აეროპორტის მოსაცდელ ოთახში აჭარბებდა შესაბამისი ადმინისტრაციული ფორმალობებისთვის განსაზღვრულ დროს, რაც საჭიროა მდგომარეობის გასარკვევად. მომჩივანი დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს შემოწმების გავლის შემდეგ. ასეთ გარემოებებში მისი დაკავება არ შეიძლება იყოს თანაბარზომიერი კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვის მნიშვნელობასთან.

**გადაწყვეტილებაში – Blokhin v. Russia** – სასამართლომ განიხილა არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის დროებით პატიმრობაში მოთავსება. მომჩივანმა, რომელიც მაშინ 12 წლის იყო, ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი დანაშაულები, მაგრამ არ გასამართლდა სისხლის სამართლებრივი წესით, რადგან არ იყო შესაბამის ასაკს მიღწეული. ამის მიუხედავად, იგი წარსდგა სასამართლოს წინაშე, რომელმაც ბრძანა მისი გადაყვანა შესაბამის ცენტრში 30 დღის მანძილზე „მისი საქციელის გამოსწორების“ მიზნით და ასევე, შემდგომში, მომჩივნის მხრიდან მცირე დანაშაულის ჩადენის პრევენციის მიზნით.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს ჩამოერთვა თავისუფლება, ვიდრე იგი იმყოფებოდა დაკავების ცენტრში. აღნიშნული დასკვნის მიღებისას სასამართლომ აღნიშნა, რომ ცენტრი ჩაკეტილი იყო და მას ჰყავდა დაცვა, რათა გამორიცხულიყო ნებართვის გარეშე შენობის დატოვების ნებისმიერი მცდელობა. დაკავებულებს დეტალურად ჩხრეკდნენ შესვლისას, მათ ყველა კუთვნილი საგანი ჩამოართვეს და მკაფირი სადისციპლინო რეჟიმი მოქმედებდა.

## კანონიერი დაკავება (მუხლი 5 §1)

იმავე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მიზანი, რის გამოც მომჩივანი მოათავსეს დროებითი დაკავების ცენტრში, სახელდობრ „მისი საქციელის გამოსწორება“ და მის მიერ შემდგომში მცირე სამართალდარღვევების ჩადენის პრევენცია, არ ჯდება მე-5 მუხლის პირველი ნაწილის (ბ), (გ) ან (დ) ქვეპუნქტებში და რომ (ე) და (ვ) ქვეპუნქტები ცალსახად არ იყო ამ საქმის რელევანტური. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ (დ) ქვეპუნქტის თანახმად, მომჩივნის დაკავება არ შეიძლება მივიჩნიოთ დროებით საპატიმრო ღონისძიებად, რომელიც წინ უძლოდა მის მოთავსებას დახურულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან ნებისმიერ სხვა ღონისძიებას, რომელიც მოიცავდა „საგანმანათლებლო ზედამხედველობას“. ამ უკანასკნელ არგუმენტზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგიერთი საგანმანათლებლო ზომა, რომელიც მიღებული იყო მომჩივანთან დაკავშირებით, იყო არაჯეროვანი, რათა დასაბუთებულიყო კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის (დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაკავება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადგილობრივი განხილვებიდან ნათელი იყო, რომ მომჩივანის დაკავების მთავრი მიზანი იყო მის მიერ შემდგომში დანაშაულის ჩადენის პრევენცია. რაც შეეხება (ა) ქვეპუნქტს, სასამართლომ შენიშნა, რომ მომჩივანი არ იყო მსჯავრდებული ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, რადგან იგი არ იყო სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული; მისი მოთავსება ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა ცენტრში არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც „კომპეტენტური სასამართლოს მიერ კანონიერი დაპატიმრება“, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის (ა) ქვეპუნქტის მიხედვით.

## კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირისა (მუხლი 5 §1 (ა) ქვეპუნქტი)

მსჯავრდებული პირის განგრძობითმა პატიმრობამ, მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაადგინა, რომ „განაჩენი“ კონვენციის მე-7 მუხლის საწინააღმდეგოდ იყო დაკისრებული, წამოჭრა პატიმრობის კანონიერების საკითხი.

**საქმეში – Del Rio Prada v. Spain** – პატიმრის გათავისუფლების თარიღი გადაიდო ცხრა წელიწადზე მეტი ხნით, შიდა პრეცედენტული სამართლის შეცვლის შედეგად, რომელიც სასამართლომ დაადგინა როგორც არასაკმარისად განჭვრეტადი მომჩივნის მიმართ მისი გამოყენების თვალსაზრისით. როგორც სასამართლომ განმარტა, განჭვრეტადობის მოთხოვნა, კონვენციის მე-5 მუხლის გაგებით, უნდა ეფუძნებოდეს კანონს, რომელიც ძალაში იყო ბრალდების წაყენების დროს და მოქმედებდა აღნიშნული ბრალდების საფუძველზე მისჯილი პატიმრობის განმავლობაში. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთ საქმეში პატიმრობის გაგრძელება არ იყო „კანონიერი“ და არღვევდა კონვენციის მე-5 §1 მუხლს.

**როგორი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ იმ სასამართლოს (ტრიბუნალის) მიერ დაკისრებული საჯელიდან, რომლის შემადგენლობაც არ შეესაბამება შიდა კანონმდებლობას?**

**საქმეში – Yefimenco v. Russia** – მომჩივანი იხდიდა საპატიმრო სასჯელს, რომელიც შემდგომში აღმოჩნდა, რომ მისჯილი ჰქონდა იმ სასამართლოს მიერ, რომელიც არ იყო „დაფუძნებული კანონის“ შესაბამისად. არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ კოლეგიის შემადგენლობაში შემავალი ორი არაპროფესიონალი მოსამართლე უფლება-მოსილი იყო განხილვებში მონაწილეობის მიღებაზე, რომელიც დასრულდა მომჩივა-

ნისთვის საპატიმრო განაჩენის მისჯით. სასამართლოს აზრით, პატიმრობაში გატარებული პერიოდი, რომელიც აღნიშნული კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენის შედეგად მიესაჯა მომჩივანს, კარგავს თავის იურიდიულ ძალას „უხეში და აშკარა დარღვევის“ გამო. სასამართლომ პირველად თავის პრაქტიკაში დაადგინა, რომ დაკავება არ იყო კანონიერი, კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, იმ საფუძვლით, რომ იგი არ ეყოფა „კომპეტენტური სასამართლოს“ მიერ გამოტანილ განაჩენს.

წინა შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ თუ მსჯავრდება განხორციელდა „მართლმსაჯულების უხეშად უარყოფის“ შედეგად, დამდგარი პატიმრობა არ შეესაბამება კონვენციის მე-5 §1 (ა) მუხლის მოთხოვნებს. ზემოხსენებულ *Willcox and Hurford*-ის გადაწყვეტილებაში განიხილებოდა: მოხდა თუ არა „მართლმსაჯულების უხეშად უარყოფა“ უდავო პრეზუმაციის გათვალისწინებით, რომელიც უცხოურმა სასამართლომ გამოიყენა ნარკოტიკების საქმეზე. პირველი მომჩივანი დაობდა, რომ უდავო პრეზუმაციის გათვალისწინებით ტაილანდის კანონმდებლობაში, რომლის თანახმადაც დადგენილი ოდენობის ზღვარს ზევით ნარკოტიკების ქონა უკვე მის დისტრიბუციას ნიშნავდა, მას არ შეეძლო ედავა იმაზე, რომ ნარკოტიკი რეალურად იყო პირადი მოხმარებისთვის. შესაბამისად, მან აღნიშნა, რომ მისი სასამართლო ტაილანდში იყო ძალზე უსამართლო, ხოლო მისი შემდგომი პატიმრობა – თვითნებური. სასამართლომ ვერ დაადგინა, თუ რა იყო მიზეზი აღნიშნულ სახელმწიფოში მართლმსაჯულების ასე უხეში ფორმით უარყოფისა. მან აღნიშნა, რომ პირველი მომჩივანი, რომელმაც არ აცნობა თავისი წუხილის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას სასამართლოს სამართლიანობის თაობაზე, ჰქონდა მთელი რიგი პროცედურული გარანტიების მიღების უპირატესობა საზღვარგარეთ მიმდინარე განხილვებისას, რამაც გამოიწვია მისი ბრალდება და პატიმრობა. იმის გათვალისწინებით, რომ საზღვარგარეთ არ არსებობდა მართლმსაჯულების უხეში ფორმით უარყოფა, მომჩივნის შემდგომი პატიმრობა არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 §1 (ა) მუხლის მოთხოვნებს.

### კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების დაუმორჩილებლობა (მუხლი 5 §1 (ბ) ქვეპუნქტი)

სასამართლომ დააზუსტა, რომ ვიდრე პირს ჩამოერთმევა თავისუფლება „კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების დაუმორჩილებლობის გამო“, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დაიცვას ეს წესები ან არ დაემორჩილოს. **საქმეში – Petukhova v. Russia** – სასამართლომ დაგმო მომჩივანის რამდენიმესაათიანი მოთავსება პოლიციის განყოფილებაში მაშინ, როდესაც იგი არ იყო ინფორმირებული მის წინააღმდეგ გაცემული ბრძანების თაობაზე და შესაბამისად, არ ექნებოდა მისი შესრულების შესაძლებლობა. ამას გარდა, ვიდრე მომჩივანი უარს აცხადებდა, გაევლო კონკრეტული პროცედურა, რომელიც შემოთავაზებული იყო, მაგალითად, ჯანდაცვის დაწესებულების წარმომადგენლებისგან, ვიდრე ასეთ ღონისძიებებს სასამართლო დაუნიშნავდა, ეს აუცილებლად არ ნიშნავდა სასამართლოს ბრძანების (განკარგულების) „შესრულებაზე უარს“.

სასამართლომ გასცა განკარგულება თავისუფლების შეზღუდვაზე ჯარიმის გადაუხდელობის გამო **საქმეში – Velinov v. „the former Yugoslav Republic of Macedonia“**. მომჩივანს სასამართლომ უბრძანა გადაეხადა მცირე ჯარიმა, რომლის გადახდაც მან ვერ შეძლო დადგენილ დროში. ჯარიმა შემდგომში გარდაიქმნა ორდღიანი პატიმრობის განაჩენად და დაპატიმრების ბრძანება გაიცა. ამასობაში მომჩივანმა გადაიხადა ჯარიმა ფინანსთა სამინისტროში, მაგრამ არ აცნობა სასამართლოს ამის შესახებ. ვინაიდან არ მომხდარა ინფორმაციის გაცვლა სასამართლოსა და ფინანსთა სამინისტროს

შორის, მომჩივანი დაპატიმრეს და მიუსაჯეს პატიმრობა რვა თვის შემდეგ. იგი გა-დახდის დამადასტურებელი საბუთების წარდგენისთანავე გაათავისუფლეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანის დაპატიმრება ენინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 §1 (ბ) მუხლს, რადგან მისი დაპატიმრების საფუძველი მაშინვე შეწყდა, როგორც კი მან წარმოადგინა გადახდის ქვითარი. სასამართლომ ამ დასკვნის მხარდა-საჭერად მოიყვანა ის ფაქტი, რომ მომჩივანი დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს პატიმრობიდან, როდესაც მან წარადგინა გადახდის ქვითარი.

სასამართლომ ასევე გაითვალისწინა მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი, რომ მომჩივანს ევალებოდა ეცნობებინა ადგილობრივი სასამართლოსთვის ჯარიმის გადახდის შესახებ ფინანსთა სამინისტროში. რაც შეეხება სტრასბურგის სასამართლოს, მოპასუხე სახელმწიფოსთან მიმართებით მან განაცხადა, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ეფექტური სისტემა სასამართლო ჯარიმების გადახდის შეტყობინების თაობაზე და მომჩივანის მიერ სასამართლოსათვის ჯარიმის გადახდის შეუტყობინებლობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს აღნიშნული ვალდებულებისგან.

მომჩივანის თავისუფლებაზე უფლების მნიშვნელობა საჭიროებს მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან ყველა საჭირო ზომის მიღებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი თავისუფლების არაჯეროვანი შეზღუდვა. ეს გადაწყვეტილება ავსებს სტრასბურგის სასამართლოს ამატებს მე-6 მუხლის პრეცედენტულ სამართლს, რომელიც ეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, ჰქონდეს ინფორმაციის ეფექტური ქსელი სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

### **კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა (მუხლი 5 §1 (ბ) ქვეპუნქტი)**

**გადაწყვეტილება – *Ostendorf v. Germany*** – ადგენს პრევენციული პატიმრობის პრეცედენტულ სამართალს. საქმე ეხებოდა ფეხბურთის გულშემატკივრის დაკავებას პოლიციის განყოფილებაში ოთხი საათის გამავლობაში, რათა მას მონაწილეობა არ მიეღო მატჩის დროს ქუჩაში გამართულ ჩეუბში. მისი დაკავების მიზეზი კი ის იყო, რომ იგი არ დაემორჩილა ბრძანებას, დარჩენილიყო ხულიგნების ჯგუფთან პოლიციის დროებითი ზედამხედველობის ქვეშ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს დაკავება პოლიციის განყოფილებაში შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 §1 (ბ) მუხლის მოთხოვნებს იმ მხრივ, რომ მისი მიზანია „უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულება“, რადგან ამ ნორმიდან გამომდინარე, ტერმინი „კანონით გათვალისწინებული ვალდებულება“ შეიძლება ფარავდეს ზოგად ვალდებულებას მშენდობის დაცვაზე კრიმინალის ჩადენის აღკვეთით. ამის მიუხედავად, ასეთი მიზნებისთვის პირის დაკავება უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ მე-5 §1 (ბ) მუხლის მოთხოვნებს, თუ დანაშაულის (დარღვევის) ადგილი და დრო, მის პოტენციურ მსხვერპლთან ერთად, ჯეროვნად იყო იდენტიფიცირებული.

მოპასუხე სახელმწიფოს მოთხოვნის უარყოფაზე, გადახედილიყო მისი პრეცედენტული სამართალი ამ საკითხზე, სასამართლომ კვლავ გაიმეორა რომ მე-5 §1 (გ) მუხლი უშვებს თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ სისხლისსამართლებრივი განხილვების კონტექსტში. მაშინ, როცა კონვენცია მოპასუხე სახელმწიფოებს სთხოვს, მიიღოს გონივრული ზომები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სასტიკი მოპყრობის პრევენციისათვის, კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოზე დაკისრებული ამგვარი პოზიტიური ვალდებულებები არ ამართლებს თავისუფლების შეზღუდვის დასაშ-

ვები საფუძვლების ხვადასხვა ან უფრო ფართო განმარტებას, რომელიც ამომნურა-ვადაა ჩამოთვლილი კონვენციის მე-5 §1 მუხლში.

### სახელმწიფოში ნებართვის გარეშე შესვლის აკრძალვა (მუხლი 5 §1 (3) ქვეპუნქტი)

**გადაწყვეტილებაში – *Suso Musa v. Malta*** — ინტერპრეტირებულია კონვენციის მე-5 §1 (ვ) მუხლი პრეცედენტული სამართლის დამატებით, რომელიც იძლევა პირისათვის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილებას, „რათა აკრძალოს მისი უნებართვო შემოსვლა ქვეყანაში...“ ეს ყველაფერი გამომდინარეობს დიდი პალატის გადაწყვეტილებიდან **საქმეზე – *Saadi v. the United Kingdom***. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ ვიდრე სახელმწიფოს აქვს „უნებართვო“ შესვლის უფლება თავის ტერიტორიაზე, ნებისმიერი შესვლა „უნებართვო“ იყო და იმ პირის პატიმრობა, რომელსაც სურდა ქვეყანაში შესვლა და რომელსაც ესაჭიროებოდა, მაგრამ ჯერ არ ჰქონდა ამის ნებართვა, შესაძლოა „აეკრძალა [მისი] უნებართვო შესვლის მცდელობა“. სასამართლომ უარყო ის იდეა, რომ თუ თავშესაფრის მაძიებელი ჩაბარდებოდა სამიგრაციო სამსახურს, ის იღწვოდა „უნებართვო“ შესვლის მცდელობისთვის და შესაბამისად, დაკავება კონვენციის მე-5 §1 (ვ) მუხლით დასაბუთებულია (გამართლებულია).

ამის მიუხედავად, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ გვთავაზობს რაიმე მითითებებს, ე.წ. გაიდ-ლაინებს, თუ როდისაა დაკავება საიმიგრაციო კონტექსტში კონვენციის მე-5 §1 (ვ) მუხლთან შესაბამისი. მომჩივანის შენიშვნა *Saadi*-ის საქმეზე იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ ყველა წევრ სახელმწიფოს შეუძლია კანონიერად და-აპატიმროს იმიგრანტები, რომლებსაც თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადი აქვთ შეტანილი მიუხედავად მათი ეროვნული კანონმდებლობის ნორმებისა და ეს არ კარგავს თავის მნიშვნელობას. იქ, სადაც სახელმწიფო სცდება თავისი ვალდებულებების ზღვარს და მოქმედი კანონმდებლობა ცალსახად იძლევა შესვლის ან დარჩენის უფლებას იმიგრანტთათვის, რომელთაც თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ შეტანილი აქვთ განცხადება, ნებისმიერმა შემდგომმა პატიმრობამ, უნებართვო შესვლის პრევენციის მიზნით, შეიძლება წამოჭრას პატიმრობის კანონიერების საკითხი კონვენციის მე-5 §1 (ვ) მუხლიდან გამომდინარე.

**Saadi**-ის საქმეში, ვიდრე მომჩივანს მიენიჭებოდა დროებითი შესვლის ნებართვა, ადგილობრივი კანონი ვერ უზრუნველყოფდა მომჩივნისთვის ფორმალური (ოფიციალური) უფლების მინიჭებას, რათა დარჩენილიყო ან შესულიყო ტერიტორიაზე და შესაბამისად, ასეთი საკითხი არც წამოჭრილა. თუმცა, საკითხი იმაზე, თუ როდის შენყდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება, შესვლასა თუ დარჩენაზე ოფიცილური ნებართვის გამოყენების გამო, დიდწილად დამოკიდებული იყო ეროვნულ კანონზე, რომელიც შესაბამისად უნდა იყოს განხილული.

სასამართლომ საქმეში – ***Suso Musa*** – დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის პატიმრობა, რომელიც მიმდინარეობდა მისი თავშესაფრის მოთხოვნისას, დარჩენის ოფიციალური ნებართვის გარეშე, თავსდებოდა კონვენციის მე-5 §1 (ვ) მუხლის ფარგლებში და ნებადართული იყო ეროვნული კანონმდებლობით, მანც იყო თვითნებური. პატიმრობის არსებითი პირობები უაღრესად პრობლემატური იყო მე-3 მუხლის არსიდან გამომდინარე და მაღლის ხელისუფლების წარმომადგენლებს 6 თვე დასჭირდათ, რომ განესაზღვრათ, უნდა მიეცათ თუ არა მისთვის მაღლაში დარჩენის უფლება. აღნიშნული პერიოდი იყო დაუსაბუთებელი (არაგონივრული). შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მე-5 §1 (ვ) მუხლის დარღვევა.

## მოსამართლის ან კანონით უფლებამოსილი სხვა პირის წინაშე დაუყოვნებლივ წარდგენა (მუხლი 5 ს3)

**გადაწყვეტილებაში – Vassis and Others v. France** – სტრასბურგის სასამართლო ადგენს პრეცედენტულ სამართალს ისეთ მდგომარეობზე, როცა მომჩინენი დაპატიმრებულია გემის ბორტზე ღია წყლებში – მსგავსი სიატუაცია, სასამართლომ უკვე განიხილა **საქმეებში – Rigopoulos v. Spain da Medvedev and Others v. France**. გადაწყვეტილება – **Vassis and Others v. France** ადგენს, რომ სასამართლოს არ ევალებოდა მტკიცებობის დაკავება შესაძლო ზომების თაობაზე, რომელიც შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მე-5 ს3 მუხლის დაცვის უზრუნველსაყოფად, მაშინ, როცა დაკავებული გემი იმყოფება ღია წყლებში. თუმცა, მას შემდეგ, რაც თავისუფლებაჩამორთმეული პირები მოპასუხე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შევიდნენ, მოთხოვნა საკითხის დროულად გადაწყვეტაზე იყო უფრო მეტად მკაცრი, ვიდრე იმ საქმეებში, სადაც საპატიმროში პირის მოთავსებას მაშინვე მოჰყვებოდა თავისუფლების ფაქტობრივი ჩამორთმევა. განსახილველ საქმეში, პოლიციის საპატიროში გატარებული 48 საათი, რომელსაც წინ უძლოდა ზღვაში 18-დღიანი დაკავება, წარმოადგენდა მე-5 ს3 მუხლში გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგო ქმედებას. სასამართლომ კვლავ გაიმეორა, რომ მე-5 ს3 მუხლის მიზანია, დაიცვას პიროვნება, რომელიც მის მიმართ სასტიკად მოპყობის ფაქტის გამოვლენის ნებართვას მისცემს და მის თავისუფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევის შემთხვევა მინიმუმად იქნება დაყვანილი, ავტომატურად საწყისი განხილვის საშუალებით მკაცრად განსაზღვრული დროის მონაკვეთში, რომელიც ნაკლებად ტოვებს ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

რაც შეეხება სასამართლოში წარდგენამდე პირის მიერ პოლიციის იზოლატორში გატარებული დროის ხანგრძლივობის საკითხს, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მაქ-სიმალური ვადა – 4 დღე არის მისაღები (იხ., მაგალითად, *McKay v. the United Kingdom*). თუმცა, ხანმოკლე პერიოდსაც შეუძლია წამოჭრას კონვენციის მე-5 ს3 მუხლის დარღვევის საკითხი; ყველაფერი დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე. ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში – **Gutsanovi**, სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეული გარემოებები იყო ხელისშემშლელი ფაქტორი იმისთვის, რომ დადგენილიყო დარღვევა 3 დღის, 5 საათისა და 30 წუთის პერიოდის პატიმრობაზე. სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქმის სპეციფიკური ფაქტები და განსაკუთრებით მომჩინენის მყიფე ფსიქიური მდგომარეობა პატიმრობის პირველ დღებში, ასევე რაიმე დამაჯერებელი არგუმენტების არარსებობა იმაზე, თუ რატომ არ უნდა წარდგენილიყო პირი სასამართლოს წინაშე პატიმრობის მეორე და მესამე დღეს.

## პროცედურული უფლებები სამართლიანი განხილვის უფლება (მუხლი 6)

### გამოყენება

**საქმეში – Blokhin**, ასევე წამოიჭრა მე-6 მუხლის გამოყენების საკითხი იმ პროცედურის მიმართ, რომელიც გამოიყენება რუსეთში და ეხება იმ სამართალდამრღვევებს, რომელთაც არ მიუღწევიათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის-თვის. პროკურატურის წარმომადგენლებმა დადგენილად მიიჩინეს, რომ მომჩინენმა მეორე ბავშვის მიმართ ჩაიდინა გამოძალვა. ამის მიუხედავად, ვინაიდან მომჩინენი იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ასაკმიუღწეველი, მის წინააღმდეგ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა. იგი არც სასამართლოს წინაშე წარუდგენიათ, რომელმაც ბრძანა მისი მოთავსება არასრულწლო-

ვანთა დროებითი დაკავების ცენტრში 30 დღით, რათა „გამოესწორებინა თავისი საქ-ციელი“ და აღკვეთილიყო მისგან ნებისმიერი დარღვევის ჩადენა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლი უნდა გამოყენებულიყო მომჩივანის პატიმრობის საკითხზე მიმდინარე განხილვებისას. თუმცა, რაიმე სისხლისსამართლებრივი პროცედურები მის ნინაალმდეგ არ ყოფილა დაწყებული. დანაშაულის ხასიათი და ასევე სასჯელის ბუნება და სიმძიმე, დახურულ დაწესებულებაში მისი მოთავსების კონტექსტში იყო, რომ უნდა გამოყენებულიყო კონვენციის მე-6 §1 მუხლი სისხლის სამართლის კუთხით.

### **სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა (მუხლი 6 §1)**

სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა შეიძლება შეიზღუდოს ხელშეუხებლობის პრინციპიდან გამომდინარე.

**საქმეში – Oleynikov v. Russia**, სასამართლომ იმსჯელა უცხო ქვეყნის იმუნიტეტზე კომერციულ გარიგებასთან დაკავშირებით. რუსეთის მოქალაქე ჩიოდა, რომ რუსეთის სასამართლოებმა უარყვეს მისი საჩივარი კრედიტის დაფარვის თაობაზე, რომელიც მან განახორციელა ჩრდილოეთ კორეის საელჩოს სავაჭრო წარმომადგენლობასთან.

აღნიშნული გადაწყვეტილება ავსებს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს სახელმწიფოს იმუნიტეტის თაობაზე, იყენებს რა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს იმუნიტეტის შეზღუდვაზე ისეთ სიტუაციებში, რომელიც არ ეხება შრომით დავებს. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივი სასამართლოების მიერ მომჩივანის მოხოვნაზე უარი, რომელიც ეხებოდა ვალის დაფარვას ჩრდილოეთ კორეის საელჩოს სავაჭრო პალატის მხრიდან, არღვევს მომჩივანის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მთავარ არს, რადგან მათ არ განიხილეს ტრანზაქციის ხასიათი, რომელზეც საუბარი იყო საჩივარში, ან არ მიიღეს მხედველობაში საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმები.

სასამართლო იმუნიტეტი, რომელიც მიანიჭა გაერომ ადგილობრივ სამოქალაქო საქმის განმხილველ სასამართლოებს, იყო დაუშვებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მთავარი საკითხი საქმეში *Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands*. სრებრენიცაში მასობრივი ხოცვა-ულეტის მსხვერპლთა გადარჩენილმა ნათესავებმა საჩივარი შეიტანეს ჰოლანდიისა და გაეროს წინააღმდეგ სრებრენიცაში სამოქალაქო მოსახლეობის დაუშველობის გამო. ისინი ჩიოდნენ, რომ ჰოლანდიის სასამართლოებმა დაუშვებელად გამოაცხადეს მათი საქმე გაეროს წინააღმდეგ იმ საფუძვლით, რომ გაერო სარგებლობდა საპროკურორო იმუნიტეტით ადგილობრივი სამოქალაქო სასამართლოების წინაშე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის VII თავის მიხედვით, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საფუძველზე დადგენილი ოპერაციები იყო გაეროს მისიისთვის ფუნდამენტური საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კონვენცია იმგვარად არ უნდა და იყოს ინტერპრეტირებული, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანხმობის გარეშე განსაჯოს უშიშროების საბჭოს მოქმედება თუ უმოქმედობა ადგილობრივ სასამართლოებში. ამგვარი ოპერაციების შიდა იურისდიქციის ფარგლებში განხილვა ცალკეულ სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობას, თავისი სასამართლოების მეშვეობით ხელი შეუშალოს გაეროს საკვანძო მისიების შესრულებაში, მისი ოპერა-

ციების ეფექტურად ჩატარების ჩათვლით.

სასამართლომ დაამატა, რომ საერთაშორისო სამართალი არ უჭერს მხარს იმგვარ პოზიციას, რომ აღნიშნულმა სამოქალაქო საჩივარმა თავისი მნიშვნელობით გადაა-ჭარბოს სასამართლო იმუნიტეტს ადგილობრივი სასამართლოების წინაშე მხოლოდ ერთადერთი მიზეზით, რომ იგი დაფუძნებული იყო მტკიცებებზე საერთაშორისო სა-მართლის ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევის შესახებ, თუნდაც *ius cogens*-ის ნორმაზე. და ბოლოს, სასამართლომ განაცხადა, რომ ეს არ გამომდინარეობს მისი 1999 წლის **გადაწყვეტილებიდან – Waite and Kennedy v. Germany da Beer and Regan v. Germany** – რომ აღტერნატიული ზომების არარსებობის შემთხვევაში, იმუნიტეტის აღიარება იყო სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის *ipso facto* შე-მადგენელი 6 §1 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. აღტერნატიული ზომების არარ-სებობა ამ საქმეში არ იყო ჰოლანდიისთვის დამახასიათებელი და საქმის გარემოე-ბებში კონვენციის მე-6 მუხლი არ საჭიროებდა სახელმწიფოს ჩარევას.

ის ფაქტი, რომ პირისთვის, რომელსაც ჩამორთმეული ჰქონდა სამართლებრივი შე-საძლებლობა სასამართლოსადმი პირდაპირ ხელმისაწვდომობაზე, რათა აღედგინა თავისი ქმედუნარიანობა, განხილული იყო **საქმეში – Natalia Mikhaylenko v. Ukraine**. სასამართლომ აღნიშნა: ის ფაქტი, რომ შრომისუუნარო პირებს არ ჰქონდათ სასა-მართლოზე შეუფერხებელი წვდომის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ მათი სა-მართლებრივი ქმედუნარიანობა იყო აღდგენილი, არ შეესაბამებოდა ევროპული დო-ნის საერთო ტენდენციებს. საქმეში არსებული სხვადასხვა ნაკლოვანების შედეგად, არ შესწავლილა მომჩივანის სამართლებრივი ქმედუნარიანობის საკითხი, რამაც სე-რიოზული გავლენა იქონია მისი ცხოვრების ბევრ ასპექტზე და ეს მართლმსაჯულე-ბის განხორციელებაზე უარის თქმის ტოლფასია.

**ზემოხსენებულ საქმეში – Al-Dulimi and Montana Management Inc.** – სასამართლომ განიხილა, პირველად გაეროს კონტექსტში, შეიცავდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხ-ლის მიხედვით გარანტირებული დაცვის ეკვივალენტურ დონეს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის მიერ მართული სამართლებრივი რეჟიმი.

მომზივნები იყვნენ ერაყში არსებული ყოფილი რეჟიმის უმაღლებობის პი-რები და ის კომპანია, რომელსაც ისინი მართავდნენ. მათი აქტივები გაიყინა და შესა-ბამისად, მოხდა კონფისკაცია შვეიცარიის ხელისუფლების მიერ ერაყის პოსტ-კონ-ფლიქტური განვითარების ფონდში მათი გადარიცხვის მიზნით №1483(2003) რეზო-ლუციისა და თანდართული სანქციების სიის თანახმად, რომელიც გაეროს უშიშროე-ბის კომიტეტმა მიიღო. მომჩივნები, რომელთა სახელებიც აღმოჩნდა ამ სიაში, წარუ-მატებლად ცდილობდნენ მათ წინააღმდეგ მიღებული ზომების გასაჩივრებას. შვეი-ცარიის ფედერალურმა ტრიბუნალმა დაადგინა, რომ შვეიცარიის სასამართლოებს არ ჰქონდათ სხვა მოსაზრება გარდა იმისა, რომ გამოეყენებინათ უშიშროების საბ-ჭოს რეზოლუციის ნორმები და რომ მომჩივნებს არ შეეძლოთ დაყრდნობოდნენ კონ-ვენციის მე-6 მუხლს, ვიდრე უპირატესობა არ მიენიჭებოდა აღმატებულ ვალდებუ-ლებებს, რომელიც შვეიცარიამ იკისრა მისი გაეროში წევრობიდან გამომდინარე. ფე-დერალურმა ტრიბუნალმა დაასკვნა, რომ ადგილობრივ სასამართლოებს არ ჰქონ-დათ განხილვის შესაძლებლობა, თუ რამდენად სწორად იყო შეტანილი მომჩივნების სახელები სანქციების სიაში და განხორციელდა თუ არა ეს სამართლიანობის გარან-ტიების ყველა საჭირო პროცედურების დაცვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობს დაცვის რაიმე მექანიზმი ამ პირთა სან-ქციების სიაში შეტანასთან დაკავშირებით, ან რაიმე პროცედურული მექნიზმები, რო-

მელიც შესაძლებლობას აძლევდა სიაში შეყვანილ პირებს, ჰქონოდათ დამოუკიდებელი დასაბუთების გადახედვის შესაძლებლობა ასეთი ჩართვისთვის. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მიუთითა სისტემაში არ-სებულ ნაკლოვანებებზე. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ გარემოებებში დაცვის ეკვივალენტურობის პრეზუმუცია იყო იგნორირებული. იმის გათვალისწინებით, რომ შვეიცარიის ფედერალუმა სასამართლომ უარი თქვა მომჩივნების მტკიცებულებების განხილვაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო მათი საჩივრების არსებითად განხილვა. ფაქტების მიხედვით, სასამართლომ დაადგინა, რომ სადაც ზომები უტოლდებოდა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მომჩივნის უფლებების არაპროპორციულ აკრძალვებს. სხვა საკითხთა შორის სასამართლო დაეყრდნო თავის დასაბუთებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მომჩივნებს ჩამოერთვათ თავიანთი აქტივები მნიშვნელოვანი პერიოდით, ისე, რომ არ ჰქონდათ ხელისუფლების ამ ქმედების გასაჩივრების უფლება.

### განხილვების სამართლიანობა (მუხლი 6 §1)

**საქმე – Oleksandr Volkov v. Ukraine** – ეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის წინააღმდეგ აღძრულ სადისციპლინო სამართალწარმოებას, რომელსაც შედეგად მისი გათავისუფლება მოჰყვა პროფესიული სტანდარტების დარღვევის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ შიდა კანონმდებლობა არ შეიცავდა სანქციების გამოყენების თვის ხანდაზმულ პერიოდს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაკრიტიკებული ინციდენტი შვიდი წლით ადრე მოხდა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ამან მომჩივნი რთულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან მას უნდა მოეხდინა დაცვის მობილიზება, *inter alia*, იმ მოვლენებზე, რომლებიც განვითარდა შორეულ წარსულში. თუმცა, სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად მიეთითებინა, თუ რამდენ ხანს უნდა გრძელდებოდეს ხანდაზმულობის პერიოდი. მან მიიჩნია, რომ ასეთი ლია მიდგომა სადისციპლინო საქმეებისადმი, რომელიც მართლმსაჯულებას უკავშირდება, წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს სამართლებრივი განსაზღვრულობის (*legal certainty*) პრინციპისათვის. შესაბამისად, კონვენციის 6 §1 მუხლის თანახმად დაირღვა აღნიშნული პრინციპი, რაც გამოიწვია ხანდაზმულბის ვადის არარსებობამ.

**საქმეში – Erkacic v. Croatia** – მნიშვნელოვანი ნაწილია ადგილობრივი სასამართლების მიერ თანაბრალდებულის ინკრიმინირებული ჩვენების გამოყენება. არ იყო ჯეროვნად გამოკვლეული, თუ რა ვითარებაში ჩამოართვეს აღნიშნული ჩვენება. მომჩივნი ჩიოდა, რომ მას მსჯავრი დაედო წინა სასამართლო პერიოდში მიცემული ინკრიმინირებული ჩვენების გამო, რომელიც მისმა ოთხმა თანაბრალდებულმა მისცა იძულებით, მაშინ, როცა სამი მათგანი უკვე იტანჯება პერიონის უკმარისობის სინდრომით და არც ერთ მათგანს არ ჰყავდა ადეკვატური დაცვა. მისმა თანაბრალდებულებმა უარყვეს ჩვენებები მომჩივნის სასამართლო პროცესზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, ადგილობრივმა სასამართლოებმა არ ცნეს ეს განცხადებები მტკიცებულებებად და დიდწილად არც დაეყრდნენ მათ, როდესაც მსჯავრდებულად ცნეს მომჩივნი. სასამართლომ დაადგინა კონვენციის 6 §1 მუხლის დარღვევა და განაცხადა, რომ, სამართლიანობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, განმხილველ სასამართლებს უნდა მიეღოთ ზომები, რათა შეემოწმებინათ ჩვენებების სანდოობა – მაგალითად, დაეკითხათ პოლიციის ოფიცირები, რომლებმაც ჩამოართვეს თანაბრალდებულებს ჩვენებები, ან შეემოწმებინათ სამედიცინო დასკვნა იმ თანაბრალდებულებისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ განიცდიდნენ პერიონის უკმარისობის სიმპტომებს დაკითხვის დროს, ან დაეკითხათ თანაბრალდებულების ადვოკატები, რომლებიც, როგორც ამტკიცებენ, არ ესწრებოდნენ პოლიციის მიერ ჩატარებულ დაკითხვებს. სა-

სამართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვა პრინციპში ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ მეტი წელი უნდა მიანიჭოს მოწმის მიერ სასამართლოში მი-ცემულ ჩვენებას, ვიდრე წინა სასამართლო პერიოდში – პროკურატურის მიერ წარ-მოებული დევნისას.

სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა ჯეროვნად ვერ გა-ნიხილეს პოლიციის მიერ მომჩინენის თანაბრალდებულების დაკითხვის ყველა რელე-ვანტური გარემოება და მათ ინკრიმინირებულ ჩვენებაზე დამოკიდებულებამ მომჩი-ვანს მოუსპონ საქმის სამართლიანი განხილვის შესაძლებლობა.

სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ მსაჯულთა მიერ სასამართლო განხილვა ევროპა-ში არსებულ სამართლებრივ სისტემებს შორის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს და სასამართლოს ამოცანა არ არის მათი სტანდარტიზაცია. თავის გადაწყვეტილე-ბაში – *Twomey, Cameron and Guthrie v. the United Kingdom* – სასამართლომ შენიშნა, რომ მე-6 მუხლი ვერ უზრუნველყოფს მსაჯულთა მიერ გასამართლების უფლებას და რომ ერთი მოსამართლის მიერ პირის გასამართლების პროცედურა შეესაბამება მე-6 მუხლის მოთხოვნებს. იმის გადაწყვეტისას, იყო თუ არა უზრუნველყოფილი ადეკ-ვატური დაცვა, ის ფაქტი, რომ რისკის ქვეშ იდგა უფრო სასამართლო განხილვის ფორ-მა, ვიდრე – მსჯავრდება ან გამართლება, ეს მძიმე ტვირთად აწვა ბალანსის დაცვას. შესაბამისად, ერთადერთ საკითხს წარმოადგენდა ის, რომ საქმის განხილვა უნდა გა-ეგრძლებინა ერთი მოსამართლისგან შემდგარ სასამართლოს, თუ მსაჯულთა სასა-მართლოს. სასამართლო განხილვის ორივე ფორმა პრინციპში იყო თანაბრად მისა-ღები კონვენციის მიხედვით. სასამართლოს აზრით, მოცემული გარანტიები იყო თა-ნაზომიერი იმასთან, რაც სარისკო იყო მომჩინენისთვის.

### **დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო (მუხლი 6 §1)**

**საქმე – *Maktouf and Damjanovic v. Bosnia and Herzegovina*** – ეხება ომის დანაშაულე-ბის საქმეების განმხილველ სასამართლოში ორი წლით მივლინებულ საერთაშორისო მოსამართლეებს (რომელიც განახლებადია). უარყო რა სასამართლომ, პირველი ინ-სტანციის სასამართლების მიერ საქმის განხილვისას დამოუკიდებლობის სავარაუ-დო არარსებობის შესახებ საჩივარი, დაეყრდნო საერთაშორისო მოსამართლეების შერჩევისა და დანიშვნის პროცედურებს, ასევე სამოსამართლეო უფლებამოსილე-ბისას მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს. არსებობდა ასევე გარეგანი ზეწოლის საწინააღმდეგო დამატებითი გარანტიები: ეს მოსამართლეები იყვნენ პორფესიონა-ლები თავიანთ ქვეყნებში და მივლინებულ იქნენ უცხო ქვეყანაში. მართალია, მათი უფლებამოსილების ვადა იყო შესაბამისად მოკლე, მაგრამ ეს გასაგებიც იყო, თუ გა-ვითვალისწინებთ სასამართლოში საერთაშორისო წარმომადგენლობის დროებით ხა-სიათს და საერთაშორისო მივლინების მექანიზმებს.

ზემოხსენებულ ***Oleksandr Volkov*-ის საქმეში**, რომელიც ეხებოდა უკრაინის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გათავისუფლებას სამოსამართლო ფიცის დარღვევის გამო, სასამართლომ განიხილა მართლმსაჯულების სადისციპლინო სისტემის თავ-სებადობა კონვენციის 6 §1 მუხლთან. განსაკუთრებულ წუხილს ინვევდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა და შემდგომი სამართლებრივი წესით გადასინჯვის პროცედურების არარსებობა, რომელსაც შეეძლო, აღმოეფხვრა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა დისციპლინური სამართალწარმოების საწყის სტადიაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლეების წინააღმდეგ წარ-მოებულ სადისციპლინო განხილვებთან დაკავშირებით, უაღრესად საჭიროა შესაბა-

მის სადისციპლინო ორგანოში იყოს მოსამართლეთა მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა, როგორც ეს აღიარებულია მოსამართლეთათვის ევროპული ქარტიის სტატუტით. სასამართლომ ხაზი გაუსვა მთავრობის პოლიტიკური ორგანოების ჩარევის შემცირებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების პროცესში და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისთვის საჭირო დონის უზრუნველყოფას.

## უდანაშაულობის პრეზუმფცია (მუხლი 6 §2)

**რამდენად შეუძლია ტექსტის ფორმულირებასა და დასაბუთებას პირის გამართლების შემთხვევაში კომპენსაციის მიკუთვნებაზე უარის თაობაზე დააზიანოს უდანაშაულობის პრეზუმფცია?**

**გადაწყვეტილება – *Allen v. the United Kingdom*** – წარმოგვიდგენს პასუხს ამ შეკითხვაზე, როგორც 6 §2 მუხლის გამოყენებაზე, ასევე საჩივრის არსზე. ეს გადაწყვეტილება მოიცავს ამომწურავ მიმოხილვას შესაბამის პრეცედენტულ სამართალზე.

დიდი პალატა უპირველესად იმეორებს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის პირიცხებს 6 §2 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით იმ სასამართლო გადაწყვეტილებებზე, რომლებზეც სისხლისსამართლებრივი განხილვების შედეგად დადგა გამამართლებელი განაჩენი. ამ კონტექსტში უდანაშაულობის პრეზუმფცია ნიშნავს იმას, რომ, თუ მოხდა სისხლისსამართლებრივი ბრალდების წარდგენა და პროცესი დასრულდა პირის გამართლებით, ეს უკანასკნელი, ვის მიმართაც იყო აღძრული საქმე, მიიჩნეოდა უდანაშაულოდ კანონმდებლობის მიხედვით და ასეც უნდა დასრულებულიყო მისი საქმე. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფცია არ შეცვლილა სისხლისსამართლებრივი განხილვების დასრულების შემდეგ, რამაც შესაძლებელი გახდა უზრუნველეყო, რომ პირის უდანაშაულობის პრეზუმპცია დაცული იყო ნებისმიერ ბრალდებასთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, მომჩივანს, ცდილობს რა დაეყრდნოს უდანაშაულობის პრეზუმფციას შემდგომ განხილვებში, მოუწევს წარმოაჩინოს „კავშირის არსებობა“ დასრულებულ განხილვებსა და შემდგომ განხილვებს შორის. გამართლებულ პირს შეეძლება დაეყრდნოს უფლებას უდანაშაულობის პრეზუმფციაზე შემდგომ განხილვებში კომპენსაციის თაობაზე, სადაც არსებობდა „კავშირი“ სისხლისსამართლებრივ განხილვებში, რომელიც მისი გამართლებით დასრულდა. ასეთი კავშირი უფრო ჩქარო იყო წარმოდგენილი მაგალითად იქ, სადაც შემდგომი განხილვები საჭიროებდა წინასწარი სისხლისსამართლებრივი განხილვების შედეგების შემოწმებას. დიდი პალატის გადაწყვეტილება ადგენს ასეთი „კავშირის“ არსებობის კრიტერიუმებს, რომელიც განსაზღვრავს კონვენციის 6 §2 მუხლის გამოყენებას და უდანაშაულობის პრეზუმფციასთან შესაბამისობას.

ამის შემდეგ დიდმა პალატამ წარმოადგინა თავისი პრეცედენტული სამართლის ამომწურავი მიმოხილვა უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებზე იმ განხილვებში, რომლებიც სისხლისსამართლებრივი განხილვების დასრულებას მოჰყვა. ამ კონტექსტში, ტექსტის ფორმულირება და დასაბუთება, რომელიც გამოყენებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ თავის გადაწყვეტილებაში, „გადამწყვეტი მნიშვნელობის“ მატარებელია შეფასებისას, დაირღვა თუ არა 6 §2 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენცია არ დარღვეულა, რადგან სადაც განხილვების კონტექსტში, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოყენებული ტექსტის ფორმულირება მომჩივნის საჩივრის დაუკმაყოფილებლობაზე, არ შეიძლება ითქვას, რომ აზიანებდა მომჩივნის გამართლებას, ან ეპყრობოდნენ მას მის უდანაშაულობასთან შეუთავსებელი ფორმით.

უდანაშაულობის პრეზუმუცია შესაძლოა დაირღვეს არა მხოლოდ მოსამართლის ან სასამართლოს ქმედებით, არამედ ასევე, საჯარო ხელისუფლების მიერაც. **გადაწყვეტილება – Mulosmani v. Albania** – ეხებოდა სახელმწიფო აგენტის სტატუსს და იმას, მოიცავდა თუ არა ეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციის ფარგლებში უდანაშაულობის პრეზუმუციის დარღვევის კუთხით. ოპოზიციური პარტიის ლიდერმა მკვლელობაში ბრალი დასდო ერთ-ერთ პირს, რომელიც ერთი წლის შემდეგ დააპატიმრეს. უპირველესად, სასამართლომ შენიშნა, რომ სადაც განცხადებას, თუნდაც იგი ერთი წლის წინ ყოფილიყო წარმოთქმული, ვიდრე მომჩინენის დააპატიმრებდნენ, ჰქონდა განგრძობითი ზეგავლენა.

შემდგომში სასამართლო მიუბრუნდა საკითხს, შეეძლო თუ არა ბრალდების გამომთქმელის სტატუსს – როგორც ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარეს და პოლიტიკურ ცხოვრებაში გავლენიან პირს – ჩაერთო სახელმწიფოს პასუხისმგებლობა უდანაშაულობის პრეზუმუციის დარღვევის საკითხში. სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდების გამომთქმელი შესაბამის პერიოდში, რომელიც შემდეგ გახდა პრემიერ-მინისტრი, ხოლო მოგვიანებით – რესპუბლიკის პრეზიდენტი, არ მოქმედებდა, როგორც საჯარო ოფიციალური პირი და არ ეკავა საჯარო თანამდებობა; არანაირი საჯარო ხელისუფლება არ ებარა მას, ხოლო მისი პარტია სამართლებრივად და ფინანსურად დამოუკიდებელი იყო სახელმწიფოსგან. ყველა მიზნისა და განზრახვის გათვალისწინებით, მან განცხადება გააკეთა, როგორც კერძო პირმა.

### უფლებების დაცვა (მუხლი 6 ს3)

**გადაწყვეტილებაში – Henri Riviere and Others v. France** – სასამართლომ დაადგინა თავისი პრეცედენტული სამართალი ბრალდებულის მიერ საქმის მოსმენის გადადების თაობაზე, რომელიც არ იყო წარმოდგენილი სასამართლოზე ადვოკატით. დაუსაბუთებელი მოთხოვნები საქმის მოსმენის გადადების თაობაზე უდავოდ ზიანს აყენებს მართლმსაჯულების განხორციელებას. ამის საპირისპიროდ, მოთხოვნები, რომელიც დოკუმენტურად იყო დასაბუთებული, ქმედითად განიხილეს ადგილობრივმა სასამართლოებმა, რომლებსაც მოეთხოვებოდათ მათზე დასაბუთებული პასუხის გაცემა. აღნიშნულმა პასუხმა სასამართლოსთვის შესაძლებელი გახადა დარწმუნებულიყო, რომ მათ ქმედითად განიხილეს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის მიერ წარდგენილი საფუძვლები სრულიად ვალიდური იყო. ამ შემთხვევაში, მომჩინამა წარმოადგინა მიზეზებით, თუ რატომ არ შეეძლო მას საქმის მოსმენაზე დასწრება და წარმოადგინა დოკუმენტები, რამაც გაამყარა მისი მოთხოვნა საქმის გადადებაზე. ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა თავისი უარი, თუ რატომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა საქმის მოსმენის გადადების თაობაზე, რის გამოც სასამართლომ დაადგინა დარღვევა.

სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში უკვე დაადგინა სამოქმედო პრინციპები ეჭვმიტანილისთვის ადვოკატის დახმარების თაობაზე, როდესაც დაკითხვას პოლიცია ანარმოებს. **საქმე – Bandalev v. Ukraine** – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კონტექსტში. მართალია, ის ეხება მომჩინენის, რომელმაც აღიარებითი ჩვენება მისცა პოლიციის განცხოვილებაში ადვოკატის გარეშე, განსხვავებით მომჩინენის მდგომარეობისა წინა საქმეებში. იგი დაკითხეს როგორც მოწმე, ახლად გახსნილი მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით. პოლიციას არანაირი მიზეზი არ ჰქონდა მიერნია იგი ეჭვმიტანილად. გადაწყვეტილება ადგენს პრეცედენტულ სამართალს გამოძიების საწყის ეტაპზე იურიდიული წარმომადგენლის არყოლის თაობაზე, როდესაც მომჩინენი დაკითხეს როგორც მოწმე და მან მისცა აღიარებითი ჩვენება. სასა-

მართლომ განიხილა „ეჭვმიტანილის“ ცნება. მისი აზრით, პირმა ეჭვმიტანილის სტატუსი შეიძინა (მე-6 მუხლის გამოყენების გარანტიების მოხმობით), არა მაშინ, როდესაც ეს სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა, არამედ მაშინ, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ექნებოდათ დამაჯერებელი მიზეზები ეჭვმიტანილად მიეჩნიათ ამ პირის მონაწილეობა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში.

ზემოხსენებულ **Blokhin**-ის საქმეში სასამართლომ განიხილა არასრულწლოვანი ბრალდებულის დაცვის უფლებები, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სავალდებულო ასაკი. სასამართლომ დაადგინა კონვენციის 6 წ 1 მუხლის დარღვევა 6 წ 3 (გ) და (დ) მუხლთან ერთად, იურიდიული დახმარების არარსებობს გამო 12 წლის ბრალდებულის დაკითხვისას პოლიციის განყოფილებაში და ასევე მის წინააღმდეგ არსებითი მოწმის თანდასწრებით ჯვარედინ დაკითხვაში მონაწილეობის შესაძლებლობაზე უარის თქმის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის უფლებების ასეთი აკრძალვები იყო მოპასუხე სახელმწიფოში არსებული სპეციალური რეჟიმის ნაწილი, რომელიც გამოიყენებოდა ბრალდებული პირების მიმართ, ვისაც არ ჰქონდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კანონით გათვალისწინებული ასაკი. გადაწყვეტილება შეიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტების სრულ ჩამონათვალს, რომელიც გაეროს მიერაა მიღებული საერთაშორისო დონეზე და ევროპის საბჭოს მეურ – რეგიონალურ დონეზე.

### არავითარი სასჯელი კანონის გარეშე (მუხლი 7)

სასამართლომ განიხილა საკმაო რაოდენობის საქმეები, რომლებიც ეხებოდა დაკისრებულ განაჩენთა დონეს (ზღვარს) სისხლის სამართლის საქმეებში:

– ომის დანაშაულების გამო ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეტროსპექტიული გამოყენების საფუძველზე დაკისრებული სასჯელები იყო უმთავრესი განხილვის საკითხი გადაწყვეტილებაში – **Maktouf and Damjanović**. ამ საქმეში ძველი სისხლის სამართლის კოდექსი და ახალი სისხლის სამართლის კოდექსი (რომელიც გამოიყენეს მომჩივნების საქმეში) ომის დანაშაულებს განმარტავდა ერთნაირად, მაგრამ ადგენდა სხვადასხვა ზომის სასჯელს. ძველი კოდექსი ადგენდა უფრო მსუბუქ – მინიმალურ სასჯელს, მაგრამ მომჩივნის მიმართ გამოტანილი განაჩენები თავსდებოდა ორივე კოდექსით გათვალისწინებულ ზღვარში. ამგვარად, სასამართლოს მიერ განხილული წინა საქმეების საპირისპიროდ, არ შეიძლება გადაჭრით ვამტკიცოთ, რომ უფრო დაბალი სასჯელი დაეკისრებოდათ მომჩივნებს ძველი კოდექსის გამოყენების შემთხვევაში. თუმცა, სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ უფრო მსუბუქი სასჯელები შეიძლებოდა დაკისრებულიყო იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული იქნებოდა ძველი კოდექსი. სასამართლოს მიხედვით, იქ სადაც არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ ახალი კოდექსის რეტროაქტიული გამოყენება მომჩივნებს არასახარბიერობაში ჩააყენებს განაჩენის გამოტანის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ მათ აღმოუჩინეს ეფექტური გარანტიები უფრო მძიმე სასჯელის დაკისრების საწინააღმდეგოდ, როგორც ეს მოთხოვნილია კონვენციის მე-7 მუხლში.

დიდმა პალატამ დაამატა, რომ არ არსებობდა ზოგადი გამონაკლისი უკუძალის არარსებობის წესთან და უარყო მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტები, რომ დანაშაულებისა და სასჯელების უკუძალის არარსებობის წესი არ გამოიყენებოდა საქმეში.

ამის მიუხედავად, სასამართლომ დაამატა, რომ მე-7 მუხლის დარღვევის დადგენა არ მიუთითებდა იმას, რომ უფრო მსუბუქი განაჩენი უნდა დამდგარიყო, მაგრამ, უბრალოდ, ეს იყო ძველი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის დებულებები, რომელიც უნდა დაკისრებოდა.

– სასამართლომ უკვე აღიარა, რომ განსხვავება იმ ზომას (ლონისძიებას) შორის, რომელიც ადგენს „სასჯელს“ და სასჯელის „აღსრულებას“ შორის, არ არის ყოველთვის ნათლად დადგენილი პრაქტიკაში. ამასთან დაკავშირებით, **გადაწყვეტილებამ – Del Rio Prada** – მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პრეცედენტულ სამართალში კონვენციის 7 §1 მუხლის მეორე წინადადების გამოყენებასა და „სასჯელის“ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ამგვარად, დიდმა პალატამ მიუთითა, რომ ეს ნორმა შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთ ზომებთან, რომლებსაც განაჩენის დაკისრების შემდეგ წარმოადგენენ. სასამართლომ ახსნა, რომ ეს იყო აუცილებელი, რათა განისაზღვროს, განაჩენის აღსრულებისას მიღებული ზომა მხოლოდ განაჩენის აღსრულების ფორმას ეხებოდა, თუ პირიქით, გავლენას ახდენდა მის არეალზე. თუ ზომები მიღებულია კანონმდებლობის, ადმინისტრაციული ხელისუფლებისა, თუ სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის დაკისრების შემდეგ ან იმ დროს, როდესაც მიმდინარეობს განაჩენის მოხდა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სასამართლოს მიერ დაკისრებული „სასჯელის“ ხელახალი განსაზღვრა ან მოდიფიკაცია, მაშინ აღნიშნული ზომები ხვდება სასჯელთა რეტროსპექტული გამოყენების აკრძალვის ფარგლებში, რაც *in fine*, 7 §1 მუხლითაა განსაზღვრული. ამის მიუხედავად, განაჩენის აღსრულების ფორმაში შეტანილი ცვლილებები არ ხვდება ამ ნორმის ფარგლებში.

**გადაწყვეტილებაში – Del Rio Prada** – მომჩივნის გათავისუფლების თარიღი გადადა, რომელსაც მისი მსჯავრდების შემდეგ მოჰყვა პრეცედენტულ სამართალში შეტანილი ცვლილები. აღნიშნულს ჰქონდა ციხეში შესრულებული სამუშაოს შედეგად განაჩენის შემსუბუქების გაუქმების ეფექტი, რისი კანონიერი უფლებაც მომჩივნას ჰქონდა მინიჭებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე. პრეცედენტულ სამართალში ცვლილების შეტანამდე განაჩენის შემსუბუქება შესაძლოა ამოღებული იყოს მისი განაჩენიდან. შედეგად, შესაძლოა, აღნიშნული შეიცვალოს სხვა განაჩენით შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე. სასამართლომ დაასკვნა, რომ დაკისრებული სასჯელის ფარგლები ხელახლა განისაზღვრა, ასე, რომ 7 §1 მუხლი უნდა გამოყენებულიყო.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს იყო პრეცედენტულ სამართლში შეტანილი ცვლილების შედეგი, რომელიც მიღებული იყო იმ დროს, როდესაც განაჩენის აღსრულება მიმდინარეობდა, დაირღვეოდა მე-7 §1 მუხლი, თუკი ამ ცვლილებას „სასჯელის“ ფარგლებში გონივრულად განჭვრეტდა მომჩივნანი, ანუ, ცვლილება, რომელიც შესაძლოა, მივიჩნიოთ, როგორც პრეცედენტული სამართლის განვითარების შესამჩნევი ხაზის ასახვა. შესაბამისი შიდა სამართლის შეფასების შემდეგ სასამართლომ დაასკვნა, რომ **საქმეების – S.W. v. the United Kingdom და C.R. v. the United Kingdom** – საპირისპიროდ, არსებული პრეცედენტული სამართლიდან გადახვევა მომჩივნის საქმეში არ წარმოადგენდა (არ შეესაბამებოდა/ უთანაბრდებოდა) სისხლის სამართლის ინტერპრეტაციას, რომელიც ისწრაფვის განავითაროს პრეცედენტული სამართლის შესამჩნევი ხაზი, მაგრამ ნაცვლად ამისა, ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ განჭვრიტეს მომჩივნის მიმართ ამის გამოყენება და მოახდინეს მისი (მომჩივნის) განაჩენის მოდიფიცირება (შეცვლა) მომჩივნის საზიანოდ, მოითხოვეს რა უფრო ხანგრძლივი სასჯელის გამოტანა, რითაც დაირღვა მე-7 §1 მუხლის მეორე წინადადების მოთხოვნები.

ზემოთ ხსენებულ ორივე საქმეში დიდმა პალატამ გარკვევით გაიმეორა სისხლის სამართლის რეტროაქტიული გამოყენების აკრძალვის აბსოლუტური ბუნება პირის (ინდივიდის) საზიანოდ.

– *Camilleri v. Malta* – გადაწყვეტილებაში სასამართლომ განიხილა ახალი საკითხი სისხლის სამართლის განჭვრეტადობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ იმ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომლის თაობაზეც ჩიოდნენ, ადგილობრივი სამართლი ვერ უზრუნველყოფდა რაიმე მითითებას ასეთ გარემოებებში, რომელშიც სასჯელის კონკრეტული ზომა უნდა გამოყენებულიყო და პროკურორს ჰქონდა თავისუფალი დისკრეციის უფლება, გადაწყვიტა იმავე დანაშაულის ჩადენისთვის მინიმალური სასჯელის დაკისრება. ეროვნული სასამართლოები შეზღუდულები იყვნენ პროკურორის გადაწყვეტილებით და არ შეეძლოთ კანონით გათვალისწინებული მინიმალური ზღვარის ქვემოთ სასჯელის დაკისრება. ნებისმიერი წუხილი, რაც შესაძლოა მათ გამოეთქვათ, ეხებოდა მხოლოდ პროკურორის დისკრეციის გამოყენებას. სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთი მდგომარეობა არ შეესაბამებოდა სისხლის სამართლის განჭვრეტადობის მოთხოვნებს კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე და ვერ უზრუნველყოფდა ეფექტურ დაცვას თვითნებური დასჯის მიმართ, რითაც ირლვეოდა კონვენციის მე-7 მუხლი.

ამას გარდა, კონვენციის მე-7 მუხლის მიხედვით, სასამართლომ განიხილა პირის მიმართ სასჯელის დაკისრება (ქონების კონფისკაციით), რომლის მიმართაც მიმდინარეობდა დევნა, მაგრამ არ იყო მსჯავრდებული. გადაწყვეტილებაში (რომელიც ჯერ საბოლოო არ არის) – *Varvara v. Italy* – მომჩივანს ბრალი წარედგინა უკანონო მშენებლობის გამო, მაგრამ მოგვიანებით მის წინააღმდეგ საქმის წარმოება ხანდაზმულობის გამო შეწყდა. ამის მიუხედავად, სასამართლოებმა განკარგულება გასცეს მიწისა და შენობების კონფისკაციის თაობაზე.

**საქმე – Sud Fondi Srl and Others v. Italy** – წარმოადგენს სასამართლოს მიდგომის განვითარებას, რომელშიც მომჩივნები გაამართლეს. წარმოადგენილ საქმეში განხილვები შეწყდა, რადგად ვერ დადგინდა ბრალეულობა (ან უდანაშაულობა). რაც შეეხება სტრასბურგის სასამართლოს, და მის პრეცედენტულ სამართალს კონვენციის 6 §2 მუხლის მიხედვით, მისთვის მიუღებელია, რომ პირი შესაძლოა დაიტანჯოს სისხლის სამართლის სასჯელით, ვიდრე უპირველესად არ იქნება დადგენილი მისი ბრალეულობა. ამ პრინციპის მხარდასაჭერად, სასამართლომ დაადგინა, მაგალითად, რომ მე-5 §1 (ა) მუხლით გათვალისწინებული კანონიერი დაკავება მოითხოვს კომპეტენტური სასამართლოს „ბრალდებას“ და მე-6 §2 მუხლის მიხედვით, პირი ითვლება უდანაშაულოდ „ვიდრე პანონის თანახმად არ დადასტურდება მისი ბრალდეულობა“. სასამართლოს აზრით, წარმოდგენილ საქმეში დაკისრებული კონფისკაციის ძალაში დარჩენის შემთხვევაში დაირღვევა კანონიერების ცნება, რომელიც თან ახლავს მე-7 მუხლს. ცნებები – „დამნაშავეა“, „სისხლისსამართლებრივი დანაშაული“ და „სასჯელი“, რომელსაც შეიცავს მე-7 მუხლი, ინტერპრეტირებულია იმ ნორმის სასარგებლოდ, რომელიც მოითხოვს, რომ პირი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ ერთხელ იმ შემთხვევაში, თუ იგი დამნაშავედ იქნება ცნობილი მასზე დაკისრებული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. ნებისმიერი საბოლოო გამამტყუნებელი ვერდიქტის არარსებობის შემთხვევაში, აღნიშნული მომჩივნის საქმეზე, სასამართლოს შეუძლია დაასკვნას, რომ მიწისა და შენობის კონფისკაცია წარმოადგენს კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევას.

### ეფექტური მისაგებლის უფლება (მუხლი 13)

ზემოხსენებულ საქმეში – *M.A. v. Cyprus* – მომჩივანი ჩიოდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევაზე, მე-2 და მე-3 მუხლების მითითებით, რომ არ არსებობდა ავტომატურად შემაჩირებელი ეფექტის მქონე რაიმე ღონისძიება მის წინააღმდეგ გაცემული დეპორტაციის ბრძანების წინააღმდეგ. ვინაიდან მას მინიჭებული ჰქონდა ლტოლვილის სტა-

ტუსი, მას აღარ შეეძლო მოეთხოვა, ყოფილიყო „მსხვერპლი“ მე-2 და მე-3 მუხლების მიხედვით. ამის მიუხედავად, სასამართლომ დაადგინა, რომ *ipso facto* არ აცხადებს დაუშვებლად მის საჩივარს კონვენციის მე-13 მუხლის მიხედვით, ხსენებულ მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთად, დაადგინა რა საქმეში დარღვევა დეპორტაციის ბრძანების წინააღმდეგ დაუყოვნებლივი შემაჩირებელი ეფექტის არარსებობის გამო.

## სამოქალაქო და კოლიტიკური უფლებები

### პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და კორესპონდენციის დაცვის უფლება (მუხლი 8)

#### გამოყენება

ზემოხსენებული **საქმე – Oleksandr Volkov** – ეხება მოსამართლის გათავისუფლებას „ფიცის დარღვევის“ გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი გათავისუფლება, პროფესიული მიზეზის გამო, ადგენს მის უფლებაში ჩარჩვას „პირადი ცხოვრების“ უფლებასთან მიმართებით მე-8 მუხლის მიხედვით. მოსამართლის გათავისუფლებამ დააზიანა მისი ურთიერთობები მრავალ ადამიანთან, პროფესიული ხასიათის ურთიერთობების ჩათვლით. გარდა იმისა, რომ ამას ჰქონდა მომჩივნის „შიდა წრეზე“ გავლენა, რადგან სამსახურის დაკარგვას უნდა მოჰყოლოდა ხელშესახები შედეგები პირადად მისთვის და მისი ოჯახის წევრების მატერიალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, მიჩნევა, რომ მომჩივნის გათავისუფლების მიზეზით – სამოსამართლო ფიცის გატეხვა – დაზარალდა მისი პროფესიული რეპუტაცია. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

**შეიძლება თუ არა კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს რეპუტაციის დაცვის უფლებას, გამოყენებული იყოს მომჩივნის სასარგებლოდ, როცა მისი ოჯახის გარდაცვლილი წევრის რეპუტაცია სავარაუდოდ შეილახა?**

**გადაწყვეტილება – Putistin v. Ukraine** – პასუხს სცემს ამ კითხვას. სასამართლოს ადრე არ ჰქონდა გადაწყვეტილი მომჩივნის ოჯახის წევრის რეპუტაციის დაზარალება შეიძლებოდა თუ არა მიჩნეულიყო მომჩივნის პირად ცხოვრებაში ჩარჩვად.

სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის ოჯახის გარდაცვლილი წევრის რეპუტაციამ შესაძლოა, კონკრეტულ გარემოებებში, იქმნიოს გავლენა პირის პირად ცხოვრებასა და იდენტობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა საკმაოდ მჭიდრო კავშირი დაზარალებულ პირსა და მისი ოჯახის ზოგად რეპუტაციას შორის. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის არ ანუხებდა სადაცვო საგაზეთო სტატია, რომელიც, მისი მტკიცებით, ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მისი გარდაცვლილი მამა თანამშრომლობდა გესტაპოსთან. იმ მტკიცების მიუხედავად, რომ გესტაპოსთან პირის თანამშრომლობა იყო სერიოზული საკითხი, სადაცვო სტატია არ აცხადებდა, რომ მომჩივნის მამა თანამშრომლობდა გესტაპოსთან და მართლაც, არსად იყო მოხსენიებული მომჩივნის მამის სახელი. ამის მიუხედავად, არ შეიძლება გამორიცხულიყო, რომ სტატიის მკითხველს შესაძლოა ეპოვა კავშირი სტატიასა და მომჩივნის მამას შორის, ეს იყო შორეული ალბათობა და უნდა გამოიწვია მხოლოდ მარგინალური და არაპირდაპირი ეფექტი მომჩივნის რეპუტაციის უფლებაზე. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს არ დაუშვიათ დარღვევა თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, უზრუნველეყოთ მომჩივნის უფლების დაცვა რეპუტაციაზე, როგორც ეს მე-8 მუხლითაა გარანტირებული. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

## პირადი ცხოვრება

**საქმე – *Soderman v. Sweden*** – ეხება არასრულწლოვნის ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევას კერძო პირის მიერ. მომჩივნის მამინაცვალს ჰქონდა მცდელობა მათი სახლის აბაზანაში ფარულად გადაელო იგი შიშველი, მაგრამ გოგონამ აღმოაჩინა ფარული კამერა. იმ დროს მომჩივნი 14 წლის იყო. ფირი ისე დაწვეს, რომ არავის უნახავს. მამინაცვალს ბრალი დასდეს სექსუალურ ძალადობაში და გოგონამ მოითხოვა კომპენსაცია სისხლისამართლებრივი განხილვებისას. სააპელაციო სასამართლომ საბოლოოდ გაამართლა მამინაცვალი და უარყო მოთხოვნა კომპენსაციაზე. კერძოდ, ადგილობრივმა სასამართლოებმა განაცხადეს, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით, პირის გადაღება მისი თანხმობის გარეშე თავისთავად არ წარმოადგენს დანაშაულს.

სასამართლოს წინაშე მომჩივნი განაცხადა, რომ თავის ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო სისტემა საქმის განხილვის პერიოდში ვერ უზრუნველყოფდა იმ საშუალებებით, რომლებიც დაიცავდა მას თავისი მამინაცვლის ქმედებებისგან.

დიდმა პალატამ თავის გადაწყვეტილებაში კვლავ გაიმეორა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის თანახმად, რათა დაიცვას ბავშვთა ფიზიკური და გონებრივი კეთილდღეობა კერძო პირთა ქმედებებისგან. მან აღნიშნა, რომ დაზარალდა მომჩივნის პირადი ცხოვრების უაღრესად ინტიმური ასპექტი და არ განხორციელებულა მასზე ფიზიკური ძალადობა, შევიწროება თუ კონტაქტი, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ქმედებები ხვდებოდა კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში.

დიდმა პალატამ აირჩია პალატისგან განსხვავებული მიდგომა, მიიჩნია რა, რომ მიზანშეწონილი იყო განეხილა, შესაბამის დროს მოპასუხე სახელმწიფოს ჰქონდა თუ არა „ადეკვატური სამართლებრივი ჩარჩო მომჩივნის დაცვის უზრუნველსაყოფად“ ამგვარი ქმედებების საწინააღმდეგოდ. იმის განსაზღვრისას, შესარულა თუ არა სახელმწიფომ მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები, სასამართლომ შეაფასა სამოქალაქო და სისხლის სამართლის თითოეული ღონისძიება, რომელიც, სავარაუდოდ, ხელმისაწვდომი იყო მომჩივნისთვის ადგილობრივ დონეზე სადავო ქმედებების დროს, რათა დადგინდეს, მიეცა თუ არა ადგილობრივი კანონმდებლობით მას დაცვის მისაღები ხარისხი. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რადგან შესაბამის დროს, ეროვნულ დონეზე ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით არ არსებობდა რაიმე ღონისძიება, არც სამოქალაქო და არც სისხლის სამართლის, რომელიც მომჩივნის მიანიჭებდა ეფექტურ დაცვას მისი პირადი ხელშეუხებლობის დარღვევის წინააღმდეგ, საქმეში არსებული სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით.

ზემოხსენებულ *Oleksandr Volkov*-ის გადაწყვეტილებაში განხილულია, იყო თუ არა მოსამართლის გათავისუფლება მე-8 მუხლთან შესაბამისობაში. სასამართლომ შეაფასა გამოყენებული კანონმდებლობის „ხარისხი“ და განაცხადა ის მიზეზები, თუ რატომ არ დააკმაყოფილა ასეთი სადისციპლინო სასჯელის დაკისრებამ განჭვრეტადობის მოთხოვნები და მე-8 წ 2 მუხლის მიხედვით შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფა თვითნებობის წინააღმდეგ. გადაწყვეტილება ადგენს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს საკანონმდებლო სიზუსტის მოთხოვნაზე სადისციპლინო წესებისა და სასჯელების შედგენისას. აღნიშნა რა, სხვადასხვა ნაკლოვანება მოქმედი სადისციპლინო წარმოების ფარგლებში, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-8 მუხლი.

სასამართლომ კვლავ განამტკიცა თავის მსჯელობაში პირადი (პერსონალური) მონაცემების დაცვის მნიშვნელობა:

– პირველად, ის შეეხო იმ პირთა დნმ-ის მასალის შეგროვების, შენახვისა და გამოყენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულისთვის (გადაწყვეტილება – *Peruzzo and Martens v. Germany*). *S. and Marper v. the United Kingdom*-ის საქმეში კი პირიქით, სასამართლო შეეხო ორი მომჩივნის დნმ-ის პროფილის შენახვას, რომლებიც არ იყვნენ მსჯავრდებულნი რაიმე დანაშაულის ჩადენისთვის. მომჩივნები საქმეში – *Peruzzo and Martens* – გასამართლდნენ სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო და ჩიოდნენ, რომ უჯრედული მასალა არ იყო მათგან აღებული (მოგროვებული) და შენახული მონაცემთა ბაზაში დნმ-ის პროფილის ფორმატში, მომავალში შესაძლო სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიების ხელშეწყობის მიზნით.

სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს ჯეროვან დაცვას დნმ-ის მასალისა და პროფილის ყოვლისმომცველი და განურჩელი აღებისა და შენახვის საწინააღმდეგოდ. ის ასევე მოიცავს დაცული პირადი (პერსონალური) მონაცემების არასწორად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიებს და ხელისუფლებას ავალდებულებს, გადასინჯოს რეგულარული ინტერვალებით დნმ-ის პროფილების შენახვის განვრძობითი დასაბუთება. შედეგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩარევა აუცილებელი და თანაზომიერი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

– საქმეში – *Avilkina and Others v. Russia* – სანქტ-პეტერბურგის პროკურორის მოადგილემ მითითება მისცა ქალაქის საავადმყოფოებს, ეცნობებინათ მისთვის იელოვას მოწმეების ყოველი უარი სისხლის გადასხმაზე. აღნიშნული ზომა მიღებული იყო საჩივრის საფუძველზე პირველი მომჩივნის ქმედებების თაობაზე. სამედიცინო მონაცემები მეორე და მეოთხე მომჩივნებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამის დროს იყვნენ ჰოსტიტალიზებულნი, გამუღავნდა პროკურატურაში მათი თანხმობის გარეშე.

აღნიშნულმა საქმემ სასამართლოს შესაძლებლობა მისცა კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი კონკრეტულ მონაცემთა დაცვის საჭიროების გარანტიებს პირადი (პერსონალური) ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის თვითნებური კომუნიკაციის წინააღმდეგ, ამგვარი მონაცემების სენსიტიურობის გათვალისწინებით. სასამართლომ, ზემოხსენებული საქმის – *S. and Marper* – მიღვომებიდან გამომდინარე, ყურადღება მიმართა კანონის ხარისხში არსებულ ხარვეზებზე, როგორც აუცილებელი ტესტის გამოცდის კონტექსტში. სასამართლოს შეეძლო დათანხმებოდა, რომ პაციინტისა და საზოგადოების ინტერესი – სამედიცინო მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა – შესაძლოა გადაწონოს გამოძიების საჭიროებამ და დანაშაულის დასჯამ. ამის მიუხედავად, სასამართლომ აღნიშნა, რომ წინა საქმეების საპირისპიროდ, მომჩივნების მიმართ არ წარმოებულა გამოძიება და არც არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმის სავარაუდოდ, რომ განხორციელდა ზენოლა მათზე სისხლის გადასხმაზე უარის თქმის გამო. მომჩივნებს არ მიეცათ შესაძლებლობა, წინააღმდეგობა გაეწიათ მათი ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების გამუღავნებაზე და ფაქტობრივად საერთოდ არც ეცნობათ მათი საქმეების პროკურატურაში გადაგზავნის თაობაზე. სასამართლო განსაკუთრებით კრიტიკული იყო იმ ფაქტის მიმართ, რომ კანონმდებლობა არ ადგენდა რაიმე კონკრეტულ შეზღუდვებს პროკურატურის უფლებამოსილებაზე, რომელიც გულისხმობდა პირის სამედიცინო ჩანაწერების გამუღავნების მოთხოვნას.

სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართლში განავითარა და დაადგინა ურთიერთქმედება თავისუფალ სიტყვასა და ინტერნეტთან დაკავშირებულ პირად უფლებებს შორის, დაეყრდნო რა გადაწყვეტილებებს საქმეში – *Times Newspapers Ltd v. the United Kingdom (nos. 1 and 2)*:

– გადაწყვეტილება – *Wegrzynowski and Smolczewski v. Poland* – ეხება გაზეთის ინტერნეტ-გვერდიდან სტატიის ამოღების თაობაზე მიმდინარე განხილვებს. დაბეჭდვისთანავე ადგილობრივმა სასამართლოებმა სტატია მიიჩნიეს ცილისმნამებლურად. მომჩივნებმა მოუგეს ორ უურნალისტს და გაზეთს სადაო პუბლიკაციის დაბეჭდვის შემდეგ გამართული პროცესი და მას შემდეგ აღნიშნული სტატია აღარ გამოქვეყნებულა ისე, რომ არ ყოფილიყო მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგი. მათი შემდგომი ქმედებები ზიანის ხელახლა მინიჭებისა და სტატიის ამოღებაზე წარუმატებლად დასრულდა. ისინი ჩიოდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მათი უფლებების დაცვა მათი რეპუტაციის თვალსაზრისით, თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს არგუმენტი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-8 მუხლის მიხედვით დადგენილი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები ასევე უნდა ითვალისწინებდეს მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მედიის წარმომადგენლების უფლებებს და იმ გადამწყვეტ როლს, რომელსაც ახლა ასრულებს ელექტრონული არქივი სიახლეების დაცვასა და კომუნიკაციაში, ასევე საზოგადოების ინფორმირებულებაში. კონვენციის მე-10 მუხლი იცავდა საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს ინტერნეტში პრესის არქივზე ხელმისაწვდომობისას. მეორე მომჩივანს შეეძლო წამოეჭრა საკითხი ცილისმნამებლური სტატიის ონლაინ ხელმისაწვდომობის თაობაზე, როდესაც იხილებოდა პირველი სამოქალაქო სარჩელი. ადგილობრივმა სასამართლოებმა ამის მიუხედავად უარყვეს შესაძლებლობა, წარემართათ საკითხი შესაბამის ეტაპზე. სასამართლოსვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მოცემული საკანონმდებლო ჩარჩო ფაქტობრივად უფლებას აძლევდა მომჩივნებს, წამოენყოთ მეორე საქმე და გამორიხული იყო, რომ ისინი ასე მოქცეულიყვნენ *res judicata*-ს პრინციპის მოქმედების გამო. ისინი ითხოვდნენ, რომ გაცემულიყო ბრძანება სტატიის ამოღების თაობაზე თავიანთ მეორე სარჩელში. სასამართლომ, დაეთანხმა რა ადგილობრივ სასამართლოებს, აღნიშნა, რომ სასამართლოების როლი არ იყო ისტორიის ხელახალ გადაწერაში, ცილისმნამებლური პუბლიკაციების ყველა კვალის წამლაში. მეორე მომჩივანს შეეძლო მოეთხოვა სტატიაში შესწორების შეტანა, ადრეული გადაწყვეტილების მითითებით, რომელიც ადგენდა, რომ სტატია იყო ცილისმნამებლური. მოპასუხე სახელმწიფომ შეასრულა თავისი მოვალეობები, რათა დაეცვა ბალანსი მე-10 და მე-8 მუხლებით გარანტირებულ უფლებებს შორის და შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

**საქმეში – *Vilnes and Others v. Norway*** (რომელიც არ არის საბოლოო) – სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პროფესიით მყვინთავი მომჩივნების უფლებების დაცვა, მიეღოთ არსებითი ინფორმაცია იმ რისკებთან დაკავშირებით, რაც უკავშირდებოდა სწრაფი დეკომპრესიის მოწყობილობებს. მომჩივნები მონაწილეობდნენ ჩრდილოეთის ზღვის ღრმა წყლებში მიმდინარე ოპერაციებში, კერძოდ, საცდელ ყვინთვებში. ისინი დაიქირავეს დაივინგურმა კომპანიებმა, რომელთაც კონტრაქტი ჰქონდათ გაფორმებული ნავთობკომპანიასთან, რომელიც ახალ ჭაბურლილებს თხრიდა. მომჩივნებს, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, გაუჩნდათ ჯანმრთელობის პრობლემები, რამაც ისინი ქმედუუნარო გახადა. მათ დაენიშნათ შესაბამისი პენსია და სხვა დახმარებებს შორის *ex gratia* კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ ხელმომწერ სახელმწიფოებს მე-8 მუხლით ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან ინფორმაციაზე, რაც შესაძლებლობას მისცემს პირებს, შეაფასონ თავიანთი ჯანრთელობისა და სიცოცხლის რისკები. სასამართლომ დაამატა, რომ კონკრეტულ გარემოებებში ეს ვალდებულება შესაძლოა, ასევე ასრულებდეს მოვალეობას უზრუნველყოს ასეთი ინფორმაცია და დააკონკრეტა, რომ ამ ვალდებულების ფარგლები არ იყო შეზღუდული იმ რისკებით, რომლებიც უკვე მატერიალიზებული იყო, მაგრამ შეიცავ-

და პროფესიულ რისკებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაბამის დროს სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაივინგური კომპანიების სრული ტრანსპარენტულობა, როდესაც მომჩივნებს მოუწიათ შესაბამისი მყვინთავი მოწყობილობების გამოყენება. მყვინთავებს შესაბამისად, უარი ეთქვათ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე დეკომპრესიის დროის განსხვავებებსა და დეკომპრესიის აპარატის გამოყენების შედეგებზე, რომლის თანახმადაც, დეკომპრესიის მოწყობილობების გამოყენება ხანმოკლე დეკომპრესიის პერიოდით შესაძლოა საზიანო ყოფილიყო მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. შედეგად, მყვინთავებს არ შეეძლოთ შეეფასებინათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები. სასამართლომ განსაკუთრებული მიდგომა გამოიჩინა იმ ფაქტის მიმართ, რომ კომპანია, რომელიც წარმართავს ჩრდილოეთ ზღვაში ოპერირებას, არ აწარმოებს თავის დეკომპრესიის მოწყობილობებს, მას არ წარუდგენია თავისი მოწყობილობები ხელისუფლებისთვის. კომპანიებს უფლება ჰქონდათ, საიდუმლოდ შეენახათ თავიანთი მოწყობილობები, კომპეტენტური მიზეზებიდან გამომდინარე. ამის მიუხედავად, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამის დროს საჩივრები იყო გამოითქმული სხვადასხვა დეკომპრესიის მოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც იცვლებოდა მაღალი სისწრაფიდან ძალიან ნელზე, სახელმწიფოს უნდა აეტება განგაში, რათა უზრუნველყო მყვინთავები მათ ხელთ არსებული ყველა საჭირო ინფორმაციით, რომ შესძლებოდათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება.

ეს გადაწყვეტილება დასძენს: სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს, რომ კერძო კომპანიებმა პატივი სცენ მუშათა უფლებებს, რათა მათ შეაფასონ თავიანთი პროფესიული რისკები.

## პირადი ცხოვრება და საცხოვრისი

**ზემოხსენებულ საქმეში – *Eremia*** – ქმრის ძალადობისა და თავდასხმის მსხვერპლი ქალბატონის შვილები ჩიოდნენ მამის ძალადობრივი და შეურაცხმყოფელი ქმედებების გამო თავიანთი დედის მიმართ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღიარა, რომ ბავშვების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას მიადგა ზიანი, რადგან ისინი ხშირად ხდებოდნენ მამის მხრიდან დედაზე განხორციელებული ძალადობის მოწმენი და გასცეს დედისა და ბავშვების დაცვის განკარგულება. ამის მიუხედავად, მამამ მაინც დაარღვია ბრძანება და კვლავ გააგრძელა ძალადობა. ხელისუფლებამ იცოდა მისი ქმედებების შესახებ, მაგრამ არ მიიღო რაიმე ეფექტური ზომა და მოძალადე ქმარი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი ბავშვებთან დაკავშირებით, რადგან სახელმწიფომ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები, დაეცვა ისინი, როგორც მოწყვლადი პირები.

## პირადი ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა (კორესპონდენცია)

სასამართლომ ასევე განიხილა საკითხი, რომელიც ეხებოდა საგადასახადო ორგანოს საგამოძიებო სამსახურის მიერ კომპიუტერის სერვერზე სხვადასხვა კომპანიის გაზიარებული ინფორმაციების მიღებას. **საქმეში – *Bernh Larsen Holding As and Others v. Norway*** – საგადასახადო ორგანოებმა მოსთხოვეს კომერციულ კომპანიას, რომ ნება დაერთო საგადასახადო აუდიტისთვის გადაეღო მონაცემთა ასლი თავის სერ-

ვერზე – ელექტრონულ ფორმატში შენახული დოკუმენტების ჩათვლით, ასევე ის მასალა, რომელიც საერთოდ არ ეხებოდა აუდიტის თემას და იგი აღნიშნულ სერვერს ინანილებდა სხვა კომპანიებთან ერთად. კომპანიების არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საგადასახადო ორგანოებს შეეძლოთ შეეფასებინათ მხოლოდ ის ფაილები, რომლებიც შეიცავდნენ საგადასახადო გადარიცხვებს ან საგადასახდო ანალიზს, უარყვეს ადგილობრივმა სასამართლოებმა. საჩივრის დაუშვებლად ცნობის დადგენისას სასამართლომ მიუთითა ეფექტური და ადეკვატური დაცვის არსებობაზე, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ხელყოფის საწინააღმდეგოდ. მან აღნიშნა, რომ საჯარო ინტერესი თანაზომიერი ინსპექციის განხორციელებისას საგადასახადო გადარიცხვების მიზნებისთვის, არ უნდა არღვევდეს კომპანიის უფლებას, პატივი სცეს „საცხოვრისს“, „კორესპონდენციას“ და დაიცვას მათთან მომუშავე პირების უფლებები.

## ოჯახური ცხოვრება

სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ხელმომწერ სახელმწიფოებს არ ევალებათ გააფართოონ მეორე მშობლის შვილად აყვანის უფლება დაუქორწინებელ წყვილებთან მიმართებით (*X and Others v. Austria*).

**საქმეში – *X v. Latvia*** – სასამართლომ იმსჯელა, პროცედურული ვალდებულებების ფარგლებზე, რომელიც ეროვნულ სასამართლოებს ეკისრებოდა ჰავაის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით, ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების თაობაზე. მომჩინენის გოგონამ პირველი რამდენიმე წელი გაატარა ავსტრალიაში და სამი წლისა და ხუთი თვის ასაკში წაიყვანა დედამ ლატვიაში მამის ნებართვის გარეშე. მამის მოთხოვნით, ლატვიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განკარგულება გასცეს ბავშვის „დაუყოვნებლივ დაბრუნებაზე“ ავსტრალიაში, ჰავაის კონვენციის საფყდველზე.

დიდმა პალატამ გაიმეორა რომ არსებობდა ფართო კონსენსუსი – საერთაშორისო სამართლის გამოყენებით – იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა საქმეში უმთავრესი მათი საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს. ეს უშუალოდ გამომდინარეობს არა მხოლოდ კონვენციის მე-8 მუხლიდან, არამედ აგრეთვე ჰავაის კონვენციიდან, რომ ბავშვის მყისიერი დაბრუნების თაობაზე ბრძანების გაცემა თავის საცხოვრებელ ქვეყანაში არ შეიძლება გაიცეს ავტომატურად, ან მექანიკურად.

ეროვნული სასამართლოების მიერ ჰავაის კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით, დიდმა პალატამ მისაღებად მიიჩნია, რომ ერთი ასპექტი განემარტა თავის გადაწყვეტილებაში – *Neulinger and Shuruk v. Switzerland* – როდესაც უნდა შეფასდეს მოთხოვნა ბავშვის დაბრუნების შესახებ, ეროვნულ სასამართლოებს არ მოეთხოვებათ, მთლიანად, დაწვრილებით გამოიკვლიონ ოჯახური მდგომარეობა, მაგრამ არა-სოდეს დაუკმაყოფილებიათ პროცედურული ვალდებულება.

**უპირველესად, „სასამართლოებს არა მხოლოდ უნდა მიეჩნიათ სადავო განცხადებები ბავშვისთვის ‘სერიოზული რისკის’ შემცველად დაბრუნების მომენტში, არამედ ასევე უნდა მიეღოთ განკარგულება, სადაც იქნებოდა ასახული კონკრეტული მიზეზები საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით. უარი, პროტესტის მხედველობაში მიღებით (ბავშვის) დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომელიც ხვდება ჰავაის კონვენციის მე-12, მე-13 და მე-20 მუხლების ფარგლებში და არაჯეროვანი და-**

საბუთება განკარგულებაში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ამგვარი პროტესტი, წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებთან და ასევე გამომდინარეობს ჰავაგის კონვენციის მიზნებიდან. ამგვარი მტკიცებულებების განხილვიდან გამომდინარე, რომელიც წარმოდგენილია ადგილობრივი სასამართლოების დასაბუთებში, რაც არ არის ავტომატური და სტერეოტიპული, არამედ ჯეროვნად დეტალურია ჰავაგის კონვენციით დადგენილი გამონაკლისების კუთხით, რომელიც მკაცრად უნდა იყოს ინტერპრეტირებული..., არის აუცილებელი.“

**მეორე,** რაც შეეხება ბავშვის დაბრუნებას „იმ სახელმწიფოში, სადაც მისი ჩვეულებრივი საცხოვრებელია“, სასამართლოები უნდა დარწმუნდნენ, რომ „ადეკვატური გარანტიები დამაჯერებლად არის უზრუნველყოფილი“ იმ სახელმწიფოში, ხოლო ცნობილი რისკის შემთხვევაში, „ხელშესახები დაცვის ზომები“ არის წარმოდგენილი.

ამ საქმეში მომჩივანმა წარმოადგინა ფსიქოლოგის დასკვნა, რომელიც იუწყებოდა, რომ არსებობდა ბავშვისთვის ტრავმის მიყენების რისკი, იმ შემთხვევაში, თუ მას დაუყოვნებლივ დააშორებდნენ დედას. ამის მიუხედავად, რეგიონულმა სასამართლომ უარი განაცხადა, განეხილა მოხსენების დასკვნები ჰავაგის კონვენციის მე-13 (ბ) მუხლის ნორმის გათვალისწინებით, მიიჩნია რა, რომ მოხსენება ეხებოდა დაკავების საკითხის ზომებს, რაც დაბრუნების მოთხოვნის თაობაზე საჩივრის ცალკე საკითხი იყო. თუმცა, უარი, მხედველობაში მიეღო ამგვარი მტკიცებულება, რომელიც მომჩივანმა დაასაბუთა პროფესიონალის მიერ გაცემული ცნობით, რომლის დასკვნებიც შესაძლოა ამჟღავნებლა ჰავაგის კონვენციის მე-13 (ბ) მუხლის მიხედვით საშიში რისკების არსებობას, ენინააღმდეგებოდა კონვენციის მე-8 მუხლს. აქედან გამომდინარეობს, რომ ადგილობრივ სასამართლოებს უნდა გაეთვალისწინებით აღნიშნული დასკვნები.

მე-8 მუხლი მოითხოვს, რომ ბავშვის მიმართ „საშიში რისკების“ სადაც მტკიცებულება დაბრუნების გათვალისწინებით, ეფექტურად უნდა განხილონ სასამართლოებმა, ხოლო მათი დასკვნები უნდა აისახოს სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში – ხელისუფლების წარმომადგენლებს ევალებოდათ დაეცვათ ჰავაგის კონვენციის მე-11 მუხლით დადგენილი შეზღუდული ვადები. შესაბამისად, დაირღვა მომჩივნის უფლება მისი „ოჯახური ცხოვრების“ დაცვის კუთხით.

შედარებით იშვიათი შემთხვევა, რომელიც სასამართლომ განიხილა, ეხება ბავშვის საერთაშორისო გატაცებას, რომელიც მოჰყვა მშობლების განქორნინებას – ისინი სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ადგილობრივი ხელისუფლება დადგა ბავშვების რეაქციის წინაშე, რომლებმაც ცალსახად განაცხადეს უარი დედასთან ერთად დაბრუნებაზე სხვა ქვეყანაში (*Raw and Others v. France*). მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს არ სურდათ მამის დატოვება, სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპების გამოყენების კონტექსტში (ჰავაგის კონვენცია და ბრიუსელის II bis რეგულაცია), მაშინ, როცა ბავშვების აზრი უნდა გათვალისწინებულიყო, მათი მოსაზრებები არ იყო აუცილებლად ჯეროვანი, რათა მოხედინათ ბავშვების დაბრუნების პრევენცია. სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ მიიღეს ყველა გონივრული ზომა, რათა ხელი შეეწყოთ ბავშვების დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისთვის.

**საქმე – Zorica Jovanović v. Serbia** – ეხება კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, როდესაც საქმე გვაქვს ახალდაბადებული ბავშვის საჯარო სავადმყოფოდან გაუჩინარებასთან. მომჩივანი აცხადებდა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო იგი რაიმე ინფორმაციით, რომელიც თავისი ბავშვის ბედს ეხებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლების მიხედვით,

მომჩივნის ბავშვი დაბადებისთანავე გარდაიცვალა სახელმწიფო საავადმყოფოში. გარდაცვლილი ბავშვი არ გადასცემია მომჩივნის, არც აუტოფსიის შედეგები უცნობებიათ მისთვის და არც – მისი შვილის დასაფლავების ადგილი. მომჩივნის განცხადება მისი შვილის გაუჩინარების შესახებ საბოლოოდ დაუშვებლად იქნა ცნობილი, როგორც დაუსაბუთებელი. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, მიუთითა რა *mutatis mutandis*, პრინციპებზე, რომლითაც განპირობებულია სახელმწიფოს ვალდებულება კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით დაკარგული (გაუჩინარებული) ადამიანების ადგილსამყოფლისა და ბედის გათვალისწინებით: გარდაცვლილი ბიჭის სხეული არ გადასცემია მომჩივნის, ან მის ოჯახს და სიკვდილის მიზეზიც არასოდეს დადგენილა; მომჩივნის საერთოდ არ გადასცეს აუტოფსიის შედეგი, არც აცნობეს, თუ როდის, ან სად დაკრძალეს ბავშვი; ბავშვის გარდაცვალება ოფიციალურად არსად დაფიქსირებულა; მომჩივნის მეუღლის მიერ შეტანილი სისხლის სამართლის საჩივარი უარყვეს ყოველგვარი ადეკვატური განხილვების გარეშე; და თავად მომჩივნის ჯერაც არ გააჩნდა რაიმე დამაჯერებელი ინფორმაცია იმაზე, თუ რა შეიძლებოდა დამართვოდა მის შვილს.

**საქმეში – Agyevy v. Russia** – სასამართლომ განიხილა შორსმიმავალი და შეუქცევადი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა შვილად აყვანის განკარგულება. განკარგულების გაუქმება იქნებოდა დისპროპორციული საქმის გარემობების მიხედვით: ადგილობრივმა სასამართლოებმა ზედაპირულად გამოიკვლიეს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდობა, რომელიც უთითებდა, რომ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა უგულებელყოფილი იყო; მიუხედავად იმისა, რომ გაუქმების განკარგულებაზე გავლენა მოახდინა სისხლისსამართლებრივმა განხილვებმა, რომელიც მიმდინარეობდა მომჩივნების წინააღმდეგ იმ დროისათვის, ისინი შესაბამისად გამართლდნენ (მოხდა მათი რეაბილიტაციაც) ბავშვის მიმართ ძალადობის ბრალდებაში; არანაირი შეფასება არ გაკეთდა ოჯახურ კავშირებზე, რომელიც დამყარდა მომჩივნებსა და ბავშვებს შორის და არანაირი ყურადღება არ მიექცა თითოეული ბავშვის ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისთვის მიყენებულ ზიანს, რაც შეიძლებოდა გამოეწვია ამგვარი (ოჯახური) კავშირების მოულოდნელ განყვეტას.

**გადაწყვეტილება საქმეზე – Povse v. Austria** – არის პირველი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი ითხოვს მოთხოვნის აღსრულებას ბავშვის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით, ბრიუსელის IIa რეგულაციის მიხედვით – რითაც გამარტივებულია იმ ბავშვების დაბრუნების პროცედურა, რომლებიც უკანონდ გადაიყვანეს ან დააყოვნეს. ეს საქმე სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, დაამტკიცოს ის პრინციპები, რომლებიც პირველად შეიმუშავა Bosphorus-ის გადაწყვეტილებაში, განასხვავა რა ფაქტები იმათგან, რამაც განაპირობა მისი ახლანდელი გადაწყვეტილება საქმეზე – Michaud v. France. მომჩივნები, დედა და მისი გოგონა, დაობდნენ კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე, რომ ავსტრიის სასამართლოებმა თავი შეიკავეს იტალიის სასამართლოს მიერ მიღებული განკარგულების აღსრულებისგან (რომელიც გაიცა მამის მიერ საჩივრის შეტანის შემდეგ) და არ განიხილეს მათი არგუმენტი, რომ პირველი მომჩივნის იტალიაში დაბრუნება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა მის კეთილდღეობას და გამოიწვევდა დედისა და შვილის მუდმივ დაშორებას.

სასამართლომ გაიზიარა, რომ ავსტრიის სასამართლომ არ გააკეთა იმაზე მეტი, ვიდრე ის, რომ მოახდინა ევროპის კავშირის სამართლის მიხედვით წაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაცია, კერძოდ აამოქმედა ბრიუსელის IIa რეგულაციის ნორმები და გასცა განკარგულება ბავშვის დაბრუნებაზე, იტალიის სასამართლოს მოთხოვნის

შესაბამისად. *Michaud*-ს საქმეში არსებული გარემოებების საპირისპიროდ – რომელმაც მოიცვა დირექტივა და შესაბამისად, დისკრეციის გამოყენება, როგორც აღსრულების ღონისძიების ფორმა – ავსტრიის სახელმწიფო ვალდებული იყო, პატივი ეცა იტალიის სასამართლოს მიერ მიღებული დადასტურებული გადაწყვეტილების ნორმებისთვის, რომელიც უთითებდა ბავშვის დაბრუნებას. *Bosphorus*-ის გადაწყვეტილებაში ასახული პრინციპების მიხედვით, ავსტრიის სასამართლოს უნდა ემოქმედა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ევროპის კავშირის სამართლებრივი წესრიგი უზრუნველყოფს ფუნდამენტური უფლებების დაცვას ეკვივალენტური ან თანაზომიერი ფორმით, რაც დადასტურებულია კონვენციის სისტემით და გააჩნია ამგვარი დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სასამართლოს მსჯელობა შემდგომში კვლავ ფოკუსირდა *Bosphorus*-ის გადაწყვეტილებაში ასახული პრინციპების გამოყენებაზე, იმის თაობაზე, უარყვეს თუ არა მომჩივნებმა პრეზუმაცია საქმის გარემოებებში. სასამართლომ დაადგინა, რომ მათ ეს არ მოუხდენიათ.

იტალიის სასამართლომ, მოქმედებდა რა პრიუსელის IIa რეგულაციით, მოუსმინა მხარეებს და შეაფასა ის გარემოება, გამოიწვევდა თუ არა ბავშვის დაბრუნება მძიმე რისკებს მისთვის. ამას გარდა, *Michaud*-ს გადაწყვეტილების საპირისპიროდ, ავსტრიის სასამართლოებმა წინასწარი განკარგულება გამოითხოვეს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსგან, რომელმაც განიხილა რეგულაციის ფარგლები და დაადგინა, სხვა დანარჩენს შორის, რომ მომჩივანთა მდგომარეობის ნებისმიერი სავარაუდო ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაბრუნების ბრძანების გამოცემის შემდგომ, უნდა გადაგზავნილიყო იტალიის სასამართლოებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ *Michaud*-ს საქმეში ასეთი გადაწყვეტილების მიღებას არ ითხოვდნენ, რის შედეგადაც კონტროლის მექანიზმი არ იყო ამოქმედებული. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თუ იტალიის სასამართლოებში მომჩივნების მიერ შეტანილი რაიმე საჩივარი წარუმატებელი იქნება, მათ შეუძლიათ მეორე საჩივარი შემოიტანონ სასამართლოში. აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, საჩივარი უარყოფილ იქნა.

## პირადი და ოჯახური ცხოვრება

**გადაწყვეტილება – B. v. Romania (no. 2)** – ადგენს პრეცედენტულ სამართალს სამართლებრივ დაცვაზე, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს გონიერობისად (სულიერად) დაავადებული პაციენტებისთვის, რომლებიც დაექვემდებარენ ფსიქიატრიულ მჯურნალობას, ხოლო მათი შვილები იმყოფებიან სპეციალური მზრუნველობის ქვეშ. სასამართლომ მიიჩნია, რომ სულიერად დაავადებულ პირებს, რომლებიც მოთავსებულები არიან ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, უფლება აქვთ მიიღონ ადგევატური სამართლებრივი დაცვა და თავინთი შვილების შემდგომი ადგილსამყოფლის გადაწყვეტის საკითხში წამყვანი როლი შეასრულონ. განსაკუთრებული დაცვა, კერძოდ, ადვოკატისა თუ ინტერესების დამცველის დანიშვნა, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ასეთი მოწყვლადი ადამიანებისთვის, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი შვილების სხვა საცხოვრებელში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში და მათი ინტერესები გათვალისწინებული უნდა იყოს ამ პროცედურებში.

**ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში – Ageyev v. Russia** – განხილული იყო პერსონალური მონაცემების უნებართვო გამუღავნება იმ დროს, როდესაც მომჩივნების შვილი იმყოფებოდა საავადმყოფოში. საავადმყოფოს გადაწყვეტილებამ – ბავშვის სამედიცინო მონაცემების გადაცემამ და მათზე მედიის ხელმისაწვდომობამ გამოიწვია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

სასამართლომ პირველად განიხილა სახელმწიფოს შეფასების ზღვარის ფარგლები, როდესაც საუბარია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში საკითხის განხილვაზე, ტერორისტული აქტების ჩადენაში მონაწილე მოკლული პირების გვამების თაობაზე (*Sabanchiyeva and Others v. Russia; Maskhadova and Others v. Russia*). ეს საქმეები ეხება ხელისუფლების წარმომადგენლების უარს, დაუბრუნონ მომჩივნებს თავიანთი ნათესავების გვამები, რომლებიც მოკლეს უშიშროების სამსახურის შეიარაღებულმა ძალებმა, რათა შეძლონ მათი დაკრძალვა შესაბამისი წესით. ხელისუფლება დაეყრდნო შიდა სამართლის ნორმებს, რომელიც კრძალავს იმ ტერორისტთა გვამების გადაცემას, რომლებიც ასეთ სიტუაციაში იქნენ მოკლულნი.

სასამართლომ აღიარა, რომ ხელისუფლებას უფლება ჰქონდა, ემოქმედა ტერორისტული აქტების ინფორმაციული და ფსიქოლოგიური გავლენის მინიმიზაციის მიზნით მოსახლეობაზე და ტერორიზმის მსხვერპლთა ნათესავების გრძნობების დაცვის მოსაზრებით. შესაბამისად, მათ შეეძლოთ შეეზღუდათ მომჩივნებისთვის დროის შერჩევა, ადგილი და ფორმა დაკრძალვის ცერემონიისთვის და უშუალოდ ემართათ თავად პროცესია. ხელისუფლებას ასევე შეუძლია, გონივრულად ჩაერიოს, რათა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი არეულობა პროცესიის დროს. ასეთი მოსაზრებები უშუალოდ თავსდება მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების ზღვარის ფარგლებში. თუმცა, აქ საკვანძო საკითხია, იყო თუ არა ხელისუფლების ქმედება პროპორციულობის მოთხოვნის თანაზომიერი. მომჩივნებს უარი ეთქვათ დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობაზე, ან რამე ფორმით მიეგოთ უკანასკნელი პატივი გარდაცვლილი ნათესავებისთვის. ხელისუფლებამ ვერ შეძლო რამე დასაბუთების წარმოდგენა ვერც ერთ საქმეზე. ამგვარად, გამოყენებული კანონმდებლობა ითვალისწინებდა მხოლოდ ავტომატურ უარს და ხელისუფლებას არ შეეძლო ალტერნატიული ზომების განხილვა, რათა უზრუნველყო მასზე დაკისრებული ლეგიტიმური მიზნები (საზოგადოებრივი უსაფრთხოება და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა), რომელიც გამოიწვევდა თითოეული მომჩივანის კონვენციით გარანტირებული უფლებების ნაკლებ დარღვევას. შესაბამისად, ხელისუფლებამ ვერ შეძლო დაეცვა სამართლიანი ბალანსი ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ ინტერესებს შორის.

ადგილი, სადაც საპატიმრო განაჩენი უნდა მოიხადოს პირმა, იყო ერთ-ერთი საკითხი, რომელიც სასამართლომ განიხილა **საქმეში – Khodorkovskiy and Lebedev v. Russia**. ამ ასპექტზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეყრდნობოდა თავის დასაბუთებას, რომელიც ყოფილი კომისიის მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალშია ასახული. მომჩივნები ჩიოდნენ, რომ ხელისუფლებამ მათ პატიმრობაში ყოფნა მიუსაჯა ძალიან შორეულ კოლონიებში, რომელიც მდებარეობდა მათი სახლებიდან ათასობით კილომეტრით დაშორებულ ადგილზე. ისინი ჩიოდნენ ასევე ამ ღონისძიების შედეგებზე, რაც აისახა მათ ოჯახურ ურთიერთობებზე.

სასამართლომ აღიარა, რომ კოლონიების გეოგრაფიული მდებარეობითა და რუსეთის სატრანსპორტო სისტემის რეალობის გათვალისწინებით, მოსკოვიდან იმ კოლონიებში მგზავრობა იყო უაღრესად ხანგრძლივი, დამქანცველი და მტკიცნეული გამოცდა, განსაკუთრებით – მომჩივნების პატარა ბავშვებისთვის. იმ დროს, როცა მომჩივნების ოჯახები განსაკუთრებით წვალობდნენ კოლონიათა მდებარეობის სიშორით, მომჩივნები თავის მხრივ ირიბად იტანჯებოდნენ ოჯახის წევრთა მცირე ვიზიტების გამო, რადგან თუ მათ მოათავსებდნენ მოსკოვის სიახლოეს მდებარე რომელიმე კოლონიაში, უფრო ხშირად შეეძლებოდათ ოჯახის წევრების ნახვა. სასამართლომ აღიარა, რომ აღნიშნულ ზომას ადგილობრივი კანონმდებლობა ედო საფუძვლად. ამას გარდა, მომჩივნების გადაყვანა შორეულ პუნქტში განაჩენის მოსახდელად, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც გარკვეული მიზნების მისაღწევად გან-

ხორციელებული ქმედება, რომელსაც მთავრობა ისახავდა მიზნად, კერძოდ, ეს იყო მომჩინენითა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მოსკოვის შემოგარენში არსებული ციხეების გადატყირთულობის თავიდან აცილება. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ლონისძიება არაპროპორციული იყო და შესაბამისად, დაუსაბუთებელი.

თავის გადაწყვეტილებებში – *Garnaga v. Ukraine*, რომელიც ეხებოდა მამობის შეცვლის ნებართვაზე უარს და – *Henry Kismoun v. France*, რომელშიც განიხილებოდა ორი სხვადასხვა გვარის მატარებელი მომჩინენის საკითხი, რომელიც ითხოვდა მხოლოდ ერთი გვარის ტარების უფლებას, სასამართლომ ხელახლა განაცხადა, რომ ხელმომწერი სახელმწიფოები სარგებლობები შეფასების ფართო ზღვარით, როდესაც აწესრიგებდნენ ინდივიდის სურვილს, შეიცვალოს სახელი. ამის მიუხედავად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ დაიცვა ბალანსი შესაბამის ინტერესებს შორის, კერძოდ, მომჩინენის კერძო, პირადი ინტერესი თავისი გვარის შეცვლასთან დაკავშირებით და საჯარო ინტერესი სახელის არჩევის რეგულაციის თაობაზე. ორივე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მომჩინებისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი არ იყო საკმარისად დასაბუთებული ადგილობრივი კანონმდებლობით ან უფლებამოსილი პირების მიერ თავიანთ გადაწყვეტილებებში.

### ოჯახური და პირადი ცხოვრება და საცხოვრისი

მოპასუხე სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც მოგზაურთა თანამეგობრობის წევრები არიან, მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ ერთ-ერთ ქალაქში, რომელსაც თავისი თვითმმართველობა ჰყავს. ისინი ასაჩივრებდნენ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, მათ უნდა სხვა ადგილას გადაეცვანათ ყველა მანქანა, გადაეტანათ კარავი და ნებისმიერი შენობა იმ მიწიდან, რომელზეც ისინი დასახლებულნი იყვნენ 5-დან 30 წლის მანძილზე (*Winterstein and Others v. France*). სადაც მიწა მდებარეობდა იმ ზონაში, რომელიც მიწის დაგეგმარების მიხედვით, კლასიფიცირებული იყო როგორც „ბუნების დაცული ზონა“, ეს იყო იმ სექტორში, სადაც კემპინგების თუ ქარავნების მოწყობის ნებართვა იყო გაცემული, რომელიც საჭიროებდა ხელახალ ნებართვას. საფრანგეთის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მომჩინების დასახლება აღნიშნულ მიწაზე წარმოადგენდა მიწით სარგებლობის გეგმის დარღვევას და გასცა განკარგულება მიწის დატოვებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკისრებოდათ ჯარიმა თითოეული გადაცდენილი დღისათვის. სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერაც არ აღსრულებულა, მაგრამ მომჩინენი ნაწილი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მიწა ჯარიმის დაკისრების შიშით, რომლის გადახდაც ძალაში რჩება მათვის, ვინც ჯერ კიდევ აგრძელებს იქ ცხოვრებას. ოთხი ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად სოციალურ სახლებში.

გადაწყვეტილება საქმეზე – *Yordanova and Others v. Bulgaria* – ადგენს პრეცედენტულ სამართალს. პროპროცესულობის პრინციპი მოითხოვს სიტუაციის სხვადასხვა განხილვას, როდესაც საუბარია მთლიან თემსა და ყოველდღიურობის ძალიან ხანგრძლივ პერიოდზე, როცა პირი გამოსახლებულია საკუთრებიდან, რომელსაც ის უკანონოდ ფლობდა, მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია, რომ იგი ეკუთვნის უმცირესობათა მოწყვლად ჯგუფს. ამგვარად, ბოშათა მოწყვლადი მდგომარეობა და მოგზაურები ნიშნავს იმას, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათ საჭიროებებს და განსხვავებული ცხოვრების წესს. მომჩინების საქმეში სასამართლომ გამოიყენა *Yordanova*-ს პრეცედენტული სამართალი იმ სიტუაციასთან მიმართებით, სადაც სადაც მიწა იყო არა მუნიციპალიტეტის საკუთრება, არამედ – კერძო პირის ქონება, რომე-

ლიც არენდით ან თუნდაც დასაკუთრებული ჰქონდათ მომჩივნებს. ამას გარდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ უამრავი საერთაშორისო და ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები ყურადღებას ამახვილებენ საჭიროებაზე, რომ მოგზაურ ბოშათა იძულებითი გამოსახლების შემთხვევებში დაინტერესებული პირები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ აღტერნატიული საცხოვრებლით, გარდა **force majeure** შემთხვევებისა.

### აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მუხლი 9)

ზოგიერთმა კომპლექსურმა საქმემ შესაძლოა დაავალდებულოს სასამართლო, დაიცვას ბალანსი კონვენციით დაცულ ორ, სხვადასხვა უფლებას შორის. ამგვარ სიტუაციებში სასამართლო აღიარებს, რომ სახელმწიფოს გააჩნია შეფასების ფართო ზღვარი კონვენციით გარანტირებულ, ერთმანეთის კონკურენტ უფლებებს შორის ბალანსის დასაცავად.

- **საქმეზე – Sindicatul „Pastorul cel Bun“ v. Romania** – სასამართლოს მოეთხოვებოდა, დაეცვა ბალანსი პროფესიული გაერთიანების შექმნის უფლებასა და რელიგიური გაერთიანებების ავტონომიურობას შორის (იხილეთ ქვემოთ, მუხლი 11);
- **საქმე – Eweida and Others v. the United Kingdom** – ეხებოდა დაქირავებულების უფლებას, დაეცვათ სხვათა უფლებები, განსაკუთრებით – ჰომოსექსუალი წყვილების უფლება და მომჩივნების უფლებას მათი რელიგიური მრნამსის საქვეყნოდ აღმსარებლობაზე.

უფლების ხარისხი, ვინმეს მიერ თავისი რელიგიის ღიად აღმსარებლობაზე სამუშაო ადგილას ან პროფესიულ კონტექსტში, ახალი საკითხი იყო სასამართლოსთვის. ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში – **Eweida and Others** – სასამართლომ შეაჯამა თავისი პრეცედენტული სამართალი ამ სფეროში. სხვა საკითხებს შორის, აღნიშნულ საქმეში დაქირავებულის დრესკოდი უფლებას არ იძლეოდა, პირს შესამჩნევი ფორმით ეტარებინა ჯვარი. სასამართლომ დაადგინა, რომ შიდა კანონმდებლობაში აშკარა დაცვის არარსებობა თავისითავად არ გულისხმობს იმას, რომ პირის მიერ რელიგიური აღმსარებლობის გამოხატვის უფლება რელიგიური სიმბოლოს ტარებით სამუშაო ადგილას, არაჯეროვნად იყო დაცული. სასამართლომ აღიარა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა შეფასების ფართო ზღვარი კონვენციით გარანტირებულ, ერთმანეთის კონკურენტ უფლებებს შორის ბალანსის დასაცავად და ასევე პოსპიტალურ პირობებში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის კონტექსტში.

### გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 10)

შეუძლია თუ არა სამაუწყებლო მედიის დაუყოვნებლოვ და **dilectio** გავლენას (ჩარევას) გაამართლოს შეზღუდვები, რომელიც დაწესებულია დემოკრატიული პროცესების დასაცავად, იმ უფლებაზე დაყრდნობით, რომ ასეთი მედია საჯარო დებატებისთვის იყოს გამოყენებული?

დიდმა პალატამ გამოიტანა **გადაწყვეტილება საქმეზე – Animal Defenders International v. the United Kingdom** – სადაც საუბარი იყო ამ საკითხზე. საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც სოციალურ საკითხებზე მუშაობს, იჩივლა პოლიტიკური რეკლამების საკანონმდებლო აქრძალვის გამო, როგორც თავიანთი კამპანიის ნაწილი, პრიმატების მიმართ მოპყრობის შესახებ.

სასამართლომ მიუთითა, რომ როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა საჯარო ინტერესის საკითხზე, ის მოქმედებდა „მოდარაჯე ძალლის როლში“ ისეთივე საჭიროებით, როგორც პრესა. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ არა-სამთავრობო ორგანიზაციის უფლება საზოგადო ინფორმაციისა და იდეების გავრცელება, რომლის მიღების უფლებაც აქვს საზოგადოებას, ხელისუფლების სურვილის საწინააღმდეგოდ, დაიცვას დემოკრატიული დებატები და პროცესები ძლიერი ფინანსური ჯგუფების მიერ დამახინჯებისგან, გავლენიანი მედიის უპირატესი ხელმისაწვდომობით. მთავარი საკითხი, რომელიც უნდა გადაჭრილიყო ამ საქმეში, არის ჩარევის პროპორციულობა კონვენციის მიხედვით. დიდმა პალატამ ანალიზისთვის გამოყო რამდენიმე საკითხი: ეროვნული საპარლამენტო და სასამართლებრივი განხილვების ხარისხი ამ ზომის აუცილებლობაზე, აკრძალვის არეალი, მისი შეზღუდვები და გამოხატვის თავისუფლების დარღვევის ხარისხი, სხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობა, სადაც კონვენცია მოქმედებს და სხვა მედიის გამოყენების შესაძლებლობა.

სასამართლომ მნიშვნელოვანი წონა შემატა საპარლამენტო და სასამართლო ორგანოების მკაცრ და რელევანტურ განხილვებს რეგულირების რეჟიმის კრიტიკის თაობაზე და მათ შესაბამის მოსაზრებებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ გაანალიზდა კონვენციით დადგენილი შესაბამისი პრეცედენტული სამართალი და ამ ზომების შესატყვისობა კონვენციასთან ეროვნულ დონეზე იყო განხილული.

სასამართლო ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმას, რომ აკრძალვა ეროვნულ დონეზე იმგვარად იქნა შემოღებული, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა რაც შეიძლება მცირე ფორმით ყოფილიყო.

ამას გარდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის კონსენსუსის ნაკლებობა იყო იმაზე, თუ როგორ უნდა დარეგულირებულიყო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა მაუწყებელზე. კონსენსუსის აღნიშნულმა ნაკლებობამ გაზარდა სახელმწიფოსთვის მიკუთვნებული შეფასების ზღვარი, საჯარო ინტერესის საკითხებზე აზრის გამოხატვის თვისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

ასევე, სხვა მედიაზე ხელმისაწვდომობა იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი პოტენციურად სასარგებლო მედიაზე აკრძალვის პროპორციულობის განსაზღვრისას. მართალია, სამაუწყებლო მედიაში ფასიან რეკლამაზე ხელი არ მიუწვდებოდა, მაგრამ არსებობდა კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდი მომჩივანი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ყოველგვარი აკრძალვების გარეშე, მაგალითად: განსაკუთრებით ბეჭდური მედია, ინტერნეტი (სოციალური მედიის ჩათვლით), დემონსტრაციები, პოსტერები და ფლარები. ამასთან დაკავშირებით, დიდმა პალატამ ასევე გააკეთა კომენტარი ახალი მედიის გავლენაზე, ინტერნეტსა და სოციალურ მედიაზე.

და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაც აკრძალვების გავლენა, რომელიც მომჩივან არასამთავრობო ორგანიზაციაზე გავრცელდა, ვერ გადასწონის სახელმწიფოს მიერ წინ წამოწეულ დამაჯერებელ მიზეზებს, რომ დაასაბუთოს ფასიან პოლიტიკურ რეკლამაზე დაწესებული აკრძალვა გაერთიანებულ სამეფოში არსებულ ტელე-რადიომაუწყებლობაში.

სასამართლოს ასევე ჰქონდა შესაძლებლობა, უფრო განევითარებინა თავისი პრეცედენტული სამართალი ინტერნეტთან დაკავშირებით თავის მეორე **საქმეში – Neij and Sunde Kolmisoppi v. Sweden**, რომელშიც ინტერნეტის საფრთხეები იყო განხილული. საქმე ეხებოდა საავტორო უფლების დარღვევის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას ვებ-გვერდის – „The Pirate Bay“-ის ორი თანადამფუძნებ-

ლის მიმართ, რომელიც ხელს უწყობდა ტორენტ-ფაილების (მუსიკა, ფილმები, თამაშები და ა.შ.) გაზიარებას, მათ შორის მაშინც, თუ ირღვეოდა საავტორო უფლებები. სასამართლომ აშკარად აღიარა, რომ გაზიარება ან სხვებისთვის ინტერნეტში ამგვარი სახის ფაილების გაზიარების უფლების მიცემა – თუნდაც უკანონო და შემოსავლის მიღების მიზნით – ხვდება იმ უფლების ფარგლებში, რომელიც გულისხმობს – „მიიღო და გაავრცელო ინფორმაცია“ მე-10 §1 მუხლის მიხედვით და რომ ნებისმიერი ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში უნდა შეესაბამებოდეს პროპორციულობის ტესტის სტანდარტებს მე-10 §2 მუხლის მიხედვით. ამას გარდა, ასეთი სიტუაცია ენინააღმდეგება ერთმანეთის კონკურენტ ორ ინტერესს, რომლებიც დაცულია კონვენციით, კერძოდ, გამოხატვის თავისუფლება და ინტელექტუალური საკუთრების უფლება, თუმცა წარმოდგენილ საქმეში არსებული მასალა არ სარგებლობდა ისეთივე დაცვის დონით, როგორიც აქვთ პოლიტიკურ გამონათქვამებსა და დებატს. ასე რომ, სახელმწიფოს პქნდა განსაკუთრებული ფართო შეფასების ზღვარი ამ სფეროში. სასამართლომ, საჩივრის დაუკმაყოფილებლობის სხვა საფუძვლებთან ერთად, ასევე მიუთითა საავტორო უფლების დაცვის ვალდებულებაზე, რომელიც არსებობს როგორც შესაბამისი კანონმდებლობით, ასევე კონვენციით და ვალიდური მიზეზი იყო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის.

**გადაწყვეტილებაში – *Sukran Aydən and Others v. Turkey* –** სასამართლომ განიხილა ეროვნული უმცირესობების ლინგვისტური თავისუფლების უაღრესად მგრძნობიარე (სენიტიური) საკითხი. საქმე ეხებოდა საპარლამენტო და მუნიციპალურ არჩევნებში მონაბილე კანდიდატების (ან მათი მხარდამჭერების) ბრალდებასა და მსჯავრდებას (პატიმრობის ვადები/ ან ჯარიმები, რომელიც არ აღსრულებულა) საარჩევნო კამპანიისას ქურთულ ენაზე საუბრისა და მიმართვის გამო, რომელიც კანონის თანახმად, ვიდრე ცვლილებები შევიდოდა, იკრძალებოდა, რადგან დაუშვებელი იყო თურქულის გარდა სხვა რომელიმე ენის გამოყენება საარჩევნო კამპანიისას.

სასამართლო პირველად დაადგინა, რომ დაირღვა მე-10 მუხლი საჯარო ცხოვრებაში სახელმწიფო ენის გარდა სხვა ენის გამოყენების გამო; უფრო მეტიც, ეს არ იყო საჯარო ხელისუფლებისა თუ სამთავრობო დაწესებულებებთან კომუნიკაციის კონტექსტში, არამედ ეხებოდა კერძო პირებთან ურთიერთობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინმეს პოლიტიკური მოსაზრებებისა და იდეების გავრცელების უფლება და სხვათა უფლება, მიღლონ ეს ინფორმაცია, აზრსმოკლებული იქნება, თუ იმ ენის გამოყენების შესაძლებლობა, რომლითაც შესაძლებელია ამ იდეებისა და მოსაზრებების გადაცემა, შეიზღუდება სისხლისამართლებრივი სანქციების დაკისრების შიშით.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მე-10 მუხლის საფუძველზე საჩივრით მიმართეს სტრასბურგის სასამართლოს. საჩივარი ეხებოდა ოფიციალურ დოკუმენტაციაზე სელმისაწვდომობის უფლებას. ორივე საქმეში სასამართლომ დაადგინა თავისი პრეცედენტული სამართალი.

**გადაწყვეტილება – *Youth Initiative for Human Rights v. Serbia* –** ეხებოდა მომჩივანი ორგანიზაციისთვის სადაზვერვო სამსახურის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უარს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გადაწყვეტილება, რომლითაც შესაბამის სამსახურებს ევალებოდა მათი გამუღავნება. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა სერბეთის სადაზვერვო სამსახურის მიერ მომჩივანი ორგანიზაციისთვის ინფორმაციის გამუღავნებაზე უარის გამო, რომელიც ეხებოდა გარკვეული რაოდენობის პირებს, ვინც დაექვემდებარნენ ელექტრონულ დევნას დროის კონკრეტულ პერიოდში. სააგენტოს დაევალა ინფორმაციის გამუღავნება მომჩივანი ორგანიზაციის სასარგებლოდ, საინფორმაციო კომისრის (*Information Commissioner*) მიერ მიღებული სავალდებულო გადაწყვეტილების თანახმად.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ცნება „ინფორმაციის მიღების თავისუფლება“ მოიცავს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებასაც, დაეყრდნო რა თავის მიღვო-მას **საქმეებში:** – *Tarsasag a Szabadsagjogokert v. Hungary* – და – *Kenedi v. Hungary*. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი ორგანიზაცია აშკარად დაკავებული იყო სა-ჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის კანონიერად მოპოვებით, იმ განზრახვით, რომ შემდგომში საზოგადოებისთვის ყოფილიყო ცნობილი და ამით ხელი შეეწყო საჯარო დებატებისთვის. სასამართლომ დაადგინა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. სა-სამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს უარი შესაბამისი ინფორმაციის გამულავნება-ზე უტოლდებოდა აკრძალვას, რომელიც არ იყო „კანონის შესაბამისი“, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა საინფორმაციო კომისიოს (*Information Commissioner*) გადაწყვე-ტილებას. გადაწყვეტილების დადგენილებით ნაწილში სასამართლომ მიუთითა მთავ-რობას, უზრუნველყოს სადავო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მომჩივანი ორგა-ნიზაციისთვის, რაც წარმოადგენს ერთადერთ რეალურ საშუალებას, ბოლო მოელოს კონვენციის დარღვევას (მუხლი 46).

**საქმეში – Österreichische Vereinigung zur Erhaltung, Starkung und Schaffung eines wir-  
tschaftlich gesunden land- und forstwirtschaftlichen Grundbesitzes v. Austria** – მომჩივანმა ასოციაციამ რეგიონული უძრავი ქონების ტრანზაქციის კომისიისგან მოთხოვა ყვე-ლა გადაწყვეტილების ასლის მიწოდება დაშტრიხული (ანონიმური) ფორმით, რაც წი-ნა ხუთი წლის მანძილზე იქნა გამოტანილი. აღნიშნულ მოთხოვნაზე მომაჩივანს უა-რი ეთქვა, ძირითადად იმ საფუძვლით, რომ ყველა გადაწყვეტილების ასლის გადაღე-ბა, დაშტრიხვა და გაგზავნა საჭიროებდა მნიშვნელოვან რესურსებს, რომელიც რის-კის ქვეშ დააყენებდა კომისიის მიერ სხვა ფუნქციების შესრულებას. იმის განხილვი-სას, იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მიზეზი, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება დაეყრდნო, იყო რელევან-ტური, მაგრამ არასაკმარისი და რომ სრული უარი, მიეწოდებინა მომჩივანი ასოცია-ციისთვის კომისიის გადაწყვეტილებები, იყო არაპროპორციული. ამასთან დაკავში-რებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ასოციაცია მზად იყო დაეფარა ასლის გადაღე-ბისთვის საჭირო მასალისა და გაგზავნის ხარჯები და რომ არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა გადაწყვეტილების დაშტრიხული (ანონიმური) ფორმით მიღება ყვე-ლა სხვა რეგიონული უძრავი ქონების კომისიისგან. სასამართლომ ასევე გაითვალის-წინა ის ფაქტი, რომ კომისიის არც ერთი გადაწყვეტილება არ გამოქვეყნებულა არც ელექტრონული და არც რამე სხვა ფორმით (რაც განასხვავებს ამ საქმეს ზემოთ ხსენებული *Tarsasag a Szabadsagjogokert*-ის საქმისგან), სადაც მოთხოვნილი ინფორ-მაცია იყო გამზადებული და ხელმისაწვდომი). რეგიონულმა კომისიამ, რომელმაც საკუთარი მიხედულებით წარმართა საინფორმაციო მონიპოლია თავის გადაწყვე-ტილებებთან დაკავშირებით, შეუძლებელი გახადა მომჩივანი ასოციაციისთვის, წა-რემართა კვლევა და მნიშვნელოვანი ფორმით მონაწილეობა მიეღო საკანონმდებლო პროცესში, რომელიც ეხებოდა უძრავი ქონების ტრანზაქციის კანონში შესატან ცვლი-ლებებს.

**ზემოხსენებული გადაწყვეტილება – Stojanovisk** – ეხება კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებას ისეთ ვითარებაში, როდესაც მომჩივანი უარყოფს, რომ ის არის ცილის-მნამებლური განცხადებების ავტორი. დეფამაციური ქმედება ეხება გამოყენებულ გამოთქმებს ან უურნალისტების მიერ სტატიებში ასახულ იხსინუაციებს, რომლებიც მომჩივანთან ინტერვიუს შემდეგ ან მომჩივნის მიერ მესამე მხარესთნ სატელეფონო საუბრისას ჩაინტერა. მომჩივანი მე-10 მუხლზე დაყრდნობით წარუმატებლად ცდი-ლობდა თავისი უფლებების დაცვას დეფამაციური ქმედებების გამო, მაშინ, როცა იმა-ვე დროს აპროტესტებდა (კვლავ წარუმატებლად), რომ მას არასოდეს წარმოუთქვამს ის სიტყვები, რასაც მიაწერდნენ. მომჩივნის თქმით, ეს უურნალისტმა წარმოთქვა.

სასამართლოს წინაშე მთავრობის მხარემ განაცხადა, რომ მომჩივანს არ შეეძლო დაყრდნობოდა მე-10 მუხლს, რადგან მისი უპირველესი გულისწყრომა იყო ის, რომ იგი არ იყო იმ განცხადებების ავტორი, რის გამოც მას პასუხისმგებლობა დაეკისრა. ამას გარდა, იმისათვის, სრულად ამოიწუროს შიდა სამართლებრივი ზომები, მომჩივანმა არ უნდა იდაოს იმაზე, რომ მან გააკეთა განცხადებები. მან უნდა იდაოს, რომ ამ განცხადებების გაკეთებით იგი სარგებლობდა თავისი გამოხატვის უფლებით. სასამართლომ დაადგინა, რომ მე-10 მუხლით საჩივრის განხილვა დასაშვებია. სასამართლომ აღნიშნა, რომ დეფამაციაში პასუხისმგებლობის ხარისხი არ უნდა სცდებოდეს პირის წარმოთქმულ სიტყვებს და რომ ინდივიდს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა სხვათა მიერ წარმოთქმული სიტყვებისა თუ განცხადებების გამო. სასამართლომ დაამატა, რომ იქ, სადაც მომჩივანი ეფექტურად დაობდა ადგილობრივი სასამართლოების მიერ მისი გამოხატვის თავისუფლების ირიბად შეზღუდვაზე, იმ გამოთქმების გამო, რომელიც მას მიაწერეს (იგულისხმება ინტერვიუ, სადაც მომჩივანი აკრიტიკებს ჯანდაცვის მინისტრის პოლიტიკას) და რომელიც მას არასოდეს უთქვამს, თუმცა დაეკისრა ზიანის ანაზღაურების გადახდა, მას სრული უფლება ჰქონდა, დაყრდნობოდა კონვენციის მე-10 მუხლს. რაც შეეხება სასამართლოს, თუ მომჩივნის არგუმენტი დადასტურდება, რომ იყო სწორი, ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას დაეკისრება, სავარაუდო იქნება ის, რომ სამომავლოდ მან უარი უნდა თქვას მსგავს კრიტიკაზე. სასამართლო შეუდგა იმის დადგენას, სწორად მოიქცნენ თუ არა ადგილობრივი სასამართლები, როდესაც მიიჩნიეს, რომ სტატიაში გამოყენებული განცხადებები სცდება იმის ფარგლებს, რაც მომჩივანმა თქვა და დაადგინა (სასამართლომ), რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი მომჩივნის მიერ გააკეთებულ ორ განცხადებასთან მიმართებით (რომლებიც, მომჩივნის თქმით, არასწორად მიაწერეს მას).

**საქმეში – Perincek v. Switzerland** – მომჩივანმა გააკეთა უამრავი განცხადება 1915 წელს სომეხთა მასობრივ ულეტაზე. მართალია, მან აღიარა, რომ მოხდა სომეხის ხალხის მასობრივი ხოცვა და დეპორტაცია, მაგრამ განაცხადა, რომ მოვლენების სამართლებრივი დახასიათება, როგორც გენოციდის, იყო „საერთაშორისო ტყუილი“. ამ კომენტარების საფუძველზე მას ბრალად დასდეს რასობრივი დისკრიმინაცია, იმ კანონის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა სანქციებს მათ წინააღმდეგ, ვინც *inter alia*, უარყოფდა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი გენოციდისა თუ სხვა სახის დანაშაულს.

სასამართლომ გაიზიარა, რომ მომჩივნის განცხადებები არ სცილდებოდა კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებს, კონვენციის მე-17 მუხლიდან გამომდინარე, მიუხედავად მათი პროვოკაციული ტონისა. სასამართლომ გადამწყვეტად მიიჩნია, რომ მომჩივნის ლია უარი 1915 წლის მოვლენათა, როგორც გენოციდის კვალიფიკაციაზე, ნაკლებად დამაჯერებელი იყო იმ თვალსაზრისით, რომ იგი რასობრივ ზიზღს აღვივებდა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივანი არასოდეს ყოფილა ბრალდებული რასობრივი ზიზღის გაღვივებაში ან გენოციდის გამართლების მცდელობაში – ორივე ბრალდებას ითვალისწინებს ადგილობრივი კანონმდებლობა.

სასამართლო იზიარებს, რომ ასეთი სისასტიკის მსხვერპლთა ოჯახების პატივისა და გრძნობების დაცვა იყო ლეგიტიმური მიზანი, რის გამოც მიიჩნევს, რომ მომჩივანზე სისხლის სამართლით დაკისრებული სანქციები არ შეიძლება გამართლებული იყოს მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების ზღვარით. გადაწყვეტილება მიუთითებს შესაბამის ფაქტორებზე, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული ზღვარის შეფასებისას.

ეს იყო პირველი საქმე, რომელშიც სასამართლომ განიხილა სიტყვის მისაღებობის საკითხი, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ისტორიული სისასტიკის, როგო-

რიც გენოციდია, კლასიფიკაციას. თავის დასაბუთებაში სასამართლომ განასხვავა მომჩინის საქმის გარემოებები იმ საქმეებისაგან, რომლებშიც პირები დაისაჯნენ ეროვნულ დონეზე პოლოკოსტის დანაშაულების უარყოფის გამო.

## შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლი 11)

### გამოყენება

ზემოხსენებული საქმე – „*Pastorul cel Bun*“ – ადგენს პრეცედენტულ სამართალს შრო- მითი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე. იმის შეფასებისას, დაქირავებულის მიერ შესრულებული მოვალეობები უტოლდება თუ არა შრომით ურ- თიერთობებს მის დაქირავებელთან – რაც პროფესიული კავშირის შექმნის უფლე- ბას ხელმისაწვდომს ხდის მე-11 მუხლის მიხედვით – დიდმა პალატამ გამოიყენა შე- საბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებში არსებული კრიტერიუმები. მან ხელახლა დაამტკიცა ის პრინციპი, რომ არც ერთი პროფესიული ჯგუფი არ იყო ამორიცხული კონვენციის მე-11 მუხლის ფარგლებიდან.

### პროფესიული კავშირის შექმნის უფლება

რელიგია და პროფესიული კავშირი იყო საკვანძო საკითხი საქმეში – *Sindicatul „Pasto- rul cel Bun“*. მრევლის წევრებს სურდათ დაეფუძნებინათ პროფესიული კავშირი არ- ქიეპისკოპოსის თანხმობისა თუ კურთხევის გარეშე, ეკლესის წესდების დარღვე- ვით. პროფესირს არ მიეცა რეგისტრაციის უფლება იმ მოტივით, რომ რეგისტრა- ცია სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა ეკლესის ავტონომიას. ასეთი ავტონომია იყო ქვაკუთხედი სახელმწიფოსა და აღიარებულ რელიგიურ ერთობებს შორის ურთიერ- თობის საკითხში.

სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური ერთო- ბების ავტონომიის პატივისცემა გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფომ უნდა აღია- როს ასეთი ერთობების უფლება, იმოქმედოს საკუთარი წესებისა და ინტერესების შესაბამისად ნებისმიერ დისიდენტურ მოძრაობებზე, რომლებიც მათ წიაღში წარმო- იშობა და რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს საშიშროებას მათი ერთიანობისთვის, იმიჯისა და სიმტკიცისთვის. ეროვნული ხელისუფლების ამოცანა არ არის რელიგიურ ერთობებსა და სხვადასხვა დისიდენტურ (პპოზიციურ) დაჯგუფებას შორის (რომე- ლიც უკვე არსებობს, ან შესაძლოა მათ შიგნით შეიქმნას) არბიტრის როლის მორგება.

ადგილობრივმა სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გაერთიანების თავი- სუფლება და რელიგიური გაერთიანებების ავტონომიურობა დაცული იყოს მოქმედი კანონმდებლობით, კონვენციის ჩათვლით.

იქ, სადაც გაერთიანების უფლებაში ჩარევა (მუხლი 11) მოხდა, კონვენციის მე-9 მუხ- ლიდან გამომდინარეობს, რომ რელიგიურ გაერთიანებებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ თავიანთი მოსაზრება იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა მათი წევრების რაიმე კოლექ- ტიურ აქტივობებს დააზიანოს მათი ავტონომია და პრინციპში, ეროვნულმა ხელისუფ- ლებამ პატივი უნდა სცეს რელიგიური გაერთიანებების მოსაზრებას. თუმცა, რელი- გიური გაერთიანებების უბრალო მტკიცება, რომ არსებობდა ფაქტობრივი და პოტენ- ციური საფრთხე მათი ავტონომიისთვის, არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ წებისმი- ერი ჩარევა მათი წევრების პროფესიული კავშირის უფლებებში შეთავსებადი ყოფი-

ლიყო მე-11 მუხლის მოთხოვნებთან. ინდივიდუალური საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ასევე უნდა წარმოჩენილიყო, რომ სავარაუდო რისკები იყო დამაჯერებელი და არსებითი და რომ სადაც ჩარევა გაერთიანების თავისუფლების უფლებაში არ სცდებოდა იმ ფარგლებს, რაც აუცილებელი იყო რისკის აღმოსაფხვრელად და არ ემსახურებოდა რამე სხვა მიზანს, რაც არ უკავშირდებოდა რელიგიური გაერთიანების ავტონომიის განხორციელებას. ადგილობრივმა სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ამ პირობების დაკმაყოფილება საქმის მასალების სიღრმისეული შესწავლით და ერთმანეთის კონკურენტ ინტერესებს შორის უნდა დაიცვან ბალანსი.

ამას გარდა, კონსტიტუციური მოდელების ფართო სპექტრი, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოსა და რელიგიურ კონფესიებს შორის ურთიერთობებს ევროპაში, გვიჩვენებს, რომ არ არსებობს ევროპული კონსენსუსი ამ საკითხზე. შედეგად, სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით ამ სფეროში, მოიცავს რა სრულ უფლებას, აღიაროს თუ არა რელიგიური გაერთიანების შიგნით არსებული პროფესიული კავშირი, რომელიც შესაძლოა მიზნად ისახავდეს ასეთი (რელიგიური) გაერთიანებების ავტონომიის უფლებების განხორციელებაში ხელის შეშლას. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-11 მუხლი.

## გაერთიანების თავისუფლება

**საქმე – Vona v. Hungary** – ეხება კერძო ასოციაციის დაშლას, ამ ორგანიზაციის გასამხედროებული ფრთის მიერ ბოშათა სანინაღმდებო მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობის გამო. სასამართლომ უარყო ასოციაციის პრეზიდენტის არგუმენტები იმის თაობაზე, რომ ასოციაციის დაშლით დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი. სასამართლომ დაადასტურა, რომ პრინციპები, რომლებიც დადგინდა საქმეებში – *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey, Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey* და *Herri Batasuna and Batasuna v. Spain* – იყო თანაბრად რელევანტური, როდესაც ის აფასებდა კონვენციის შესაბამისობას სოციალური ორგანიზაციის, ისეთი, როგორიც ეს ორგანიზაციაა, იძულებით დაშლასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ ორგანიზაციებს შეეძლოთ პოლიტიკური ცხოვრების ფორმირება. ზემოხსენებული პრინციპების მითითებით სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს, გაატაროს პრევენციული ზომები დემოკრატიის დასაცავად *vis-a-vis* ორგანიზაციებთან, როგორიც მომჩივანია, თუ მიიჩნევს, რომ გარდაუვალია სხვათა უფლებების დარღვევა, რაც ზიანს აყენებს იმ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რასაც დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება. სასამართლოს აზრით, სახელმწიფო არ არის ვალდებული დაიცადოს, ვიდრე პოლიტიკური მოძრაობა გადავა ისეთ ქმედებებზე, რაც აზიანებს დემოკრატიას, ან გააჩინია ძალადობის რესურსი. ასეთ მოძრაობას, რომც არ ჰქონდეს ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობა და მისი პოლიტიკა არ იყოს საკმარისი საფრთხის შემცველი დემოკრატიისთვის, სახელმწიფოს უფლება აქვს, წამოიწყოს პრევენციული ქმდებები, თუკი დადასტურდა, რომ აღნიშნულმა მოძრაობამ დაინყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთი პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც შეუთავსებელია კონვენციასა და დემოკრატიულ საზოგადოებასთან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მიტინგების განმეორებითი გამართვა იმ მიზნით, რომ „ბოშათა კრიმინალი“ შეეჩერებინათ და ასევე ფართომასშტაბიანი გასამხედროებული მსვლელობის მოწყობა წარმოადგენდა რასობრივი სეგრეგაციისკენ გადადგმულ ნაბიჯს. სასამართლომ გაიზიარა ადგილობრივი სასამართლოების დასკვნები, რომ ამგვარ მოვლენებს ჰქონდა შემაშინებელი ეფექტი ბოშათა უმცირესობისთვის და მი-

იჩინია, რომ საშიშროების ეფექტური განეიტრალება, რომელიც აღნიშნული ქმედებებით იყო წარმოდგენილი, შესაძლებელი იყო მხოლოდ ასოციაციის მიერ უზრუნველყოფილი სარეზერვო მხარდაჭერის გაუქმებით.

### დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 14)

**გადაწყვეტილება – *Fabris v. France*** – ეხებოდა ბავშვის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას მისი სამემკვიდრეო უფლებებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმის გამო, რომ ქონინების გარეშე კავშირის შედეგად იყო დაბადებული. არ არსებობდა რაიმე ობიექტური და გონივრული დასაბუთება განსხვავებულ მოპყრობასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი პირველი ოქმის I მუხლთან ერთად. სასამართლომ უწინაც აღნიშნა, რომ უნდა არსებობდეს უაღრესად მნიშვნელოვანი მიზეზები იმისათვის, რათა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მიმართ განსხვავებული მოპყრობა განვიხილოთ კონვენციასთან შესაბამისად. სასამართლომ გაიზიარა, რომ მოპოვებული უფლებების პატივისცემა (დაცვა) უნდა ემსახურებოდეს სასამართლებრივი სიცხადის ინტერესებს და რომ ეს წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, რომელსაც შეეძლება, გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა მომჩივნის საქმეში. ამის მიუხედავად, გარდაცვლილისა და მათი ოჯახების ‘ლეგიტიმური მოლოდინების’ დაცვა უნდა დაექვემდებაროს ქორწინებაში და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს შორის თანაბარი მოპყრობის იმპერატიულ მოთხოვნას. მართლაც, და ეს იყო გადამზყვეტი, დისკრიმინაციის აკრძალვა, რომელიც დაფუძნებულია მშობლებთან კუთვნილების „უკანონო“ ბუნებაზე, იყო „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ევროპული სტანდარტი“: სასამართლომ დაადგინა, რომ 1979 წლიდან მოყოლებული ბავშვთა სამემკვიდრეო უფლებებზე დაწესებული შეზღუდვა მათი დაბადების საფუძველზე შეუსაბამო იყო კონვენციასთან.

სასამართლო პრინციპში არ მოითხოვდა დავების გადაწყვეტას უშუალოდ პრივატული ხასიათით. ამის მიუხედავად, ის ვერ დარჩებოდა პასიური იქ, სადაც ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის ინტერპრეტაცია – იქნება ეს ანდერძისმიერი განკარგულება, კერძო შეთანხმება, საჯარო დოკუმენტი, საკანონმდებლო ნორმა თუ ადმინისტრაციული პრაქტიკა – აღმოჩნდება დაუსაბუთებელი, თვითნებური ან აშკარად შეუთავსებელი მე-14 მუხლით დადგენილ დისკრიმინაციის აკრძალვასა და უფრო ფართოდ თუ განვიხილავთ, კონვენციის საფუძველში ჩადებულ პრინციპებთან.

აღნიშნა რა ასევე, რომ საკასაციო სასამართლომ არ განიხილა მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც კონვენციის სავარაუდო დარღვევას ეხებოდა, დიდმა პალატამ ხელახლა დაადასტურა, რომ სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, ეროვნულ სასამართლოებს მოეთხოვებოდათ განსაკუთრებული სიმკაცრითა და ყურადღებით განეხილათ თხოვნები, რომლებიც ეხებოდა კონვენციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

**ზემოხსენებული გადაწყვეტილება – *X and Others v. Austria*** – ეხებოდა მეორე მშობლის მიერ ბავშვის შვილად აყვანის საკითხს, რომელიც ერთსქესიან ქორწინებაში იმყოფებოდა. სასამართლოს უნდა განეხილა არა ზოგადი საკითხი, ერთსქესიან წყვილებში მეორე მშობელს ჰქონდა თუ არა შვილად აყვანაზე ხელმისაწვდომობა, არა მედ ის, არსებობდა თუ არა განსხვავებული მოპყრობა განსხვავებული სქესის მქონე დაუქორწინებელ წყვილებსა და ერთსქესიან წყვილებს შორის, შვილად აყვანის ასეთ შემთხვევებში. საქმე ეხება ლესბოსელ წყვილს, რომელთაგან ერთ-ერთ პარტნიორს

არ შეუძლია თავისი პარტნიორის ბავშვის შვილად აყვანა, ვიდრე მისი პარტნიორი არ გაწყვეტს სამართლებრივ კავშირს ბავშვთან. გადაწყვეტილება ორ განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა, რომელიც დამოკიდებულია იმის გარკვევაზე, რას შეესაბამება მომჩივნების სიტუაცია: დაქორწინებული ჰეტეროსექსუალი წყვილისას, თუ დაუქორწინებელი ჰეტეროსექსუალი წყვილისას.

იმეორებს რა **Gas and Dubois v. France**-ს საქმეში დადგენილ მიდგომას, დიდი პალატა აცხადებს, რომ მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანასთან დაკავშირებით სტაბილური ერთსქესიანი წყვილების სიტუაცია არ იყო შესადარებელი დაქორწინებული წყვილების სიტუაციასთან; ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ კვლავ მიანიშნა განსაკუთრებულ სტატუსზე, რომელსაც ქორწინება ანიჭებს.

მომჩივნების მიერ ჩამოყალიბებული ერთსქესიანი სტაბილური წყვილის შედარებისას დაუქორწინებელ ჰეტეროსექსუალ წყვილთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნების სექსუალური ორიენტაცია იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მათი საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, რადგან კანონმდებლობა ადგენს აბსოლუტურ აკრძალვას მეორე მშობლისათვის ბავშვის აყვანაზე ერთსქესიანი წყვილის შემთხვევაში. თუკი დაუქორწინებელ ჰეტეროსექსუალ წყვილს ექნებოდა ანალოგიური მოთხოვნა ბავშვის შვილად აყვანაზე, ადგილობრივი სასამართლოები ამ მოთხოვნას არსებითად განიხილავდნენ.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა *de facto* ოჯახური ცხოვრებისთვის იურიდიული მნიშვნელობის მინიჭების თაობაზე. მან მიუთითა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები იყო საკვანძო ცნება შესაბამის საერთაშორისო ინსტრუმენტებში. მან შემდგომში ხაზი გაუსვა, რომ სასამართლოს საქმე არ იყო დაემტკიცებინა, მომჩივნების შვილად აყვანის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო თუ არა მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

თუკი შიდა კანონმდებლობა დართავდა ნებას ერთსქესიან წყვილში მეორე მშობელს, აეყვანა ბავშვი შვილად, სასამართლოს უნდა განეხილა ამ უფლების განხორცილებაზე უარის თქმა ერთსქესიანი წყვილისთვის, ემსახურებოდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს და იყო თუ არა პროპორციული ამ მიზანთან. მოპასუხე სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა რაიმე განსაკუთრებული წონადი და დამაჯერებელი მიზეზები იმის წარმოსაჩინად, რომ ერთსქესიან წყვილში მეორე მშობლისათვის ბავშვის შვილად აყვანაზე უარი, მაშინ, როცა ასეთი შესაძლებლობა ეძლევა დაუქორწინებელ ჰეტეროსექსუალ წყვილს, აუცილებელი იყო ოჯახის დაცვისთვის ტრადიციული გაგებით, ანდა ბავშვის ინტერესების დასაცავად. ამიტომ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული განსხვავება შეუსაბამო იყო კონვენციის მე-11 მუხლთან და მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, როდესაც მომჩივნების მდგომარეობა შედარებული იყო დაუქორწინებელ ჰეტეროსექსუალ წყვილთან, როცა ერთ პარტნიორს სურდა მეორე პარტნიორის ბავშვის შვილად აყვანა.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ გამოყენებულ შედარებითი სამართლის მასალებს თავის გადაწყვეტილებებში – **X and Others v. Austria** – იყო უაღრესად უჩვეულო. მხოლოდ მცირე რაოდენობის ქვეყნები შეიძლებოდა განხილულიყო როგორც მოპასუხე სახელმწიფოსთან შედარების საფუძველი სადაც საკითხის სფეროში (ასეთი ათი სახელმწიფო ევროპის საბჭოს ფარგლებში). დიდმა პალატამ გადაწყვიტა, რომ ეს მაგალითი იყო ნაკლებ ეფექტური რაიმე დასკვნის გამოსატანად, რადგან ეს დამოკიდებული იყო ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის შესაძლო კონსენსუსის არსებობაზე.

**სხვა საქმეში – Boeckel and Gessner-Boeckel v. Germany** – მომჩივანი იყო რეგისტრირებულ სამოქალაქო პარტნიორობაში მყოფი ორი ქალბატონი, რომელიც ასაჩივრებდნენ ერთ-ერთი მათგანის მშობლად დარეგისტრირებაზე უარს ბავშვის დაბადების მოწმობაში, რომელიც დაიბადა მათი პარტნიორობის პერიოდში. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთად. დაბადების მოწმობა მიუთითებს პირის ნარმომავლობას. აღნიშნა რა, რომ საქმე არ ეხებოდა ტრანსგენდერს და სუროგატ მშობლებს, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა რაიმე ფაქტობრივი საფუძველი სამართლებრივი პრეზუმუციისთვის, რომ ბავშვი, რომელიც დაბადა ერთ-ერთმა პარტნიორმა ერთსქესიან წყვილში მათი თანაცხოვრების პერიოდში, იყო შთამომავალი სხვა თანამცხოვრები პარტნიორისა. ამასთან დაკავშირებით, მომჩივნების მდგომარეობა განსხვავდებოდა დაქორწინებული ჰეტეროსექსუალი წყვილისგან, რომელთა მიმართაც არსებობდა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი პრეზუმუცია, როცა მამაკაცი ბავშვის დედაზე ქორწინებისას არის ამ ბავშვის დაბადების მომენტისთვის მისი ბიოლოგიური მამა. შესაბამისად, მომჩივნები არ იყვნენ რელევანტურად მსგავს მდგომარეობაში დაქორწინებულ ჰეტეროსექსუალ წყვილებთან, როდესაც საკითხი განსახილველად დადგა, თუ რა ჩანაწერი უნდა გაკეთებულიყო ბავშვის დაბადების მოწმობაში.

**საქმე – Vallianatos and Others v. Greece** – ეხება სტაბილურ ურთიერთობაში მყოფ ჰომოსექსუალ წყვილებს, რომელთაგან ზოგიერთი წყვილი ცხოვრობს ერთად, ხოლო სხვები – ცალ-ცალკე, გარკვეული პროფესიული თუ სოციალური მიზეზების გამო. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მათი ურთიერთობები ხვდება „პირადი ცხოვრების“ და „ოჯახური ცხოვრების“ ცნებაში კონვენციის მე-8 მუხლის გაგებით, ისევე როგორც იმავე სიტუაციაში მყოფი ჰეტეროსექსუალი წყვილები.

მომჩივნები ჩიოდნენ, რომ ბერძნული სამართლის მიხედვით შექმნილი სამოქალაქო ურთიერთობების სისტემა („სამოქალაქო კავშირი“) აშკარად მორგებული იყო ერთმანეთის საწინააღმდეგო სქესის წყვილებზე. მათ აღნიშნეს, რომ ეს ნარმოშობს განსხვავებას, რომელიც მათ მიმართ დისკრიმინაციულია.

**დაეყრდნო რა თავის გადაწყვეტილებას საქმეზე – Schalk and Kopf** – სასამართლომ აღნიშნა, რომ ისინი იყვნენ განსხვავებული სქესის მქონე წყვილების მსგავს სიტუაციაში, მათი ურთიერთობების სამართლებრივ აღიარებასა და დაცვის საჭიროებასთან დაკავშირებით და შენიშნა, რომ კანონი ადგენდა განსხვავებას მოპყრობაში, რომელიც ეფუძნებოდა მომჩივანთა სექსუალურ ორიენტაციას.

სასამართლომ უარყო მოპასუხე სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ორი არგუმენტი, რომლითაც მას სურდა კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება. **ჰირველ რიგში**, ერთსქესიანი წყვილები იყვნენ ისეთივე ქმედუნარიანები, როგორც განსხვავებული სქესის მქონე წყვილები, რომლებიც ამყარებენ მყარ და სტაბილურ ურთიერთობებს და გააჩნიათ იგივე მოთხოვნები ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერისათვის. **მეორე**, სასამართლომ აღიარა, რომ ოჯახის დაცვის აუცილებლობა ტრადიციული გაერთიანებული გადაწყვეტილების მიზანს წარმოადგენდა. შეფასების ზღვარი, რომელიც მინიჭებული აქვს სახელმწიფოებს ამ სფეროში, ძალიან ვიწროა. სადავო კანონმდებლობისა და რელევანტური განმარტებითი მოხსენების გათვალისწინებით, საბერძნეთის მთავრობამ ვერ წარმოაჩინა, რომ ამ მიზნების მიღწევა ავალდებულებდა მათ, ერთსქესიანი წყვილებისთვის წაერთმიათ ერთადერთი სამოქალაქო ფორმის პარტნიორობაში ყოფნის შესაძლებლობა, რაც უფლებას მისცემდა მათ, ჰეტეროდათ სახელმწიფოს მიერ კანონიერად აღიარებული ურთიერთობები.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს „ტენდენცია“ ახლახან წარმოიშვა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ერთსქესიან წყვილთა ურთიერთობების სამართლებრივი აღიარების ფორმების შემოღებასთან დაკავშირებით. ცხრამეტი სახელმწიფოდან, რომელთაც თანაბრად დააწესეს რეგისტრირებული პარტიიორობის (ურთიერთობის) გარკვეული ფორმა, გარდა ქორწინებისა, მხოლოდ ორმა, რომელთაგან ერთი საბერძნეთი იყო, ექსკლუზიურად მხოლოდ განსხვავებული სქესის წყვილებისთვის გამოიყენა.

სასამართლომ დაასკვნა, რომ მთავრობის მიერ მოყვანილი არგუმენტები, რომლითაც ცდილობდა გაემართლებინა (დაესაბუთებინა) ერთსქესიან წყვილთა ამორიცხვა სამოქალაქო ურთიერთობების ოფიციალური სამართლებრივი რეჟიმიდან, რომელიც გამოიყენებოდა განსხვავებული სქესის წყვილთა მიმართ, არ იყო დამაჯერებელი და წონადი. შესაბამისად, მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან ერთად.

ისეთი რადიკალური ზომა, როგორიც მამასა და მის ვაჟს შორის ურთიერთობის გაწყვეტაა, მამის რელიგიური მოსაზრებების გამო და ამ ღონისძიების შესაძლო გავლენები ბავშვზე, დასაბუთებული უნდა იყოს მხოლოდ უაღრესად საგამონაკლისო შემთხვევებით, რომელთა წარმოდგენაც მოეთხოვება სახელმწიფოს. ასეთი სიტუაცია მოიცავს როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემასა და რელიგიური თავისუფლების უფლებას, რაც, შესაბამისად, გამყარებულია კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლებით, ასევე პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გარანტირებულ უფლებას, რაც გულისხმობს მშობლების რელიგიური და ფილოსოფიური მრნამსის პატივისცემას თავიანთი არჩევანით უზრუნველყონ შვილების განათლება. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ეს უფლებები გამოიყენება როგორც დაქორწინებულ წყვილებთან მიმართებით, ასევე ცალ-ცალკე მცხოვრებ ან განქორწინებულ წყვილებთან დაკავშირებითაც, რომელთაც არ გააჩნიათ მეურვეობა თავიანთ შვილზე. პატივი უნდა ვცეთ პროპორციულობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს ეროვნული სასამართლოების მხრიდან სხვა, ნაკლებად დრამატული ღონისძიებების გამოყენებას (*საქმე – Vojinity v. Hungary*).

**საქმეში – I.B. v. Greece** – სასამართლომ განიხილა მომჩინის სამსახურიდან გათავისუფლება, რასაც საფუძვლად დაედო მისი შიდსის ვირუსით დაავადება. მომჩინი, რომელიც ინფიცირებული იყო ამ ვირუსით, გაათავისუფლეს თანამდებობიდან იმ მოტივით, რომ კოლეგებს არ სურდათ მასთან ერთად მუშაობა. საკასაციო სასამართლომ თავის საბოლოო გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ გათავისუფლება იყო დასაბუთებული (სამართლიანი) დამქირავებლის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მან აღადგინა სიმშვიდე სამუშაო ადგილზე და კომპანიას გამართულად ფუნქციონირების შესაძლებლობა მისცა. სასამართლომ წინა, უმნიშვენელოვანეს გადაწყვეტილებაზე მითითებით კიდევ ერთხელ განაცხადა **საქმეზე – Kiyutin v. Russia**, რომ შიდსით დაავადებული პირები წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს, რომელთაც მუდმივად სდევთ საზოგადოების მხრიდან მიკერძოებული და სტიგმატიზირებული დამოკიდებულება და სახელმწიფოს უნდა პქონდეს მხოლოდ ვიწრო შეფასების ზღვარი ისეთი ზომების შერჩევისას, რომელიც გამოყოფს ამ ჯგუფს განსხვავებული მოპყრობის მიზნით შიდსით დაავადებულის სტატუსის გამო.

აღნიშნული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩინი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი და კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთად მიიჩნია დარღვეულად. სასამართლომ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ მომჩინი გათავისუფლებათა უფლებათა უფლება და გადაწყვეტილებათა კრებული

ვისუფლდა სამსახურიდან, მისი კოლეგების მიერ დამქირავებელზე ზენოლის შედე- გად. დამქირავებელს ჰქონდა პროფესიონალი ექიმის ინფორმაცია, რომ არ არსებობდა სხვა თანამშრომლების დაინფიცირების რაიმე რისკი, თუმცა, მას აღარ ჰქონდა მომ- ჩივანთან თანამშრომლობის გაგრძლების სურვილი. საკასაციო სასამართლომ საქ- მის განხილვისას არ დაიცვა მხარეთა სამართლიანი ბალანსი. ამასთან დაკავშირე- ბით, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა შესაბამისი კანონმდებლობა ან ეროვ- ნული პრეცედენტული სამართლი, რომელიც დაიცავდა შიდსით დაავადებულ პირებს თავიანთ სამუშაო ადგილებზე.

**გადაწყვეტილება – *Garcia Mateos v. Spain*** – ადგენს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პირს დაევალა, ერთმანეთთან შეეთავსებინა ოჯა- ხური ცხოვრება და მუშაობა, არ უნდა დარჩეს ილუზორული. სასამართლომ დაად- გინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა მე-14 მუხლთან ერთად, სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო, რომლითაც აღიარებული იყო გენდე- რული დისკრიმინაცია დასაქმებული დედის მიმართ, რადგან მოსთხოვეს უფრო ნაკ- ლები საათით მუშაობა, რათა თავისი პატარა ბავშვის მოვლა შესძლებოდა. სასა- მართლომ პირველად დაადგინა უფლების დარღვევა ამ ტიპის გენდერული დისკრი- მინაციის საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლო- ბის გამო.

**გადაწყვეტილება საქმეზე – *Gulay Cetin v. Turkey*** – ადგენს პრეცედენტულ სამარ- თალს იმ პატიმართა ლირსების დაცვაზე, რომელთაც ფატალური დიაგნოზი აქვთ დას- მული. განუკურნებელი დაავადების მქონე ბრალდებულებსა და მსჯავრდებულ პა- ტიმართა მიმართ გამოყენებულ რეჟიმების შორის განსხვავება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მიჩნეულ იქნა დაუსაბუ- თებლად (უსამართლოდ). პატიმარი, რომელიც დაავადებული იყო ბოლო სტადიის სიმ- სივნით, გარდაიცვალა სასამართლო განხილვების დაწყებამდე, რომელიც მან აღძრა მისი ციხიდან თავდებით გამოშვების, საქმის შეჩერების ან პრეზიდენტის შეწყალე- ბის მიღების მოთხოვნით. სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით დაადასტურა თავისი მიდგომა, რომელიც ჩამოაყალიბა **საქმეში – *Laduna v. Slovakia*** – და გააფართოვა თა- ვისი მსჯელობა სიკვდილის პირას მყოფ პატიმართა ლირსების დაცვასთან მიმართე- ბით. სასამართლომ მიუთითა, რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № Rec(2006)2 რეკომენდაციას ციხის წესების შესახებ, რო- მელიც ადგენს, რომ თავისუფლებაშეზღუდულ (ჩამორთმეულ) პირებს პატივისცე- მით უნდა მოეპყრონ და უნდა დაიცვან მათი უფლებები. ამასთან, დაუშვებელია რაი- მე სახის დისკრიმინაციის გამოვლენა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრებისა და უკვე მსჯავრდებული პატიმრების მიმართ. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე- 14 მუხლის დარღვევა მე-3 მუხლთან ერთად.

ზემოხსენებული **Eremia-ს გადაწყვეტილება** ეხება ოჯახური ძალადობის საკითხს, რომელიც მოიცავს მე-3 მუხლის დარღვევას მე-14 მუხლთან ერთად, ქალი მსხვერ- პლის მიმართ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ დისკრიმინა- ციული მიდგომის გამო. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ სახელმწიფომ ვერ უზ- რუნველყო ქალთა დაცვა ოჯახური ძალადობისგან, რითაც დაარღვია მათი უფლება, თანაბრად ყოფილიყვნენ დაცულნი კანონის საფუძველზე.

ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ მომჩივანი არაერთგზის იყო ძალადობის მსხვერ- პლი თავისი ქმრის მხრიდან, რომელმაც აღიარა, რომ სცემდა ცოლს. ამის მიუხედა- ვად, ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლის პასუხი – მისი განქორწინების დაჩ- ქარებაზე უარი; პოლიციის ზენოლა, უკან გაეტანა სისხლის სამართლის საჩივარი;

სოციალური სამსახურების უუნარობა დამცავი ორდერის უზრუნველყოფაზე და მათი შეთავაზება მსხვერპლისთვის, რომ შერიგებოდა თავის ქმარს, რადგან ის არ იყო „არც პირველი და არც უკანასკნელი ქალი, რომელსაც ქმარი სცემს“; და პროკურორის გადაწყვეტილება, პირობითად შეეჩერებინა პროცესი თავდამსხმელის მიმართ – იყო არა მხოლოდ უბრალო უუნარობისა და გაჭიანურების მაგალითი, არამედ წარმოადგენდა ასეთი ძალადობის მრავალგზის წახალისებას, ასახავდა რა დისკრიმინაციულ მიდგომას მომჩივნის, როგორც ქალის მიმართ. სასამართლო დაეყრდნო ქალთა ძალადობის წინააღმდეგ გაეროს სპეციალური მომხსენებლის დასკვნებს მოპასუხე სახელმწიფოს მიმართ.

სახელფასო დავებისთვის პროცედურული რეჟიმი იყო – **Giavi v. Greece – გადაწყვეტილების** მთავარი საკითხი. კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა სხვადასხვა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის არსებობაზე კერძო სექტორსა (ხუთი წელი) და საჯარო სექტორს (ორი წელი) შორის, გადაუხდელი ხელფასისა და დანამატების მოთხოვნისთვის. სასამართლომ კვლავ გაიმეორა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ კანონთან პრეტენზიების წაყენება არ წამოჭრის რაიმე საკითხს კონვენციის თანახმად. მართლაც, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის არსებობა იყო ხელშემკვრელი სახელმწიფოების შიდა სამართლებრივი სისტემის ჩვეულებრივი მახასიათებელი თვისება და მიზნად ისახავდა სამართლებრივი სიზუსტის უზრუნველყოფას. სახელმწიფოების გადასაწყვეტი იყო სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე პროცედურული წესების მორგება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი სახელმწიფოს დაქირავებულთა უფლებების დაცვა, რაც უნდა განხორციელებულიყო იმ პირობით, რომ ამ წესების პრაქტიკაში დანერგვა არ აღმოჩენილიყო შეუძლებელი ან უაღრესად არ გართულებულიყო უფლებების განხორციელება, რაც გათვალისწინებულია ადგილობრივი სამართლებრივი წესრიგით. ორწლიანი სასარჩელო ხანდაზმულობის პერიოდი უკადურესად არ ზღუდავდა სახელმწიფოს მიერ დაქირავებულთა შესაძლებლობას, სასამართლოების გზით მოეთხოვათ წესისმიერი ხელფასი და დანამატი. ამას გარდა, საჯარო სექტორში დაქირავებულების მდგომარეობა არ იყო კერძო სექტორში დაქირავებულთა მდგომარეობასთან შესადარებელი. საერთო ჯამში, სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის დარღვევა კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად.

## საკუთრების დაცვა (პირველი ოქმის I მუხლი)

### გამოყენება

**გადაწყვეტილება საქმეზე – N.K.M. v. Hungary –** ეხება საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისთვის გაცემული კომპენსაციის დიდი ოდენობით დაბეგვრას, რაც გაუთვალისწინებლად მოხდა ახალი კანონის მიღებისთანავე, რომელიც მალევე შევიდა ძალაში მისი გათავისულების შემდეგ. შეწყვეტის კომპენსაცია გულისხმობს არსებით ინტერესს, რომელიც „უკვე მიიღო ან ცალსახად გადასახდელია“, რაც პირველი ოქმის I მუხლის მნიშვნელობით „ფლობას“ გულისხმობს. ის ფაქტი, რომ გადასახადი იქნა შემოღებული ასეთ შემოსავალზე, მიუთითებს იმაზე, რომ ეს განიხილება როგორც სახელმწიფოს შემოსავალი, რადგან წარმოუდგენელი იქნებოდა ისეთ ქონებასა თუ შემოსავალზე გადასახადის დაკისრება, რომელიც ჯერ არ არის მოპოვებული. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ გათავისუფლებისთვის გაცემული კომპენსაციის კანონიერი უფლება უნდა განიხილებოდეს როგორც „მფლობელობა“.

## საკუთრებით სარგებლობა

**საქმე – Zolotas v. Greece** (no. 2) – წამოჭრის ახალ სამართლებრივ საკითხს. იგი ეხება კანონს, რომლის მიხედვითაც, საბანკო ანგარიშზე შენახული ფული, რომელიც 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ იყო რეალიზებული, უნდა დაბრუნებოდა სახელმწიფოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი დრაკონული ზომა, პრეცედენტულ სამართლთან კომბინაციაში, ადგენს, რომ საურავის გადახდა არ წარმოადგენს ქმედებას, რომელიც ანგარიშის მფლობელს ევალებოდა გადასახდელად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი კერძო პირები იყვნენ და კარგად არ ესმოდათ სამოქალაქო თუ საბანკო სამართალი, რაც არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდათ სადაც ბანკთან და სახელმწიფოსთანაც კი. სასამართლომ დაამატა, რომ სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება დაიცვას მოქალაქეები და მოსთხოვოს ბანკებს, შეზღუდვის პოტენციურად არასახარბიელო შედეგების გათვალისწინებით, რომ არარეალიზებული საბანკო ანგარიშის მფლობელებს აცნობოს მოთხოვნის (პრეტენზის) შეტანის ამონტურების ვადა, რითიც შესაძლებლობას მისცემს, შეაჩერონ მათ ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება, მაგალითად ანგარიშზე ტრანზაქციის განხორციელებით. სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა პირველი ოქმის I მუხლი.

**გადაწყვეტილებაში საქმეზე – Koufaki and Adedy v. Greece** – წამოიჭრა საჯარო ინტერესი მკაცრი ეკონომიური ზომების შემოღებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა სახელმწიფო ხარჯების შემცირებას და ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისზე რეაგირებას.

საქმე ეხებოდა მკაცრი საბიუჯეტო ზომების შემოღებასა და მათ გამოყენებას ყველა საჯარო მოხელის მიმართ. ზომები, რომლებიც იყო პერმანენტული და რეტროაქტიული ხასიათის, ხოლო შემოღებული იქნა ფინანსური კრიზისის კონტექსტში, მოიცავდა საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის ხელფასის 20%-ით შემცირებას, ასევე პენსიების, სხვა ფინანსური დანამატებისა და ბენეფიციენტების შემცირებას. მომჩივნები ასაჩივრებდნენ ამ ზომების შეუთავსებლობას კონვენციის პირველი ოქმის I მუხლით გარანტირებულ უფლებებთან. სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო, საზოგადოებრივი ინტერესის მოსაზრებათა გათვალისწინებით, რომელიც ამ ზომების მიღებას ედო საფუძვლად და ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებაში შეფასების ფართო ზღვარის არსებობას, კერძოდ, საუბარია ფინანსურ კრიზისზე, რომელიც ქვეყანას გაკოტრებას უქადის. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანთა საარსებო წყაროს შემცირებით გამოწვეული შედეგი არ იყო იმგვარი, რომ დამუქრებოდა მათ კეთილდღეობას. შესაბამისად, დაცული იყო სამართლიანი ბალანსი.

მკაცრი ეკონომიკური ზომების გარდამავალი პროგრამის გამოყენება იყო მთავარი საკითხი საქმეზე – *Da Conceicao Mateus and Santos Januario v. Portugal* – რომელიც დაუშვებლად ცნო სასამართლომ. მომჩივნები არიან პორტუგალიის სახელმწიფო საპენსიო სქემაში გაერთიანებული პენსიონერები, რომლებიც ჩივიან საპენსიო თანხის შემცირებას (სადლესასწაულო და საშობაო ბონუსები). სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ეკონომიკური ზომების გატარება, რომლებიც საფუძვლად დაედო შემცირებებს, გამოწვეული იყო საზოგადოებრივი ინტერესებით, სახელდობრ, პორტუგალიის ეკონომიკის გადასარჩენად საშუალო პერსპექტივაში. რაც შეეხება პროპორციულობის საკითხს, სასამართლომ მენიშნა, რომ საბიუჯეტო ზომები უცვლელი დარჩა მომჩივნების საბაზისო პენსიასთან მიმართებით, რასაც ისინი სრულად იღებდნენ 2012 წლის სრული 12 თვის განმავლობაში. ამას გარდა, შემცირება გამოყენებული იყო მხოლოდ სამი წლის მანძილზე (2012-14). შესაბამისად, ჩარევა შეზღუდული იყო დროსა და მას-

შტაბებში. ამას გარდა, ეს ღონისძიება გამოიყენეს მხოლოდ ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გამონაკლის პერიოდში. სასამართლოს აზრით, სახელმწიფოსთვის არ იყო დისპროპორციული თავისი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება გვერდით ხარჯებზე, საჯარო სექტორში ხელფასებისა და პენსიების შემცირებით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არანაირი ეკვივალენტური შემცირება არ მომხდარა კერძო სექტორში.

**ზემოხსენებული საქმე – N.K.M. v. Hungary** – ეხება საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელისთვის დანიშნული კომპენსაციის დიდი ოდენობით დაბეგვრის გაუთვალისწინებელ გამოყენებას. რამდენიმე კვირით ადრე მომჩივანს აცნობეს სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. ამავე დროს ახალი კანონი იყო ამოქმედებული, რომლითაც 98%-ით იბეგრებოდა ასეთი კომპენსაცია. რაც შეეხება მომჩივანს, ეს წარმოადგენდა საერთო საგადასახადო ტვირთის დაახლოებით 52%-ს გათავისუფლების კომპენსაციაზე, ან საერთო შემოსავლის დაბეგვრის სამჯერ მეტ თანხას. მიუხედავად სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლისა, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოების შეფასების ფართო ზღვარს აღიარებს გადასახადებთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მომჩივანს უკიდურესად დიდი ოდენობის თანხის გადახდა მოუწია. თუმცა, სასამართლო მზად იყო გაეზიარებინა, რომ ეს ზომა მიზნად ისახავდა სახელმწიფო ხაზინის დაცვას დიდი ხარჯებისგან.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს უნდა მიყენებოდა არსებითი ზარალი სამსახურიდან გათავისუფლებისას, რაც ენინააღმდეგება თავად საკომპენსაციო პაკეტის მიზანს, სახელდობრ, დაეხმაროს გათავისუფლებულ პირებს, ისევ დაბრუნდნენ შრომის ბაზარზე. ამას გარდა, ახალი კანონმდებლობა ამოქმედებული იყო მომჩივნის გათავისუფლებისთანავე, რაც ძალიან ცოტა დროს უტოვებდა მას, შეგუებოდა უკიდურესად მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, რომელიც ვერასოდეს წარმოედგინა. სასამართლომ ასევე გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ კანონის სამიზნე იყო სახელმწიფოს დაქირავებულთა გარკვეული ჯგუფი და რომ მოქალაქეთა უმრავლესობას არ ევალებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში ამგვარი კონტრიბუციის შეტანა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.

**გადაწყვეტილება – Lavrechov v. the Czech Republic** – ეხება პირველი ოქმის I მუხლით გათვალისწინებულ საკითხს, კერძოდ კი, თავდების კონფისკაციას ჯარიმის გადახდის პირობების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული გამართლდა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვებისას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ თავდების მიზანი იყო სისხლის სამართლის საქმის ჯეროვანი განხილვა და მიიჩნია: ის ფაქტი, რომ მომჩივანი გამართლდა, არ გულისხმობს თავის მხრივ იმას, რომ ნაყენებული ბრალდება უკანონო იყო. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განხილვების შედეგი უშუალოდ არ უკავშირდებოდა თავდების კონფისკაციას. სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცული იყო სამართლიანი ბალანსი მომჩივნის უფლებებსა და სისხლის სამართლის საქმის ჯეროვან განხილვას შორის: მას მიეცა ყველანაირი შესაძლებლობა, გამოცხადებულიყო სასამართლოში და უნდა სცოდნოდა, რომ არღვევდა თავდების პირობებს. აღნიშნული პირობებისადმი მისი დაუმორჩილებლობა მნიშვნელოვნად ენინააღმდეგება სასამართლო განხილვებს და შესაბამისად, ადგილობრივმა სასამართლოებმა გონივრულად მიიჩნიეს დაესკვნათ, რომ იგი თავს არიდებდა სისხლისსამართლებრივ დევნას.

**საქმეში – *De Luca v. Italy*** – სასამართლომ პირველად განიხილა საკითხი კერძო პირის მიერ საბოლოო გადაწყვეტილებით იმ მუნიციპალიტეტისაგან ზინანის სრულად ანაზღაურების შეუძლებლობაზე, რომელიც გაბანკროტებული ქონების საკითხის პროცესს ექვემდებარებოდა. სასამართლომ უარყო მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტები იმაზე, რომ ადგილობრივი ხელისუფლების გაკოტრება იყო გამამართლებელი ფაქტორი მთლიანი თანხის გადაუხდელობისთვის, რომელიც მიერერებოდა მომჩინანს და რომ მთლიანი თანხის 80%-ის გადახდის შეთავაზება იყო მოტივირებული ადგილობრივი ხელისუფლების კრედიტორთათვის თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფის მიზანი. სასამართლოს პასუხი იყო ნათელი: **პირველი**, ადგილობრივი ხელისუფლების რესურსების ნაკლებობა არ შეიძლება გახდეს დაგვალიანების სრულად დაფარვაზე უარის თქმის გამართლების საფუძველი. ამის გათვალისწინებით, დაირღვა მომჩინის უფლება, თავისუფლად ესარგებლა საკუთრებით. სასამართლო თავის დასაბუთებაში დაეყრდნო **საქმეს – *Burdov v. Russia***.

### განათლების უფლება (პირველი ოქმის II მუხლი)

**საქმეში – *Tarantino and Others v. Italy*** – მომჩინები ჩიოდნენ მათ მიმართ *numerus clausus*-ს პრინციპის გამოყენებას, რის შედეგადაც ისინი წარუმატებლად ცდილობდნენ მოეპოვებინათ ადგილები სამედიცინო და სტომატოლოგიურ ფაკულტეტებზე (იტალიაში *numerus clausus*-ს პრინციპი გამოიყენება კონკრეტულ პროფესიულ ფაკულტეტებზე, როგორიცაა მედიცინა და სტომატოლოგია, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტებში). სასამართლოს დასაბუთება ძირითადად ფოკუსირებული იყო აკრძალვების პროპორციულობაზე. საგამოცდო მოთხოვნები, სასამართლოს აზრით, აფასებდა რა კანდიდატებს შესაბამისი ტესტების მეშვეობით, რათა გამოევლინათ ყველაზე ღირსეული სტუდენტები, იყო პროპორციული ზომა მინიმალური და ადეკვატური განათლების დონის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტებში. სასამართლო ხაზი გაუსვა, რომ ის (სასამართლო) არ იყო კომპეტენტური, ემსჯელა სენებული ტესტების შინაარსსა და მიზანშეწონილობაზე.

რაც შეეხება *numerus clausus*-ს პრინციპს, ორი მყარი არგუმენტი არსებობს ამის სასარგებლოდ: (ა) პოტენციური უნივერსიტეტების შესაძლებლობები და რესურსები, და (ბ) კონკრეტული პროფესიის მიმართ საზოგადოების მოთხოვნილება. რაც შეეხება სასამართლოს, განხილვის რესურსები ცალსახად რელევანტური იყო. განათლებაზე ხელმისაწვდომობის უფლება არსებობს მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს ხელმისაწვდომია და იმ შეზღუდვებით, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო ინსტიტუციების მოქმედებისთვის. სასამართლომ უარყო დაედგინა, რომ სახელმწიფოს რეგულაცია კერძო ინსტიტუტების მიმართ იყო დისპროპორციული ან თვითნებური, ისევე როგორც ასეთი ქმედება შეიძლებოდა განხილულიყო აუცილებელ ღონისძიებად თვითნებური ჩარიცხვებისა თუ გარიცხვების პრევენციის მიზნით და თანაბარი მოპყრობის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, სახელდობრ, კონკრეტული პროფესიების მიმართ საზოგადოების მოთხოვნას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგიერთი კონკრეტული პროფესიის სპეციალისტთა მომზადება მოიცავს უდიდეს ინვესტიციას. შესაბამისად, სახელმწიფოსთვის გონივრულია იღვნოდეს თითოეული წარმატებული კანდიდატის ასიმილაციისთვის შრომის ბაზარზე. მართლაც, ასეთი კატეგორიისთვის თანამდებობრივი პოსტების ხელმისაწვდომობის არარსებობა იმის გამო, რომ ბაზარი უკვე

გაჯერებულია, შემდგომში დაკავშირებულია დანახარჯებთან, რადგან უმუშევრობა, ყოველგვარი ყოფილის გარეშე, ნარმოადგენს მძიმე სოციალურ ტვირთს საზოგადოებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოსთვის შეუძლებელი იყო გამოერკვია, რამდენ კურსდამთავრებულს შეეძლო ადგილობრივი ბაზრიდან გასვლა და საზღვარგარეთ დასქმება, სასამართლო ვერ მიიჩნევს არაგონივრულად სახელმწიფოსთვის, გამოავლინოს ყურადღება და აქედან გამომდინარე დააფუძნოს თავისი პოლიტიკა, რომ ამ ადამიანთა დიდი რაოდენობა შესაძლოა, ისევ თავიანთ ქვეყანაში ეძებდეს დასაქმებას. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა აღნიშნული მუხლი.

### თავისუფალი არჩევნების უფლება (პირველი ოქმის III მუხლი)

თავის გადაწყვეტილებაში – *Shindler v. the United Kingdom* – სასამართლომ იმსჯელა არარეზიდენტი მოქალაქეებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვაზე. მომჩივანი ბრიტანეთის მოქალაქეა, რომელიც 15 წელზე მეტია, რაც ცხოვრობს იტალიაში. მან ვერ შეძლო გაერთიანებულ სამეფოში არჩევნებში მონაწილეობა იმ საკანონმდებლო ნორმების მიხედვით, რომლითაც ბრიტანეთის მოქალაქეებს, ვინც 15 წელზე მეტი ხნით ცხოვრობენ საზღვარგარეთ, ჩამოერთვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის პირველი ოქმის III მუხლის დარღვევა და კვლავ დაადასტურა თავისი ადრეული პრეცედენტული სამართალი ამ საკითხზე. ეს ის სფეროა, სადაც ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ფართო არეალით, მიუხედავად არსებული კონსენსუსისა, არ შეზღუდონ არარეზიდენტი მოქალაქეების საარჩევნო უფლება. შეზღუდვა ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს, სახელდობრ იმ პირთა ხმის უფლების შეზღუდვას, რომელთაც მჭიდრო კავშირები ჰქონდათ გაერთიანებულ სამეფოსთან და ყველაზე მეტად დაზარალდა მისი კანონებით. სასამართლომ გაიზიარა, რომ პირველი ოქმის III მუხლით გათვალისწინებული არსებითი უფლება მომჩივანის მიმართ არ დარღვეულა, იმ ხანგრძლივი დროის გათვალისწინებით (15 წელი), რომლის განმავლობაშიც არარეზიდენტი მოქალაქეები აგრძელებდნენ ხმის მიცემის უფლებით სარგებლობას და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ხელახლა გააქტიურდებოდა, თუკი მოქალაქე აღადგენდა გაერთაინებულ სამეფოში ცხოვრებას ხებისმიერ დროს – 15 წლის გასვლის შემდეგ. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სადაც მეტად დასაბუთება რამდენჯერმე საპარლამენტო დებატების საგანიც გახდა და და კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს ამის განხილვა.

### დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა (მე-12 ოქმის I მუხლი)

მიუხედავად არსებული განსხვავებებისა რომლებიც კონვენციის მე-14 მუხლსა და მე-12 ოქმის I მუხლის ფარგლებს შორისაა მოქცეული, სიტყვა „დისკრიმინაციის“ მნიშვნელობა მე-12 ოქმის I მუხლში იდენტურია მე-14 მუხლში ნახსენებ „დისკრიმინაციისა“. ზემოხსენებულ საქმეში – *Maktouf and Damjanović* – სასამართლომ კვლავ გაიმეორა ის ზოგადი პრინციპები, რომლებიც 2009 წელს დაადგინა საქმეში – *Sejdžić and Finci v. Bosnia and Herzegovina*.

*Maktouf and Damjanović*-ის საქმეში მომჩივნები, რომლებიც მსჯავრდებულები არიან ომის დანაშაულის გამო, ჩიოდნენ, რომ მათი საქმეები განიხილა ერთმა კონკრე-

ტულმა სასამართლომ, მაშინ, როცა, ომის დანაშაულში დანარჩენი ეჭვმიტანილების საქმე განიხილა სხვა სასამართლომ. სტრასბურგის სასამართლოს აზრით, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ომის შემდგომ პერიოდში ომის დანაშაულთა შესახებ არსებული დიდი რაოდენობის საქმეთა გათვალისწინებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს ტვირთი გადანანილებულიყო ორივე სასამართლოზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხე სახელმწიფო ვერ შეძლებდა პატივი ეცა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისთვის, რომ სასამართლოს წინაშე დროულად წარედგინა საერთაშორისო ჰული კონკრეტული საქმე განაწილდა ობიექტური და გონივრული კრიტერიუმების მიხედვით. სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა მე-14 მუხლი მე-7 მუხლთან ერთად და არც მე-12 ოქმის I მუხლი.

## კონვენციის სხვა ნორმები

### სამართლიანი დაკმაყოფილება (მუხლი 41)

**საქმეში – *Trevalec v. Belgium*** – სასამართლომ განიხილა ისეთი გარემოება, სადაც ძირითადი გადაწყვეტილებით, რომელშიც დარღვევა დადგინდა, მომჩივანს მიენიჭა კომპენსაცია. კომპენსაციის გადახდა დაეკისრა იმ სახელმწიფოს, რომელიც არ იყო მხარე სტრასბურგის სასამართლოში წარმოებული განხილვების დროს. ძირითად გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევა, რომელშიც ბელგიამ ვერ უზრუნველყო პიზიტიური ვალდებულებების შესრულება მომჩივნის – საფრანგეთის მოქალაქის – სიცოცხლის უფლების დასაცავად და ღიად დატოვა სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტა. მომჩივანმა მიიღო კომპენსაციის მნიშვნელოვანი ნაწილი საფრანგეთის საკომპენსაციო ფონდიდან, რომელიც განკუთვნილია ტერორიზმისა და სხვა დანაშაულთა მსხვერპლთათვის, დაფარა რა როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ზიანი, რომლის გამოც ბელგიის მთავრობა იყო პასუხისმგებელი ძირითადი გადაწყვეტილების მიხედვით. თავის შემდგომ გადაწყვეტილებაში, რომელიც სამართლიან დაკმაყოფილებას ეხება, სასამართლომ გადაწყვიტა, არ მიეკუთვნებინა მატერიალური ზიანის კომპენსაცია იმ თანხის გარდა, რომელიც უკვე გადახდილი იყო ეროვნულ დონეზე, მაგრამ მიაკუთვნა არამატერიალური ზიანის ანაზღაურება. ეს სპეციალურად იყო გათვალისწინებული, ვინაიდან ეს თანხა არ შეიძლება დაეფარა საფრანგეთის ხელისუფლებას, თუნდაც მაშინ, ამ სახელმწიფოს უკვე გადახდილი რომ ჰქონდა კომპენსაცია ასეთი ზიანის ასანაზღაურებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია სასამართლოს პოზიცია, რადგან საფრანგეთის ხელისუფლებამ მას აცნობა, რომ ადგილობრივი კანონმდებლობით მათ უფლება აქვთ მიიღონ ზომები, რათა მოითხოვონ ნებისმიერი ანაზღაურება, რომელიც სასამართლომ დაადგინა, საკომპენსაციო ფონდიდან მომჩივნისათვის გადახდილი კომპენსაციის ჩათვლით.

### გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება (მუხლი 46)

#### ზოგადი ზომები

ზემოხსენებული ***Fabris*-ის გადაწყვეტილება** ადასტურებს, რომ როგორც ზოგადი წესი, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მიიღონ გარდამავალი ნორმები, რითაც ისინი გაატარებენ სამართლებრივ რეფორმებს კონვენციის 46 §1 მუხლის მიხედვით ნაკისრ ვალდებულებებთან შესაბამისად. თუმცა, დიდმა პალატამ ხაზი გაუსვა, რომ ზოგადი ზომების მიღება შესაბამისი სახელმწიფოსგან მოითხოვს ანალოგიურ თე-

მებზე, რომლებიც გადაწყვეტილებებში დადგინდა, შემდგომი დარღვევების ჯეროვან პრევენციას. აღნიშნული ავალდებულებს ადგილობრივ სასამართლოებს, უზრუნველყონ, კონსტიტუციური კონტროლის შესაბამისად და სამართლებრივი სიზუსტის პრინციპის გათვალისწინებით, უზრუნველყონ კონვენციის სტანდარტების სრული ასახვა, როგორც ეს სასამართლოს მიერა ინტერპრეტირებული.

ზემოხსენებული *Savriddin Dzhurayev*-ის საქმე ეხება სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიების მრავალჯერ დარღვევას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მან ახლახან დაადგინა მსგავსი დარღვევები რუსეთის საქმეებზე და რომ საჩივრები გაუჩინარებისა და მომჩივანთა ტაჯიკეთში (და უზბეკეთში) იძულებითი გადაყვანის თაობაზე კვლავ შემოდიოდა სასამართლოში, მიუხედავად მთავრობისათვის რეგლამენტის 39-ე მუხლზე მითითებისა. ამ გადაწყვეტილებაში მომჩივან სახელმწიფოს დაევალა ეფექტური ზომების მიღება მდგომარეობის გამოსასწორებლად, რათა დაეცვა მომჩივნის ჯანმრთელობა და სიცოცხლე ტაჯიკეთში არსებული რისკების გამო და ასევე, ეფექტური გამოძიების ჩატარება მომხდარის თაობაზე, რათა აღმოფხვრილიყო სასამართლოს მიერ დადგენილი პროცედურული დარღვევები. ახალ საქმეებში დარღვევების განმეორების პრევენციის მიზნით და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვეულებრივი სამართლებრივი ჩარჩოთი უზრუნველყოფილი ზოგადი დაცვა რეგულარულად ვერ ხორციელდებოდა ასეთ საქმეებში, შესაბამისი მექანიზმის ამოცანა იყო პრევენციული და დამცავი ფუნქციების ადგილზე გამოყენება, რათა უზრუნველყოფილიყო, რომ მომჩივანს ესარგებლა მყისიერი და ეფექტური დაცვის მექანიზმებით უკანონო მოტაცებისა და რუსეთიდან გაძევების წინააღმდეგ. სახელმწიფო ასევე ვალდებული იყო ესარგებლა შესაბამისი პროცედურებითა და ინსტიტუციური მექანიზმებით, რათა უზრუნველეყო ეფექტური გამოძიება ყველა საქმეში, სადაც დარღვეული იყო სასამართლოს მიერ მითითებული დროებითი ღონისძიება.

ზემოხსენებულ *Abdullah Yasa and Others*-ს გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის განხილვის დროს ადგილობრივი კანონმდებლობა არ შეიცავდა რაიმე კონკრეტულ ნორმებს, რომლებიც მოაწესრიგებდა ცრემლსადენი გაზის ბალონების გამოყენებას დემონსტრაციებისას და არც მათი გამოყენების ინსტრუქცია იყო გამოცემული სამართალდამცავი სამსახურებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გამოცემული იყო ცირკულარი, რომელიც ადგენდა ცრემლსადენი გაზის გამოყენებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ ცრემლსადენი გაზის ბალონების ჯეროვანი გამოყენებისას უსაფრთხო მიმდებარე ტერიტორია აუცილებლად უნდა იყოს გამაგრებული, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სიკვდილიანობისა თუ დაზიანების რისკი.

ზემოხსენებულ *McCaughey and Others*-ის გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ მკვლელობების გამოძიების გაჭიანურება, რომელიც საგარუდოდ ჩაიდინეს უშიშროების ძალებმა, კვლავ რჩებოდა აქტუალურ პრობლემად ჩრდილოეთ ირლანდიაში. ამასთან დაკავშირებით, კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მიზანშენონილად მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ეს საკითხი პრიორიტეტულ საკითხთა შორის შეიყვანოს, რათა უზრუნველყოს მე-2 მუხლით გარანტირებული პროცედურული მოთხოვნების ოპერატიული შესრულება.

### ინდივიდუალური ზომები

ზემოხსენებულ *Oleksandr Volkov*-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების დარღვევა. გადაწყვეტილების მთავარ ტექსტში სასამართლომ

მოპასუხე სახელმწიფოს მოუწოდა, მიიღოს ზომები, მათ შორის საკანონმდებლო, სასამართლოს სადისციპლინო სისტემის რეფორმირების მიზნით. ამგვარად, ხელისუფლებას უნდა ჰქონდა შესაბამისი მიდგომა თავად გადაწყვეტილების, სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და შესაბამისი რეკომენდაციების, რეზოლუციების და მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილების მიმართ. ასევე, სასამართლომ დაადგინა, რომ აუცილებელი იყო ზოგადი ზომების ამოქმედება სასამართლოს სადისციპლინო სისტემის რეფორმირებისთვის და რომ ადგილობრივ სასამართლოებში საქმის ხელახალი განხილვის დაწყება არ გულისხმობს ზიანის ანაზღაურების შესაბამის ფორმას მომჩინის უფლებების დარღვევისთვის. საქმის განსაკუთრებული გარემოებებისა და მე-6 და მე-8 მუხლების დარღვევების შეჩერების გადაუდებელი მოთხოვნის გათვალისწინებით, სასამართლო სახელმწიფოსგან მოითხოვს, უზრუნველყოს მომჩინის აღდგენა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, ან მის თანაბარ თანამდებობაზე უახლოეს შესაძლო ვადაში. სასამართლოს აზრით, მომჩინის თანამდებობიდან გათავისუფლება, კონვენციის ზემოხსენებული პრინციპების უგულებელყოფით, „შეიძლება მთლიანობაში განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის საფრთხის შემცველი“.

### ინდივიდუალური საჩივრის შეტანის უფლებისთვის ხელის შეშლა (მუხლი 34)

ზემოხსენებული გადაწყვეტილება – *Salakhov and Islyamova* – ეხება პატიმრისათვის ჯეროვანი სამედიცინო დახმარების არარსებობას. იგი გარდაიცვალა შიდსით გათავისუფლებამდე ორი კვირით ადრე. ადგილობრივ ხელისუფლებას სამი დღე დასჭირდა იმისათვის, რომ შეესრულებინა რეგლამენტის 39-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი ლონისძიების საფუძველზე სასამართლოს მიერ გაცემული მითითებები, რომლებიც შიდსით დაავადებული პატიმრის დაუყოვნებლივ პოსპიტალიზაციას და მკურნალობას ეხებოდა. ასეთ გარემოებებში სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 34-ე მუხლი.

### მესამე მხარის ჩარევა (მუხლი 36)

კონვენციის 36 წ1 მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, წარმოადგინონ წერილობითი შენიშვნები ისეთ საქმეებზე, რომლებშიც ერთ-ერთი მათი მოქალაქე არის მომჩინა, თუმცა ისინი არ არიან მოპასუხე მხარედ მითითებული საჩივრში. **საქმე-ში – I v. Sweden** – სასამართლომ განმარტა ამ ნორმის ფარგლები.

სასამართლოს მიმართეს, რომ განეხილა, უნდა შეეტყობინებინათ თუ არა რუსეთის ფედერაციისთვის მომჩივნების მიერ შეტანილი საქმის შესახებ, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები იყვნენ, მაგრამ უჩიოდნენ შვედეთს. პასუხი ამ შეკითხვაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განიმარტება 36 წ1 მუხლის მნიშვნელობა: ხელშემკვრელი სახელმწიფოს (რომელიც ამავე დროს მომჩივნის წარმომავლობის სახელმწიფო) უფლება, ჩარეულიყო მსგავს საქმეში, სადაც მომჩივნებს უარი ეთქვათ თავ-შესაფარზე და მათ მიერ სასამართლოსთვის მიმართვის მიზეზს წარმოადგენდა არა-სათანადო მოპყრობის შიში, რომელიც გაჩნდებოდა, თუ ისინი თავისი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნდებოდნენ. სასამართლომ დაასკვნა, რომ 36 წ1 მუხლი არ გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როცა მომჩინის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის მიზეზი იყო შესაბამის ხელშემკვრელ სახელმწიფოში დაბრუნების შიში, სადაც, როგორც გაცხადებული იყო, იგი შესაძლოა დაქვემდებარებოდა მე-2 და მე-3 მუხლების საწი-

ნააღმდეგო მოპყრობას. ასეთ შემთხვევაში საჩივარი არ უნდა გადაეცეს მომჩივანთა წარმოშობის სახელმწიფოს და ამ სახელმწიფოს მთავრობა არ უნდა იყოს გამოძახებული პროცესში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნულის გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციას არ შეატყობინეს საჩივრის შეტანის თაობაზე.

### ყველა საჭირო საშუალებებით აღჭურვის ვალდებულება (მუხლი 38)

კონვენციის 38-ე მუხლი სახელმწიფოსგან მოითხოვს ყველა საჭირო და აუცილებელი საშუალებით აღჭურვოს სასამართლო, როდესაც დასადგენია ფაქტები. ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან ასეთი სახის თანამშრომლობა უნდა განიხილებოდეს, როგორც 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური საჩივრის სისტემის უპირველესი მნიშვნელობის ეფექტური ფუნქციონირება.

ზემოხსენებულ *Janowiec and Others*-ის საქმეში მოპასუხე სახელმწიფომ უარი განაცხადა გადაწყვეტილების ასლის გადაცემაზე, რომელიც სასამართლომ მოითხოვა, იმ საფუძვლით, რომ ადგილობრივ დონეზე მას მინიჭებული ჰქონდა „მკაცრად საიდუმლო“ გრიფი.

დიდმა პალატამ შეაჯამა პრეცედენტული სამართალი, სადაც რესპონდენტმა სახელმწიფომ ვერ შეასრულა სასამართლოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებების ფარგლებს, სასამართლოს მოთხოვნისა და მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე.

სასამართლომ განმარტა, რომ „მოპასუხე მთავრობას არ შეუძლია დაეყრდნოს ადგილობრივ იურიდიულ წინააღმდეგობებს, როგორიცაა სახელმწიფოს სხვადასხვა სააგენტოს მიერ მიღებული სპეციალური გადაწყვეტილების არარსებობა, რათა დაასაბუთოს ყველა საჭირო საშუალებების წარუდგენლობა სასამართლოს წინაშე საქმის განხილვისას“.

რაც შეეხება ადგილობრივ გადაწყვეტილებას, ინფორმაციის, როგორც საიდუმლოების კლასიფიცირებაზე, სასამართლო იმეორებს რომ ის არ იყო კარგად აღჭურვილი, რათა, გაეპროტესტებინა ადგილობრივი ხელისუფლების მოსაზრება ამ კონკრეტულ საქმეზე, რომ ეროვნული უშიშროების მოსაზრებები იყო ჩართული. თუმცა, სადაც კი ასეთი მოსაზრებები დადგა რისკის ქვეშ, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ნებისმიერი დამაზიანებელი ზომა უნდა განიხილებოდეს შეჯიბრებითობის პრინციპის ამა თუ იმ ფორმის დაცვით დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე, რომელიც კომპეტენტურია გადაწყვეტილების მიღებასა და შესაბამისი მტკიცებულებების შეფასებაში. სხვაგვარად, თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას არ ექნებოდა მტკიცებულებების ეფექტური გასაჩივრების შესაძლებლობა, რომ ეროვნული უსაფრთხოება რისკის ქვეშ იყო, ხელისუფლების წარმომადგენლები შეძლებდნენ თვითნებურად დაერღვიათ კონვენციით დაცული უფლებები.

ადგილობრივმა გადაწყვეტილებებმა ნათელი მოპონინა ეროვნული უსაფრთხოების მოთხოვნების ხასიათს, რომელზედაც არაკომუნიცირებული დოკუმენტის კლასიფიცირებული სტატუსი იყო დაფუძნებული და გადაწყვეტილება დოკუმენტის კლასიფიცირებაზე, შესაძლოა განხილულიყო მხოლოდ ადგილობრივი სასამართლოების მიერ შეზღუდული განხილვებით, მისთვის კლასიფიკაციის მინიჭებისთვის არსებითი

დასაბუთების ყოველგვარი ანალიზის გარეშე. თავის მხრივ, სასამართლოს არ შეეძლო დათანხმებოდა, რომ განსახილველი დოკუმენტის ასლის მიწოდებას, რომელიც მან გამოითხოვა, შეეძლო დაეზიანებინა რუსეთის ეროვნული უსაფრთხოება. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის 38-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებები, მოთხოვნილი დოკუმენტის ასლის წარდგენაზე უარის გამო.

ეს გადაწყვეტილება ასევე გვიჩვენებს, რომ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს დარღვევა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ პროცედურული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თუნდაც არ იყოს დარღვეული კონვენციის მიხედვით დაცული ძირითადი უფლებები. ამ კონკრეტულ საქმეში სასამართლომ ცალკე დაადგინა კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევა.

## განჩინებები

### მუხლი I

#### სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა

კოსოვოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გა-  
მო სერბეთის პესუხისმგებლობის საკითხი: მიჩნეულია დაუშვებლად.

**Azemi v. Serbia (dec.), no. 11209/09, 5 November 2013**

#### სახელმწიფოთა იურისდიქცია

ერაყის შეიარაღებული ძალების მიერ ერაყის მოქალაქის დაკავებასთან დაკავშირებით  
არსებული ტერიტორიული იურისდიქცია: საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას.

**Hassan v. the United Kingdom, no. 29750/09**

ერაყში განთავსებული სტაბილიზაციის ძალების პოლანდიელი სამხედროების მიერ  
ერაყის მოქალაქეების მისამართით სავარაუდო სროლა (SFIR): საქმე განსახილვე-  
ლად გადაეცა დიდ პალატას.

**Jaloud v. the Netherlands, no. 47708/08**

### მუხლი 2

#### პოზიტიური ვალდებულებები

ერაყში განთავსებული სტაბილიზაციის ძალების პოლანდიელი სამხედროების მიერ  
ერაყის მოქალაქეების მისამართით სავარაუდო სროლის თაობაზე წარმოებული გა-  
მოძიება: საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას.

**Jaloud v. the Netherlands, no. 47708/08**

ახალწევეულის თვითმკვლელობის გამო, არ დადგა უფროსი ოფიცირების პასუხის-  
მგებლობის საკითხი, რომელიც გამოწვეული იყო სხვა სამხედროების მიერ გარ-  
დაცვლილის მიმართ დამამცირებელი მოპყრობით: მიჩნეულია დარღვევად.

**Mosendz v. Ukraine, no. 52013/08, 17 January 2013**

დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკებების დროს, ჟანდარმის  
მიერ ცეცხლსასროლი იარაღით ერთ-ერთი დემონსტრანტის შემთხვევითი მკვლე-  
ლობა, რომელსაც არ დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა: მიჩნე-  
ულია დარღვევად.

**Aydan v. Turkey, no. 16281/10, 12 March 2013**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული

ფეხმძიმე ქალბატონს უარი ეთქვა გადაუდებელ ოპერაციაზე, რადგან არ შეეძლო სამედიცინო ხარჯების გადახდა: **მიჩნეულია დარღვევად.**

**Mehmet Senturk and Bekir Senturk v. Turkey, no. 13423/09,  
9 April 2013**

ბავშვთა სახლის მობინადრეთა სიცოცხლის დასაცავად არაჯეროვანი ღონისძიებების გატარება ან არაეფექტური გამოძიების ჩატარება იქ არსებული პირობებით გამოწვეული სიკვდილიანობის გამო: **მიჩნეულია დარღვევად.**

**Nencheva and Others v. Bulgaria, no. 48609/06, 18 June 2013**

სელისუფლების წარმომადგენელთა უუნარობა, დაეცვათ პატიმრის სიცოცხლე, რომელიც გაუჩინარდა სიცოცხლისათვის საშიშ გარემოებებში: **მიჩნეულია დარღვევად.**

**Turluyeva v. Russia, no. 63638/09, 20 June 2013**

ჩრდილოეთ ირლანდიის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლების ხელში მომხდარი გარდაცვალების ფაქტზე გამოძიების ხანგრძლივი გადადება: **მიჩნეულია დარღვევად.**

**McCaughey and Others v. the United Kingdom, no. 43098/09, 16 July 2013**

პოლიციის საპატიმროდან გაქცევის მცდელობისას ნარკომანი სასიკვდილოდ დაშავდა, რადგან არ იყო უზრუნველყოფილი მისი სიცოცხლის დაცულობა: **მიჩნეულია დარღვევად.**

**Keller v. Russia, no. 26824/04, 17 October 2013**

მშვიდობიანი სოფლების დაბომბვა სახედრო თვითმფრინავების მიერ, რაზედაც არ წარიმართა ეფექტური გამოძიება: **მიჩნეულია დარღვევად.**

**Benzer and Others v. Turkey, no. 23502/06, 12 November 2013**

პატიმრის მიმართ, რომელმაც გამოაცხადა შიმშილობა, ნაცვლად გათავისუფლებისა, გამოყენებულ იქნა იძულებითი კვების ღონისძიება: მიჩნეულია დაუშვებლად.

**Rappaz v. Switzerland (dec.), no. 73175/10, 26 March 2013**

საპატიმროში ჩადენილი თვითმკვლელობა: მიჩნეულია დაუშვებლად.

**Robineau v. France (dec.), no. 58497/11, 3 September 2013**

## სიცოცხლის უფლება

ახალწერილის თვითმკვლელობის გამო, არ დადგა უფროსი ოფიცირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც გამოწვეული იყო სხვა სამხედროების მიერ მის მიმართ დამამცირებელი მოპყრობით: **მიჩნეულია დარღვევად**.

*Mosendz v. Ukraine, no. 52013/08, 17 January 2013*

